პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი—ივნისი

1966 წელი

გამოცემის XIII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

მოწინავე — სკკპ XXIII ყრილობა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანები . . . 3

მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს . . . 10

სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი . . . 15

მ. ვეფხვაძე — სასჯელის არსი და მიზნები . . . 21

გრ. ნადირაძე — სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა და ვალუტით სპეკულაცია მძიმე სახელმწიფო დანაშაულია . . . 30

შ. ფაფიაშვილი — მექრთამეობის ფაქტზე შემოსული სიგნალების შემოწმებისა და სისხლის სამართალის საქმის აღძვრის ზოგიერთი საკითხი . . . 37

რ. შენგელია — სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს საფინანსო უფლებების შესახებ . . . 42

არბიტრაჟი

ლ. ჩორგოლაშვილი — წინასახელშეკრულებო დავების განხილვა არბიტრაჟში . . . 53

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

გ. ნადარეიშვილი — შოთა რუსთაველის პოლიტიკური შეხედულების საკითხისათვის . . . 59

მოთხრობა

შ. გვეტაძე — ნაპრალი . . . 66

მოწინავეთა პორტრეტები

ლ. ჭანტურია — მოწოდება . . . 79

ლ. ისაკაძე — იცნობდეთ: ლაგოდეხის რაიონის პროკურორი . . . 83

ჩვენი ინტერვიუ

ქართველ იურისტთა სტუმარი . . . 86

ინფორმაცია . . . 89

მოკლე ცნობები . . . 95

F-2999.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Передовая — XXIII съезд КПСС и задачи дальнейшего укрепления социалистической законности 3
Заслужили правительственные награды 10
Торжество социалистической демократии 15
М. Вепхвадзе — Сущность и задачи наказания 21
Гр. Надирадзе — Нарушение правил о валютных операциях—тяжкое государственное преступление 30
Ш. Папиашвили — Некоторые вопросы проверки поступающих сигналов по факту о взяточничестве и возбуждения уголовного дела . . 37
Р Шенгелиа — О финансовых правах социалистического государственного предприятия 43

АРБИТРАЖ

Л. Чорголашвили — Рассмотрение преддоговорных споров в арбитраже 53

К 800-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ РУСТАВЕЛИ

Г. Надареишвили — К вопросу о политических воззрениях Руставели . 59

РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина 66

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

Л. Чантуриа — Призвание 79
Л. Исакадзе — Знакомьтесь: прокурор Лагодехского района 83

НАШИ ИНТЕРВЬЮ

Гость грузинских юристов 86
Информация 89
Краткие заметки 95

შეკ. № 2324
ტირაჟი 5600
უე 11384

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, ვ. ინწკირველი, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 16/VI-66 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-66 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXIII ყრილობა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანები

სკკპ XXIII ყრილობამ ლენინური პრინციპულობით, საქმიანად განიხილა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები, დასახა კომუნისტური მშენებლობის გზით საბჭოთა ხალხის შემდგომი წინსვლის პერსპექტივები.

ყრილობის მიერ მიღებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების დირექტივები მოასწავებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველი ღონისძიებით გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების გადიდების საფუძველზე უზრუნველვყოთ მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი, მყარი ტემპები და ამის შედეგად მივაღწიოთ ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას.

ახალი ხუთწლედის დიდებული ამოცანების განხორციელება, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი განვითარება განუყოფელად არის დაკავშირებული სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებასთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მითითებულია, რომ საბჭოთა ორგანოების მთელ საქმიანობას, მოქალაქეთა ფართო შემოქმედებით მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის საქმეების მართვაში საფუძვლად უნდა ედოს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვა. შრომის დისციპლინის განმტკიცება, მოქმედი კანონებისა და წესების განუხრელად დაცვის მოთხოვნა არა თუ არ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების დემოკრატიულ საფუძვლებს, არამედ, პირიქით, განაპირობებს სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებასა და გაფართოებას.

საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების დიდი როლი და მნიშვნელობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში. მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ასეთი მაღალი შეფასება კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ ორგანოებს ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესრულებაში.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების საპატიო მოვალეობაა კვლავაც საიმედოდ დაიცვან ყოველგვარი ხელყოფისაგან ჩვენი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება, დაიცვან საბჭოთა მოქალაქეების კანონით გარანტირებული უფლებები და ინტერესები, კიდევ უფრო ქმედითი კონტროლი გაუწიონ საბჭოთა სამართლებრივი ნორმებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვას.

ამჟამად მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს დანაშაულობასთან და სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედობებთან გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება, სამართალდარღვევების თავიდან აცილება და აღმოფხვრა, მოქალაქეთა აღზრდა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. არც ერთი დანაშაული, კანონიერების არც ერთი დარღვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. საჭიროა დროულად და სრულად გამოვავლინოთ ყოველი დანაშაული, ვამხილოთ დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი და კანონის სწორი გამოყენებით უზრუნველვყოთ, რომ თითოეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული.

ცნობილია, რომ სსრ კავშირში წლითიწლობით მცირდება დანაშაული. ჩვენთან არ არსებობს დანაშაულის გამომწვევი ისეთი სოციალურ-ობიექტური მიზეზები, როგორიცაა: ხალხის გაუნათლებლობა, უმუშევრობა, ქონებრივი უთანასწორობა და სხვა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა აუცილებელი წანამძღვარი დანაშაულის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

დანაშაულის შემცირებასა და აღმოფხვრას ხელს უწყობს სამეურნეო და კულტურულ დარგში მოპოვებული მიღწევები, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ზრდა.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ დანაშაულთან ბრძოლის პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილია და რომ მატერიალური წარმოების სფეროში მოპოვებული წარმატებები ავტომატურად გამოიწვევენ დანაშაულის მოსპობას. ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრა უაღრესად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს იძულებითი ორგანოებისა და ფართო საზოგადოების დიდ მეცადინეობას. რა მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს სოციალისტური ქონების გატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, ხულიგნობის, მკვლელობისა და სხვა მძიმე დანაშაულთა რიცხვი, არ შეიძლება თვითდამშვიდებას მივეცეთ და შევასუსტოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

საბჭოთა დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება, დარწმუნების მეთოდების როლის ამაღლება არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას, სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებების გამოყენებაზე უარის თქმას. სოციალისტური წყობილების დემოკრატიული საფუძვლები მოითხოვს, რომ თითოეული შეგნებულად ასრულებდეს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა თანამდებობის პირი და მოქალაქე ზუსტად იცავდეს საბჭოთა კანონებსა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. ამიტომ რაც უფრო ვითარდება საბჭოთა დემოკრატია, რაც უფრო წინ მივდივართ კომუნიზმისაკენ, მით უფრო მოუთმენელი ხდება სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები, მით უფრო მეტ საზოგადოებრივ აღშფოთებას იწვევს საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო მოვლენები.

კანონის მთელი სიმკაცრით უნდა ვსჯიდეთ იმ პირებს, რომლებსაც არ სურთ ეზიარონ პატიოსან შრომით ცხოვრებას, რომლებიც უხეშად არღვევენ საბჭოთა სამართლის ნორმებს, ხელს უშლიან კომუნისტური მშენებლობის გზაზე ჩვენს წინსვლას. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ სამიშ დამნაშავეთა მიმართ ყოველგვარი სისუსტის, მერყეობისა და სენტიმენტალობის გამოჩენა უდიდესი დანაშაული იქნებოდა სოციალიზმის წინაშეო. მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებაზე ამხ. ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა: „ჩვენი სახელმწიფო კვლავაც ფართოდ გამოიყენებს დარწმუნებისა და აღზრდის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მეთოდებს, მაგრამ იგი ხელს ვერ აიღებს ვერც იძულების ღონისძიებებზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ დისციპლინასა და საზოგადოებრივ წესრიგს, და მითუმეტეს დამნაშავეთა მიმართ“.

დანაშაულის, სოციალისტური კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა აღმზრდელობითი და დასჯის, დარწმუნებისა და იძულების მეთოდების სწორი, გონივრული შეხამება. ყოვლად დაუშვებელია როგორც ერთი ასევე მეორე უკიდურესობა, ე. ი. დაუშვებელია როგორც სამიშ დამნაშავეთათვის ლმობიერი სასჯელის დანიშვნა, ასევე სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომელთაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული, არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და ადვილად შეიძლება გამოსწორდენ ზემოქმედების ისეთი საშუალებებით, რომლებიც დაკავშირებული არ არის საზოგადოებიდან მათ იზოლაციასთან.

სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს რეციდივის გამოვლინებათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით სამიშ დანაშაულთა მნიშვნელოვან ნაწილს იდენენ ადრე ნასამართლევი პირები. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების პრაქტიკაში. ზოგიერთი შრომა-გამასწორებელი დაწესებულების ადმინისტრაცია ფორმალურად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრას, სასამართლო კი ხშირად სარწმუნოდ იღებს წარმოდგენილ მასალებს, სათანადოდ არ სწავლობს მსჯავრდებულის ფაქტიურ ყოფაქცევას და პირობით ვადამდე ათავისუფლებს ისეთ პირებს, რომლებიც მტკიცედ არ დამდგარან გამოსწორების გზაზე. პირობით ვადამდე გათავისუფლება სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა. ამ უფლების განხორციელებისათვის არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმარა მარტო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა მოიხადოს სასჯელის ის მინიმუმი, რომლის შემდეგაც შეიძლება მისი პირობით ვადამდე გათავისუფლება. საჭიროა ამასთან ერთად დადგინდეს, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულმა სამაგალითო საქციელითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით ნამდვილად დაამტკიცა თავისი გამოსწორება. დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს აგრეთვე სასჯელის მოხდის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირთა შრომით მოწყობას, მათ ჩაბმას საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში.

რეციდიულ დანაშაულობათა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა მოითხოვს შრომა-გამასწორებელი ორგანიზაციების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. საბჭოთა შრომა-გამასწორებელი პოლიტიკა ემყარება იმ პრინციპს, რომ არ არსებობს გამოუსწორებელი დამნაშავე და რომ სათანადო ზემოქმედების საშუალებით ყველა გზასაცდენილი ადამიანი შეიძლება ხელახლად აღიზარდოს და დაუბრუნდეს პატიოსან შრომით ცხოვრებას. ამ პრინციპის შესაბამისად შრომა-გამასწორებელ ორგანიზაციებში დამნაშავეთა აღზრდის ორგანიზაცია უნდა მოვაწყოთ იმგვარად, რომ თითოეულმა მსჯავრდებულმა იგრძნოს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, რომ მან თავისი ქმედობით საზოგადოების წინაშე ჩაიდინა დიდი ბოროტება, რომელიც უნდა გამოასწოროს პატიოსანი შრომითა და სამაგალითო საქციელით. მსჯავრდებულთა აღზრდის პროცესში მთელი სისრულით უნდა ვიყენებდეთ არა მარტო მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებებს, არამედ, აგრეთვე, რეჟიმის პირობების კანონით დადგენილ მთელ სისტემას.

სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების განხორციელება მოითხოვს მტკიცე სამეურნეო და სახელშეკრულებო დისციპლინის დამყარებას, საწარმოებში და ორგანიზაციებში იურიდიული სამსახურის როლის ამაღლებას. სამეურნეო ანგარიშიანობა, სახალხო მეურნეობის მართვაში ეკონომიური მეთოდებისა და სტიმულების გაძლიერება შეუძლებელია კანონიერების მტკიცედ დაცვის გარეშე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ყრილობაზე აღნიშნა, რომ კანონიერება წარმოადგენს მეურნეობის ხელმძღვანელობის, სამეურნეო ანგარიშსწორების დანერგვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებას. გამომდინარე აქედან სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების მოვალეობაა გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა სამეურნეო უყაირათობასთან, უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებასთან, სახელმწიფო სახსრების უმიზნოდ ხარჯვასთან, უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურება, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავების სწორად და დროულად გადაწყვეტა.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო მოქალაქეთა კომუნისტური აღზრდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხებს. სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები მთელი თავიანთი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდნენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლშეგნების განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას კომუნისტური ძორალისა და შეგნების მაღალი პრინციპების სულისკვეთებით. გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ კერძო მესაკუთრულ გადმონაშთებსა და მეშჩანურ განწყობილებებს, თითოეულ ადამიანს უნდა ჩავუნერგოთ საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის ჩვევები.

საბჭოთა კანონიერების დაცვა და განმტკიცება გულისხმობს არა მარტო კანონიერების დამრღვევთა სამართლიან დასჯას, არამედ აგრეთვე ყველა იმ აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი ღონისძიებების ფართოდ გატარებას, რომლებიც მიმართულია დანაშაულობისა და სხვა სახის სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისაკენ. ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოება დაინტერესებულია პირველ რიგში იმით, რომ არ მოხდეს დანაშაული, არ დაირღვეს კანონიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების პროფილაქტიკური საქმიანობა: გააქტიურდა მოსახლეობას შორის სამართლებრივი პროპაგანდა, გაიზარდა წარდგინებების, კერძო განჩინებებისა და გამსვლელ სესიებზე განხილულ საქმეთა რიცხვი, კანონიერების განმტკიცების საკითხებზე სათანადო ორგანოებში იგზავნება უამრავი მოხსენებითი ბარათები. მიუხედავად ამისა ეს პროფილაქტიკური ღონისძიებანი ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ იძლევიან სათანადო ეფექტს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი ზედმეტად არის გატაცებული რიცხობრივი მაჩვენებლებით და ნაკლებად ზრუნავს პროფილაქტიკური საქმიანობის ხარისხიანობაზე. პრაქტიკის არსებითად გაცნობა გვიჩვენებს, მაგალითად, რომ არც თუ ისე იშვიათად სასამართლოს გამსვლელი სესიები ტარდება მოუმზადებლად, არაორგანიზებულად, ხოლო ხშირად აღარავის აინტერესებს თუ რა შედეგი მოყვა კონკრეტული დანაშაულის აღმოფხვრის თაობაზე გაგზავნილ წარდგინებასა და კერძო განჩინებას. გასაგებია, რომ საქმისადმი ასეთი ფორმალური მიდგომით შეიძლება შევქმნათ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ილუზიები, მაგრამ სინამდვილეში ვერ მივაღწევთ მის შემცირებას და მითუმეტეს აღმოფხვრას.

სასამართლოების, პროკურატურისა და მილიციის მუშაკების განსაკუთრებულ ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა თავიდან აცილება და აღმოფხვრა. გადაჭრით უნდა ავამაღლოთ ამ კატეგორიის საქმეებზე პროფილაქიტკური მუშაობა, გამოვავლინოთ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის კონკრეტული მიზეზები და მივიღოთ ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

პარტიის XXIII ყრილობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ის გარემოება, რომ სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება და ყველა მოქალაქის მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროში წარმოადგენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნიზმის მშენებლობის შემადგენელ ნაწილს. დიდია საზოგადოების როლი კანონიერების განმტკიცებაში, საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებაში, სუ ლუფრო იზრდება და ფართოვდება სახალხო რაზმელების, ამხანაგური სასამართლოების, არასრულწლოვანთა კომისიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, მტკიცდება და სრულყოფილი ხდება სამართალწარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის ფორმები. სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები მხოლოდ საზოგადოებასთან მჭიდრო, საქმიანი კავშირით, მათი მონაწილეობითა და მხარდაჭერით შეძლებენ იმ დიდი ამოცანების შესრულებას, რომლებიც მათ წინაშეა დასახული. სამწუხაროდ, ფაქტები მეტყველებენ, რომ ზოგიერთ რაიონში შესუსტდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუშაობა, სრულად და ეფექტურად არ ხდება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების მონაწილეობის კანონით გათვალისწინებული ფორმების გამოყენება. ამ საქმეშიც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფორმალობას, სტატისტიკური მაჩვენებლებით გატაცებას. ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი სიტყვით ბევრს ლაპარაკობს კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში საზოგადოების როლის მნიშვნელობაზე, მაგრამ ცოტას აკეთებს, რომ მიიზიდოს და ჩააბას ამ ბრძოლაში ფართო საზოგადოება, დაეხმაროს კანონიერებისათვის მებრძოლ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თავიანთი საქმიანობის სწორ ორგანიზაციასა და წარმართვაში. ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი ასეთი ფორმალური მიდგომა ყოვლად დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პარტიის პროგრამის მოთხოვნას საზოგადოებრივი თვითმმართველობის ყოველმხრივ განვითარების შესახებ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მართლწესრიგის განმტკიცებაში ფართო საზოგადოების მონაწილეობა ეს ერთდროული, კამპანიური ღონისძიება კი არ არის, არამედ სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ძირითადი პრინციპია, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების გენერალური ხაზია.

პარტია გვასწავლის, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს. ამიტომ სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაკები პირადად უნდა იძლეოდნენ კანონიერების ზუსტად დაცვის მაგალითს. კანონის მოთხოვნათა ღრმად ცოდნა და დაცვა მოეთხოვება ყველას და პირველ რიგში მათ, ვისაც უშუალოდ დავალებული აქვს კანონიერებისათვის ბრძოლა. პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა კანონიერება, ამაღლდა კანონიერების დაცვის კულტურა.

მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება პირის უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, ბრალდებულის დაცვის უფლების შეზღუდვის, უსამართლო განაჩენის გამოტანის და კანონიერების სხვა უხეშად დარღვევის შემთხვევები. რა მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს ასეთი ფაქტები სასტიკად უნდა

ვებრძოლოთ მათ, საჯაროდ უნდა ვამხილოთ ყველა ის, ვისაც უნარი არ შესწევს გაიგოს და გამოიყენოს საბჭოთა კანონები.

კანონიერების განმტკიცება, საბჭოთა სამართალწარმოების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის პიროვნებაზე, მათ პარტიულ შეგნებულობასა და შინაგან კულტურაზე. ამიტომ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდას, მათ იდეურ წრთობას, თეორიული ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლებას. საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი, ფართოდ დავნერგოთ პრაქტიკაში მეცნიერების მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები. კანონიერებისათვის ბრძოლის სწორი ორგანიზაცია შეუძლებელია თუ იგი არ ემყარება მეცნიერულ საფუძვლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, მეცნიერი-იურისტები. მათ შორის დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით

ინაური ალექსი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

შრომის წითელი დროშის ორდენით

გერძენიშვილი პავლე ეპიფანეს-ძე — საქართველოს სსრ პროკურორი.

ლომიძე მიხეილ ყარამანის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე.

მაისურაძე ვლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

შევარდნაძე ედუარდ ამბროსის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი.

საპატიო ნიშნის ორდენით

არშბა პლატონ გამაყლის-ძე — აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი.

გაჯელიძე ჯემალ სპენდერის-ძე — აჭარის ასსრ პროკურორი.

გიწაძე გრიგოლ სამსონის-ძე — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე

გაპონცევი ივანე იოსების-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გელაშვილი პეტრე გიორგის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსი.

გიორგაძე სტეფანე ანტონის-ძე — გორის რაიონის სახალხო მოსამართლე.

გოგუაძე ენვერი გრიგოლის-ძე — მახარაძის რაიონის პროკურორი.

დოლიძე ისიდორე სამსონის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ვაჩაძე ალექსანდრე იოგის-ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ზარდალიშვილი შოთა ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე.

ინწკირველი გიორგი ზაქარიას-ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

კაციტაძე გორის გაბრიელის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

კაციტაძე ოთარ ქრისტეფორეს-ძე — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქტორი.

კოვლამაზაშვილი იოსებ თომას-ძე — გურჯაანის რაიონის სახალხო მოსამართლე.

ლორია დურმიშხან ანთიმოზის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისურაძე ნოდარ შალვას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

მიხაილოვი ვლადიმერ პეტრეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

პილიუგინი თეოდორე სერგის-ძე — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

სტურუა ალექსანდრე ლუკას-ძე — ქ. თბილისის 26 კომისრის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

ტაკიძე არონ ერმილეს-ძე — ქ. თბილისის პროკურორი.

ქაჯაია სერგი იასონის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ქურდაშვილი მიხეილ ისაკის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

შადური ვალენტინა იოსების ასული — ყაზბეგის რაიონის პროკურორი.

შელია გიორგი რაჟდენის-ძე — აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი.

ჩიქოვანი ტიტე სამსონის-ძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

ცხოვრებოვი ზაურ გაბრიელის-ძე — მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ოლქის საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი.

ჯორბენაძე სერგო მონასის-ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

მედლით ზრომითი მამაცობისათვის

არგუნი მეჯით მუსტაფას-ძე — აფხაზეთის ასსრ პროკურორი.

არავიაშვილი გარგარე იოსების ასული — ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

ახობა მაქსიმე პავლეს-ძე — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის პროკურორი.

გარამიძე ვასილ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გუგაშვილი ტარასი სევერიანეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

გვარამაძე შალვა ონისიმეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგის მოადგილე.

გვარამია პავლე ვარლენის-ძე — მშრომელთა დეპუტატების წყალტუბოს რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილე.

დადიანი თამარ გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის უფროსი კონსულტანტი.

დვალიძე გიორგი ვათეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

ელოშვილი ილია ნიკოლოზის-ძე — თეთრი წყაროს რაიონის პროკურორი.

თოდრია გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე.

იოსავა გიორგი ყირიმის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

მაისურაძე მიმლი ზაქარიას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

მაკარიძე სოლომონ გურანის-ძე — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მამედოვი ენვერ აბდულას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

მარკოიშვილი ამბროსი სპირიდონის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სატრანსპორტო მილიციის განყოფილების უფროსი.

მაჭავარიანი მირიან მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონაძე ზოთა მალაქიას-ძე — ქ. ფიათურის პროკურორი.

ნადირაძე გრიგოლ რომანოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

ნადირაძე მიხეილ იასონის-ძე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი.

პაიჭაძე აკაკი ნიკიფორეს-ძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სამხარაძე ვლადიმერ მინაგოს-ძე — ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

ფინენკო ალექსანდრე იაკობის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე.

ფხაკაძე ოთარ გიორგის-ძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ღვინჯილია ვლადიმერ ნესტორის-ძე — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

ღლონტი ამბროსი მაქსიმეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე.

ჭაველაშვილი ზოთა სამსონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

ჩიხორია მიხეილ სპირიდონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

ციხისელი რაჟდენ პავლეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე.

ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ჯაფარიძე მამია ეგნატეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ჯაფარიძე სიმონ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის განყოფილების უფროსი.

მედლით ზრომითი წარჩინებისათვის

გენგიური ზოთა სიმონის-ძე — მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილე.

კაჩმაზოვა ვერა ვასილის ასული — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე.

მამუჩაშვილი მიხეილ ვლადიმერის-ძე — დუშეთის რაიონის პროკურორი.

მარგიევი გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის თანაშემწე.

მჟავანაძე სამუელ აპოლონის-ძე — მშრომელთა დეპუტატების ლანჩხუთის რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი.

ნოზაძე პავლე გესარიონის-ძე — მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი.

პაპუაშვილი უშანგი მიხეილის-ძე — მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი.

როსტოშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე — მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი.

ფირცხალავა ვარლამ იულონის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯგუფის უფროსი.

ქვემოკლიძე იონა სტეფანეს-ძე — ქ. თბილისის ლენინის რაიონის მილიციონერი.

ღუდუშაური ირაკლი ესტატეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების გარდაბნის რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი.

შამგა მირონ მიხეილის-ძე — ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

ჭურღულია ლევან დანიელის-ძე — მშრომელთა დეპუტატების წალენჯიხის რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების იმ საგამომძიებლო მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ:

შრომის წითელი დროშის ორდენით

ტვილდიანი სპირიდონ გაგრატის-ძე

„საპატიო ნიშნის" ორდენით

1. გელიაევა ლარისა ალექსანდრეს ასული
2. ჯავაშვილი ილია იოსების-ძე
3. შენგელია შალვა ვასას-ძე

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

მატკავა დავით ვლადიმერის-ძე

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. ლომთათიძე ირაკლი ნიკიფორეს-ძე
2. მეგონია ალექსი აკაკის-ძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1966 წლის 3 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:

1. ბარათაშვილს გიძინა არჩილის-ძეს — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრს.
2. ბერძენიშვილს პავლე ეპიფანეს-ძეს — საქართველოს სსრ პროკურორს.
3. გიწაძეს გრიგოლ სამსონის-ძეს — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეს.
4. გუგაშვილს ტარასი სევერიანეს-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ზედგინიძეს ალექსი ვასილის-ძეს — პენსიონერს.

6. თარხნიშვილს გიორგი ესტატეს-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის იურისკონსულტს.

7. იოსავას გიორგი ყირიმის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

8. კალანტაროვს კალანტარ სიმონის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს იურიდიული სექტორის უფროსს.

9. კაპანაძეს უშანგი თეიმურაზის-ძეს — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრს.

10. კოხრეიძეს ლუგა მოსეს ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

11. კურასკუას დათიკო კონსტანტინეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

12. ლომიძეს მიხეილ ყარამანის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არ-

13. მახათაძეს ლევან ერასტის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტს.

14. მაჰაგარიანს მირიან მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგეს.

15. ნადირაძეს გრიგოლ რომანოზის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს.

16. პაიჭაძეს აკაკი ნიკიფორეს-ძეს — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

17. ტაკიძეს არონ ერმილეს-ძეს — ქ. თბილისის პროკურორს.

18. ქაჯაიას სერგო იასონის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

19. ღლონტს ამბროსი მაქსიმეს-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების საკითხების განყოფილების გამგეს.

20. ფერეთელს ნიკოლოზ იოსების-ძეს — საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული განყოფილების გამგეს.

21. ხმალაძეს ვასილ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

22. ხვედელიძეს თინათინ სოლომონის ასულს — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1966 წლის 12 მაისი.

ჟურნალ „საბჭოთა სამართალის“ სარედაქციო კოლეგია და კოლექტივი ქართველი იურისტების, ჟურნალის მკითხველთა სახელით გულითადად ულოცავს ამხანაგებს მთავრობის მაღალი ჯილდოების ვილებას, აგრეთვე საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის ფოდეგის მინიჭებას, უსურვებს მათ ახალ წარმატებებს მუშაობაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი

საბჭოთა სოციალისტურმა დემოკრატიამ ახალი დიდი გამარჯვება იზეიმა. 1966 წლის 12 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში საბჭოთა ადამიანებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ერთგულება კომუნისტური პარტიისა და თავისი სახელმწიფოსადმი.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო ჭეშმარიტად სახალხო მმართველობას გამოხატავს. მთელი ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში ეკუთვნის ქალაქის და სოფლის მშრომელებს. თავიანთ ძალაუფლებას ისინი ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით — დაწყებული სასოფლო და საქალაქო საბჭოებიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთელი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოა. მისი ნამდვილად სახალხო წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმით და სახელმწიფო ხელისუფლების ამ უმაღლესი ორგანოს შექმნის წესით, რაც ხელს უწყობს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინებას და მათ მაღალ პოლიტიკურ აქტივობას. ხელისუფლების ორგანოებში მშრომელთა წარმომადგენლობის რეალურ გარანტიას წარმოადგენს ის, რომ არჩევნები საყოველთაოა, ყველა მოქალაქე თანასწორ საფუძველზე ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას, პირდაპირი არჩევნების გზით და ფარული კენჭისყრის პირობებში. გარდა ამისა, ამომრჩეველთა სიების შედგენა, ამომრჩეველთა უფლებების დაცვის სასამართლო და ადმინისტრაციული წესი, საარჩევნო უბნების ორგანიზაცია ხელს უწყობდა იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა თითქმის ასი პროცენტი მონაწილეობს. ასე მაგალითად, 1966 წლის 12 ივნისის არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 143917031 კაცმა, რაც შეადგენდა ხმის უფლების მქონეთა 99,94 პროცენტს, ე. ი. ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა სრულწლოვანმა ადამიანმა.

იმისათვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს როლის შესრულებაც შეძლოს, კონსტიტუციის მიხედვით დადგენილია მისი ორპალატიანი სტრუქტურა. უმაღლესი საბჭოს ერთ პალატაში — კავშირის საბჭოში წარმოდგენილია ჩვენი სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის საერთო ინტერესები მიუხედავად მათი ეროვნებისა. მაგრამ სსრ კავშირის ხალხებს, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებსა და ეროვნებებს, საერთო ინტერესებთან ერთად გააჩნიათ თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რაც მათი ეროვნული თავისებურებებით არის განპირობებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ ორი პალატის დანიშნულებიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი ნორმები თითოეული მათგანისათვის თავისებურად არის დადგენილი. კავშირის საბჭოს მოქალაქეები ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 300 ათას მცხოვრებზე, ხოლო ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის დადგენილია შემდეგი ნორმები: 32 დეპუტატი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისაგან, 11 დეპუტატი ავტონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიური რესპუბლიკისაგან, 5 დეპუტატი ავტონომიური ოლქისაგან და თითო დეპუტატი ნაციონალური ოკრუგისაგან. როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროამდე ეროვნებათა საბჭოში თვითეული რესპუბლიკისაგან ირჩევდნენ 25 დეპუტატს, მაგრამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 19 მარტის ბრძანებულებით მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლობა გაფართოებულ იქნა და გაიზარდა 32 დეპუტატამდე.

წარმომადგენლობის დადგენილი ნორმების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში არჩეული იქნენ 1517 დეპუტატი; აქედან 767 დეპუტატი ეროვნებათა საბჭოში და 750 დეპუტატი კავშირის საბჭოში. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან არჩეულ იქნა 74 დეპუტატი: 15 — კავშირის საბჭოში (მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე) და 59 ეროვნებათა საბჭოში (32 როგორც მოკავშირე რესპუბლიკისაგან, 11—11 აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკებისაგან და 5 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობითი ხასიათი მკაფიოდ კლინდება დეპუტატების შემადგენლობაშიც. 1962 წელს არჩეულ 1443 დეპუტატიდან დაახლოებით ნახევარი უშუალოდ წარმოებას ემსახურებიან. უმაღლეს საბჭოში არჩეული არიან აგრეთვე სამეცნიერო, ტექნიკური, მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსამსახურენი, სამეურნეო მუშაკები, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი; დეპუტატთა შორის 390 ქალია, 1094 დეპუტატი სკკპ წევრი ან წევრობის კანდიდატია; ბევრი დეპუტატი საბჭოთა კავშირის გმირია, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული, სპატიო წოდებათა მქონენი და ა. შ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთელი საბჭოთა ხალხის სუვერენიტეტს გამოხატავს. როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, იგი ახორციელებს ყველა იმ უფლებას, რომელიც კონსტიტუციით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს ენიჭება. საკავშირო ხელისუფლების ეს უფლებები, რომლებიც კონსტიტუციის 14-ე მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება შემდეგ ჯგუფებად შეიძლება იქნას დაყოფილი:

1) სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ომისა და ზავის შესახებ, საგარეო ვაჭრობის შესახებ, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია და მთელი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა;

2) სამეურნეო მშენებლობის, ეკონომიკის განვითარების საკითხები ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმების დადგენა, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ბანკების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო წარმოება-დაწესებულებების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საერთო ხელმძღვანელობა;

3) სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხები, მაგალითად, სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაცია, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში ძირითადი საფუძვლების დადგენა;

4) საკითხები, რომლებიც დაკავშირებული მთლიანად სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთობასთან, სახელდობრ, სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი მოკავშირე რესპუბლიკების მიღება, მოკავშირე რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკებს შორის საზღვრების ცვლილებათა დამტკიცება, მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცება;

5) კანონმდებლობა საკავშირო მოქალაქეობისა და უცხოელთა უფლებების შესახებ, შრომის კანონმდებლობის საფუძვლების, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების დადგენა, აგრეთვე, სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების კანონმდებლობის საფუძვლების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება, კონტროლი სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვისადმი და იმის უზრუნველყოფა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას.

ზემოაღნიშნულის გარდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, უფლებამოსილია მიიღოს და შეცვალოს სსრ კავშირის კონსტიტუცია, განსაზღვროს სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, მათი შექმნის წესი და კომპეტენცია, გააკონტროლოს მათი საქმიანობა, აგრეთვე უშუალოდ ჩამოაყალიბოს სხვა უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოები. კერძოდ, უმაღლესი საბჭო ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ქმნის მთავრობას — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ირჩევს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს, ნიშნავს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამგებლობისადმი მიკუთვნებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა ხდება პერიოდულ სესიებზე, რომლებსაც წელიწადში ორჯერ იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. რიგგარეშე სესიები შეიძლება მოწვეულ იქნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შეხედულებისამებრ ან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით. დამკვიდრებული ტრადიციით ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას ცალცალკე პალატების მიხედვით ხსნიან უხუცესი დეპუტატები, რომლებიც ატარებენ შესაბამისი პალატების თავმჯდომარეებისა და მათი ოთხ-ორხი მოადგილის არჩევას.

Г-2599.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარენი ხელმძღვანელობენ სათანადო პალატების სხდომებს და განაგებენ მათ შინაგანაწესს. თვითეული პალატის პირველსავე სხდომაზე მიიღება საერთო რეგლამენტი — პალატების გაერთიანებული და ცალკე სხდომების მუშაობის წესი, დგინდება სესიის დღის წესრიგი. ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომებს რიგრიგობით უძღვებიან კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად საკითხების შეტანის უფლებით სარგებლობენ: ორივე პალატა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მთავრობა, პალატების მუდმივი კომისიები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. მოხსენებებს, ჩვეულებრივ, ისმენენ პალატების გაერთიანებულ სხდომებზე, ხოლო განხილვა წარმოებს როგორც გაერთიანებულ, ასევე თვითეული პალატის სხდომებზე. იმისდა მიხედვით, თუ როგორ გადაწყვეტენ პალატები. გადაწყვეტილების მისაღებად საკამარისია თვითეული პალატის ხმების უბრალო უმრავლესობა, ხოლო კონსტიტუციის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია თვითეული პალატის ხმების სულ მცირე 2/3 უმრავლესობა.

თავის უფლებამოსილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ახორციელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესად კანონების გამოცემით. იგი ერთადერთი საკანონმდებლო ორგანოა საბჭოთა სახელმწიფოში. ამის შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციის 32-ე მუხლში აღნიშნულია: „სსრ კავშირის საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო". კანონები ქვეყნდება არა უგვიანეს 7 დღისა მათი დამტკიცებიდან სპეციალურ ბეჭდვით ორგანოში „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში", რომელიც გამოდის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, აგრეთვე გაზეთ „იზვესტიაში" უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის მდივნის ხელმოწერით. დასახელებულ ბეჭდვით ორგანოებში მოთავსებული კანონის ტექსტი ითვლება ოფიციალურ ტექსტად, გარდა ამისა იგი ქვეყნდება ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებსა და ჟურნალებში, ხდება მისი გადაცემა რადიოთი და ა. შ. კანონები ძალაში შედიან ოფიციალური ტექსტის გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თვით კანონშია აღნიშნული მისი მოქმედებაში შესვლის რაიმე სხვა ვადა). კანონებს გარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო თავისი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ღებულობს სხვა აქტებსაც — დადგენილებებს, დეკლარაციებს, განცხადებებს, მიმართვებს, მისალმებებს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ნორმატიული ხასიათისა იყოს.

უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი შეუზღუდავი უფლება—კონტროლი გაუწიოს სახელმწიფოს ყველა ორგანოს მუშაობას. ასეთი კონტროლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ის, რომ უმაღლესი საბჭოს თითოეულ დეპუტატს აქვს ე. წ. შეკითხვის უფლება, ე. ი. შეუძლია მიმართოს სსრ კავშირის მთავრობას ან რომელიმე მინისტრს მათი საქმიანობის საკითხებზე, ხოლო ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაში გასცენ წერილობითი ან ზეპირი პასუხი ასეთ შეკითხვაზე. სახელმწიფო ორგანოების მიმართ უმაღლესი საბჭოს კონტროლის განხორციელების მეორე ფორმას წარმოადგენს უფლება — საჭირო შემთხვევაში შექმნას საგამომძიებლო, სარევიზიო და სხვა დროებითი კომისიები, რომელთა მოთხოვნებს ყველა დაწესებულება და თანამდებობის პირი უნდა დაემორჩილოს. უმაღლეს საბჭოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შექმნას სხვა დროებითი კომისიებიც, რომლებიც დაკისრებული საქმის შესრულების შემდეგ წყვეტენ არსებობას.

რაც შეეხება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიებს, ისინი შესაბამისი პალატის მიერ აირჩევიან უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების მთელი ვადით. ეს კომისიები თვითეულ პალატაში შემდეგია: საკანონმდებლო განზრახულობათა, საბიუჯეტო და საგარეო საქმეთა; გარდა ამისა ეროვნებათა საბჭო კიდევ ქმნის ეკონომიურ კომისიას. უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, როგორც პალატების ორგანოებს, ეკისრებათ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად გასატანი აქტების პროექტთა შემუშავება, წინასწარი განხილვა, უმაღლესი საბჭოსადმი დაქვემდებარებული მმართველობის ორგანოთა საქმიანობის კონტროლი, მიღებული კანონების ცხოვრებაში გატარებისათვის ხელის შეწყობა.

თვითეული მუდმივი კომისია აირჩევა პალატების მიერ განსაზღვრული რაოდენობით უმაღლესი საბჭოს დეპუტატისაგან, თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლობით, კომისიის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრება შეუძლია უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატს; ცალკეული საკითხების განხილვისას კომისიებს შეუძლიათ მიიწვიონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლები და სპეციალისტები. მთელ თავის საქმიანობაში კომისიები პასუხისმგებელნი არიან სათანადო პალატების წინაშე, ხოლო სესიათა შორის პერიოდში — პალატების თავმჯდომარეთა წინაშე.

გარდა ზემოდასახელებულ მუდმივი და დროებით კომისიებისა კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო ირჩევენ სამანდატო კომისიებს, რომლებიც ამოწმებენ დეპუტატთა რწმუნებებს და პალატებს აცნობენ მონაცემებს უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შემადგენლობის შესახებ. სესიათა შორის პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს ასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელსაც უმაღლესი საბჭო ირჩევს თავისი დეპუტატების რიცხვიდან ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის 15 მოადგილე (მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის შესაბამისად), პრეზიდიუმის მდივანი და 16 წევრი.

განსხვავებით უმაღლესი საბჭოსაგან მისი პრეზიდიუმი მუდმივად მოქმედი ორგანოა, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოს კოლეგიალურ პრეზიდენტს უწოდებენ. მთელს თავის მოღვაწეობაში იგი ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე.

კონსტიტუციის მიხედვით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრება. სესიათა შორის პერიოდში მას უხდება ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც არსებითად უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში შედის და ამიტომ ამგვარ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი უეჭველად უნდა დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს უახლოეს სესიაზე. კერძოდ, ცალკეული მინისტრების განთავისუფლება და დანიშვნა მთავრობის თავმჯდომარის წარდგენით, ახალი სამინისტროების შექმნა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნა, მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში ახალი მხარეების, ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცება. მოქმედ კანონმდებლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა და ა. შ. ხოლო ის საკითხები, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა კონსტიტუციის მიერ უშუალოდ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აქვს დაკისრებული, მეტად მრავალფეროვანია. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია მოხადინოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია ან დენონსაცია, დანიშნოს სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლები ძალების უმაღლესი სარდლობა, გამოაცხადოს საერთო ან ნაწილობრივი მობილიზაცია, საჭიროების შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს სესიათაშორის პერიოდში გამოაცხადოს ომის მდგომარეობა, კონტროლი გაუწიოს მმართველობის ორგანოთა საქმიანობას, მოისმინოს მთავრობის ან ცალკეული მინისტრების ანგარიში. მის კომპენტენციაში შედის აგრეთვე სსრ კავშირის ორდენების, მედლებისა და საპატიო წოდებების დაწესება, ორდენებითა მედლებით დაჯილდოება, საპატიო წოდების მინიჭება, პატიების უფლების განხორციელება და ა. შ.

ზემოაღნიშნული ძირითადი უფლებამოსილების გარდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ევალება მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით და ზოგიერთი ორგანიზაციულ-პოლიტიკური საკითხის მოგვარება. მაგალითად, უმაღლესი საბჭოს სესიების მოწვევა, უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნა და სხვა. იგი სარგებლობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით და იძლევა მოქმედი კანონების ახსნა-განმარტებას.

თავისი საქმიანობის პროცესში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს უმთავრესად ბრძანებულებებს, ზოგჯერ კი დადგენილებებს.

საბჭოთა ხალხმა უმაღლეს საბჭოში აირჩია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებსაც შესწევთ უნარი აქტიურად იბრძოლონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისათვის. მათი, როგორც ხალხის მსახურთა მოვალეობაა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობა დაუქვემდებაროონ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯელის არსი და მიზნები

მ. ვეფხვაძე

ექსპლოატატორულ საზოგადოებაში სასჯელი წარმოადგენდა ექსპლოატირებული უმრავლესობის დათრგუნვის მძლავრ იარაღს. მისი საშუალებით გაბატონებული კლასი ინარჩუნებდა ძალაუფლებას, ახშობდა მშრომელი მასების ყოველგვარ წინააღმდეგობას.

„სასჯელი, — წერდა მარქსი, — „სხვა არა არის რა თუ არა, საზოგადოების თავდაცვის საშუალება, მისი არსებობის პირობების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ“[1].

ბურჟუაზიული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსები ფორმალურად აღიარებენ კანონმდებლობის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს — „არ არის დანაშაული და სასჯელი თუ იგი მითითებული არ არის კანონში“, აგრეთვე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან სასჯელის სიმძიმის შესაბამისობის პრინციპს, მაგრამ მათ ბურჟუაზია არ იცავს.

გაბატონებული ბურჟუაზია რომელსაც ეკუთვნის საკანონმდებლო უფლება — მოსილება, დანაშაულად აცხადებს ყოველ მოქმედებას მიმართულს კაპიტალისტური სახელმწიფო წყობილებისა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ. ამასთან ისინი დასჯადად აცხადებენ მშრომელი მასების ელემენტარულ მოთხოვნებს პოლიტიკური უფლებების გაფართოებისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მუშათა კლასის დარაზმულობისა და წინააღმდეგობის გაძლიერების შესაბამისად იცვლება სასჯელების სახეებიც. იგი მით უფრო რეაქციული ხდება, რაც უფრო ირყევა იმპერიალიზმის საფუძვლები.

იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზია თანდათანობით უარყოფს მის მიერ ადრე აღიარებულ სისხლის სამართლის დემოკრატიულ პრინციპებს და იყენებს კანონებს განუსაზღვრელი დისპოზიციით, რაც მათ საშუალებას აძლევს მკაცრად დასაჯონ პოლიტიკური და იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი.

ექსპლუატატორულ საზოგადოებაში სასჯელი ყოველთვის არის სამაგიეროს მიზღვა იმ დანაშაულისათვის, რაც პირმა ჩაიდინა.

დამნაშავე პირისათვის სამაგიეროს მიზღვა ისეთ ხასიათს ატარებდა, რომ იგი ციხიდან გამოსვლის შემდეგ მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მუშაობის მორჩილი, როგორც ცხვარი, კაპიტალისტების სასარგებლოდ ფაბრიკის კედლებში, მამულებში, მაღაროებში, რკინიგზებზე, წყლის მიმოსვლის გზებზე და ასე შემდეგ, ხელს უწყობს მათ შემოსავლის მიღებაში და მშიერი

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, соч. т. IX. стр. 89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუცლით, როდესაც გაივლიდა კარტოფილის ნათესებს, ვერ ბედავდა აეღო ერთი ბოლქვიც კი"[1].

სასჯელი, სამაგიეროს მიზღვის გარდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე მიზნად ისახავს ზოგად პრევენციასაც „კლასობრივ საზოგადოებაში მიღებულია უტილიტარული მიზნებიც: სახელმწიფო არ კმაყოფილდება მხოლოდ სამაგიეროს მიზღვით, იგი სასჯელს უსახავს აგრეთვე პრაქტიკულ საზოგადოებრივად (ბურჟუაზიისათვის) სასარგებლო მიზნებს, იგი ცნობს პრევენციის ამოცანებს"[2].

ზემო ნათქვამიდან ჩანს, რომ სასჯელი მიზნად ისახავს იმას, რომ აცილებული იქნეს ახალი დანაშაულის ჩადენა (ზოგადი პრევენცია) და გამოსწორებული იქნეს დამნაშავე (კერძო პრევენცია). ამის მიღწევისათვის კლასიკური სკოლის წარმომადგენელი ანსელმომ ფეიერბახი წინადადებას იძლეოდა, რომ „სასჯელის დანიშვნის ორგანიზაცია იმგვარად მომხდარიყო, რომ დამნაშავისადმი მიყენებული ტანჯვა და აღკვეთა უფრო მეტი ყოფილიყოს, ვიდრე მის მიერ დანაშაულის ჩადენით მიღებული სიამოვნება, რაც თავისთავად ზემოქმედებას მოახდენდა ადამიანთა ფსიქიკაზე და აიძულებდა მათ თავი შეეკავებინათ დანაშაულის ჩადენისაგან..."[3]

სასჯელის მიზნებსა და ამოცანებზე თანამედროვე იმპერიალისტურ სახელმწიფოებში სხვადასხვა მიმდინარეობები და თეორიები არსებობენ, რომლებიც მიზნად ისახავენ შენიღბონ სასჯელის კლასობრივი არსი.

ეს თეორიები, როგორც ს. გ. კულინა აღნიშნავს სასჯელის დანიშვნის საკითხში სრულ თვითნებობას ქადაგებენ. მათი შეხედულებით „სასჯელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრალის გარეშე პირის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საშიშროებას დამყარებული წყობილებისათვის"[4].

ბურჟუაზიული სისხლის სამართლით გათვალისწინებულ სასჯელთა სისტემაში ყველაზე გავრცელებულია თავისუფლების აღკვეთა, მათ შორის ციხესა და საკონცენტრაციო ბანაკებში.

პოლიტიკური დამნაშავეებისათვის, დაწესებულია იზოლირებული პატიმრობა (ერთი პატიმარი ერთ საკანში). პატიმრობის ვადები ძალიან დიდია, ხშირად სასჯელად გამოყენებულია მუდმივი პატიმრობა.

სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე თავის ნაშრომებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა სასჯელს, როგორც სახელმწიფო იძულების ფორმას. მას თვლიდა ყოველთვის კლასობრივ კატეგორიად და განმარტავდა მუშათა კლასის დიქტატურის პირობებში მის მნიშვნელობას.

ბროშურაში „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას"? ლენინი წერდა — „კაპიტალისტთა მთელი კლასი უაღრესად შეუპოვარ წინააღმდეგობა გაგვიწევს, მაგრამ მთელი მოსახლეობის დარაზმვით საბჭოებად ეს წინააღმდეგობა გატეხილი იქნება"[5]. ეს წინააღმდეგობა, როგორც ლენინი ამ-

---

1 К. Маркс, Ф. Энгельс, соч. т. V стр. 806.

2 ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი 1960 წ. გვ. 6-7.

3 Советское уголовное право, ч. общая 1964 г. стр. 114—115.

4 Советское уголовное право, ч. общая 1964 г. стр. 425.

5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26 გვ. 15, IV გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა, დათრგუნული იქნება ისეთივე საშუალებებით, როგორითაც მქონებელი კლასი თრგუნავდა პროლეტარიატს.

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ მუშათა კლასს დასჭირდებოდა მთელი ძალების დაძაბვა კაპიტალისტების წინააღმდეგობის დასაძლევად, ის ვინც არ დაემორჩილება მუშათა კლასს და შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევს, —ამბობდა ლენინი, — საჭირო იქნება დაისაჯოს ქონების კონფისკაციით და ციხით, ამასთანავე ვ. ი. ლენინი არ გამორიცხავდა ექსპლოატატორული კლასესების წინააღმდეგობის დასათრგუნავად სიკვდილით დასჯის სასჯელის გამოყენებას.

სოციალისტური სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე სასჯელს იყენებდა, როგორც სახელმწიფო იძულების ღონისძიებას დამნაშავეების მიმართ და არასდროს არ ჩქმალავდა მის კლასობრივ არსს. „მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომ ექსპლოატატორებმა. ე. ი. კაპიტალისტებმა, დაიწყეს წინააღმდეგობის გაძლიერება, ჩვენ დავიწყეთ მათი სისტემატიური ჩახშობა, ტეროორიც კი. ეს იყო პროლეტარიატის პასუხი ბურჟუაზიის ისეთ მოქმედებაზე, რაც გამოიხატა გერმანიის, ინგლისის, იაპონიის, ამერიკის, საფრანგეთის კაპიტალისტებთან შეთქმულებაში რუსეთში ექსპლოატატორების ძალაუფლების აღდგენისათვის“[1].

რევოლუციის პირველ წლებში არ იყო შემუშავებული დანაშაულისა და სასჯელთა ერთიანი სისტემა, იგი მოცემული იყო ცალკეულ დეკრეტებსა და დადგენილებებში, რომლებსაც იღებდა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო.

1919 წლის 12 დეკემბერს რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მიიღო და დაამტკიცა „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისები“. ეს არ იყო საკანონმდებლო აქტი, მაგრამ ეს წარმოადგენდა ოქტომბრის რევოლუციის პირველი ორი წლის განმავლობაში მიღებული სისხლის სამართლის ნორმების ჩამოყალიბების პირველ ცდას, როგორც დანაშაულზე ასევე სასჯელზე. მისი ძირითადი დებულებები შემდგეში ათვისებული იქნა რუსეთისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ.

საწყისების მე-7 მუხლში სასჯელი განმარტებული იყო, როგორც იძულებითი ზემოქმედების ის ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ხელისუფლება უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობას და დამყარებულ წესწყობილებას დამრღვევთა (დამნაშავეთა) ხელყოფისაგან.

საწყისების მე-3 მუხლში აღნიშნული იყო, რომ რეპრესიის მეშვეობით დაცულია საზოგადოებრივი ურთიერთობის ის სისტემა, რომელიც ყალიბდება გაბატონებულ კლასად პროლეტარიატის დიქტატურისას, კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ პერიოდში. ეს იყო სასჯელის არსის პირველი განმარტება სოციალისტურ სისხლის სამართალში.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტმა 1922 წლის 1 ივნისს სამოქმედოდ შემოიღო რუსეთის ფედერაციის 1922 წლის პირველი სისხლის სამართლის კოდექსი. კოდექსის მერვე მუხლში მოხსენებულია, სასჯელი და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებანი, ამსთანავე არ იძლევა განმარტებას თუ რა არის სასჯელი ან სოციალური დაცვის ღონისძიება, მაგრამ

[1] ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 29. გვ. 612, IV გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდექსის მე-5 მუხლში სადაც ლაპარაკია სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანებზე, აღნიშნულია, რომ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექის ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა სახელმწიფოს დაცვა დანაშაულისა და საზოგადოებრივად საშიში ელემენტებისაგან და ამ დაცვას რევოლუციური მართლწესრიგის დამრღვევთა მიმართ ახორციელებს სასჯელისა და სხვა სოციალური დაცვის ღონისძიებების გამოყენებით. მაშასადამე, ამ კოდექსის მიხედვით სასჯელი და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებები წარმოადგენენ სახელმწიფო იძულებით ღონისძიებას, რომელიც შეეფარდება დამნაშავეებს და საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებს, რომლებიც ხელყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს.

როგორც კოდექსის ყველა ძირითადი მუხლებიდან ჩანს სასჯელის შეფარდების საფუძველს ყველა შემთხვევაში წარმოადგენდა დამნაშავის ბრალი ჩადენილ ქმედობაში. ხოლო სოციალური დაცვის ღონისძიებების შეფარდების საფუძველს კოდექსის მე-17 და 46-ე მუხლების მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში ბრალი არ წარმოადგენდა და იგი შეეფარდებოდა სოციალურად საშიშ პირს ბრალის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი საბჭოთა კანონები და დეკრეტები, სახელმწიფოს იძულებით ზემოქმედებას დამნაშავეების წინააღმდეგ ხედავენ სასჯელში, რუსეთის ფედერაციის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის გვერდით შეტანილია ტერმინი — სოციალური დაცვის ღონისძიება, რომელიც გადმოტანილია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის მიუღებელ სოციოლოგიური სკოლიდან.

კიდევ მეტი „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საწყისებში“ (დაამტკიცა სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1924 წლის 31 ოქტომბერს) სასჯელის ტერმინი მთლიანად ამოღებული იქნა და მის ნაცვლად შემოიღეს სოციალური დაცვის ღონისძიება.

საბჭოთა სისხლის სამართლისათვის უცხო ტერმინი სოციალური დაცვის ღონისძიება, რომელიც სასჯელის ნაცვლად შემოიღო ძირითადმა საწყისებმა, დამკვიდრდა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში და მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 1922 წლის კოდექსში.

მას შემდეგ რაც 1934 წლის 8 ივნისს მიღებულ იქნა კანონი სამშობლოს ღალატის შესახებ, რომელმაც იხმარა ტერმინი სასჯელი, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კვლავ აღდგენილი იქნა იგი. შემდეგში ტერმინი სასჯელი განმეორებული იქნა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების 1938 წლის სასამართლო წყობილების კანონში. თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ამ ტერმინის ხმარება სრულიად არ გულისხმობს, რომ იგი მსგავსია ბურჟუაზიული სისხლის სამართლის სასჯელის, რომელიც გულისხმობს სამაგიეროს მიზღვას, შურისძიებას.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სასჯელი ყოველთვის გულისხმობს დამნაშავის და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მორალურ-პოლიტიკურ გაკიცხვას, როგორც სახელმწიფოს მიერ ასევე მშრომელი მასების მიერ, რადგან სახელმწიფოს და პიროვნების ინტერესი ჩვენში განუყრელია. საზოგადოებრიობა დამნაშავისადმი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის გამოყენებით გამოხატავს თავის გულისწყრომას და შეურიგებლობას მისთვის მიუღებული ქცევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პირველი მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია. რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა დანაშაულებრივი, და აწესებს სასჯელს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ყველა ეტაპზე, როგორც საერთო საკავშირო კანონებით ასევე მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით, სასჯელი ეფარდებათ იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ე. ი. დანაშაული და ბრალი მიუძღვით ამ დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს როგორც სახელმძღვანელო საწყისების, ასევე რუსეთის სფსრ პირველი კოდექსის, ძირითადი საწყისების და მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მიღებული კოდექსების კონსტრუქციებიდან, თუმცა ძირითადი დებულება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ არც ერთ სისხლის სამართლის საკანონმდებლო აქტში გარკვევით არ იყო მოცემული. ეს ხშირად ხელს უწყობდა საბჭოთა კანონიერების დარღვევას, განსაკუთრებით სოციალისტური კანონიერების დარღვევის პერიოდში.

ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ქონდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. საბჭოთა სისხლის სამართლის ისტორიაში პირველად ეს საკითხი გადაწყვიტა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა, რომლის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში. ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით“.

გარდამავალ პერიოდში სასჯელის მიზანს ჩვენში წარმოადგენდა კლასობრივი მტრების შეუპოვარი კონტრრევოლუციური ძალების განადგურება, ხოლო დანარჩენის დაშინება. ამასთანავე ვ. ი. ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ ტერორი და რეპრესიები არ არის ერთადერთი საშუალება ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დაძლევისა და პროლეტარიატის დიქტატურისადმი მათი დამორჩილებისა.

გარდა იძულების, სასჯელის მიზანს მაშინ წარმოადგენდა იმ წვრილბურჟუაზიული მასების დარწმუნება, რომლებმაც თანდათანობით იწყეს შემოტრიალება რევოლუციური მუშათა კლასისაკენ. იძულება შეხამებული უნდა ყოფილიყო დარწმუნებასთან.

გარდა ამისა სასჯელის მეშვეობით სასამართლოებს უნდა განეხორციელებინათ მოსახლეობაში შრომის დისციპლინის აღზრდა.

„სასამართლოებს ეკისრებათ, სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა მშრომელთა დისციპლინის და თვითდისციპლინის უმკაცრესი გატარების უზრუნველყოფა... ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო, ჩვენ გვესაჭიროება იძულება. პროლეტარული სახელმწიფოს იმ ორგანოს რომელიც ასეთ იძულებას ანხორციელებს, უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა სასამართლოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათ ეკისრებათ შრომის დისციპლინისათვის მოსახლეობის აღზრდის უდიდესი ამოცანა"[1].

ვ. ი. ლენინი წინააღმდეგი იყო დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის შაბლონური მეთოდებისა, იგი მიუთითებდა ამ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებზე და სასჯელის გამოყენებისას ყურადღებას ამახვილებდა მის მნიშვნელობაზე დამნაშავის აღზრდისა და გამოსწორების საქმეში.

ვ. ი. ლენინი სასჯელში ხედავდა ორმაგ ამოცანას, დამნაშავის დათრგუნვა-დასჯას და დამნაშავის აღზრდა-გამოსწორებას.

პარტიის პროგრამამ, რომელიც მიღებული იქნა პარტიის VIII ყრილობაზე 1919 წელს, გაიმეორა ლენინის ეს დებულება სასჯელის ორმაგი მნიშვნელობის შესახებ, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სასჯელის ამოცანებს.

რუსეთის სისხლის სამართლის 1919 წლის სახელმძღვანელო საწყისების მე-8 მუხლში განსაზღვრულია რა სასჯელის ამოცანები ნათქვამია: „სასჯელის ამოცანებია — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ჩადენილი დანაშაულის ან და ასეთის ჩადენის მცდელობისაგან და რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ახალი დანაშაული როგორც ამ პირის მხრივ ასევე სხვა პირისაგან".

ამ მუხლში მოცემულია სასჯელის როგორც კერძო ასევე ზოგადი პრევენცია, მიუხედავად ამისა მის დიდ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ გვერდი აქვს ავლილი ვ. ი. ლენინის მითითებას, რომელიც სასჯელს უსახავს გამოსწორების და აღზრდის დანიშნულებას.

რუსეთის სფსრ 1922 წლის პირველი სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც უკვე ავღნიშნეთ სასჯელის გვერდით იხსენიებს სოციალური დაცვის ღონისძიებას, რომლის ამოცანები და მიზნები მოცემულია კოდექსის მე-5 და მე-8 მუხლებში.

კოდექსის მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ „სასჯელის და სხვა სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენების მიზანია: ა) როგორც დამრღვევის ასევე საზოგადოების სხვა თავშეუკავებელი ელემენტების მიერ ახალი დარღვევის საერთოდ თავიდან აცილება; ბ) დამრღვევის შეჩვევა საერთო ცხოვრების პირობებისადმი შრომა-გასწორებითი ზემოქმედების გზით; გ) დამნაშავის მიერ შემდგომში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის აღკვეთა.

კოდექსის აღნიშნული მუხლი, ისევე როგორც სახელმძღვანელო საწყისები, სასჯელს მიზნად უსახავს, როგორც კერძო, ასევე ზოგად პრევენციას, ამასთანავე აქ შევსებულია ის ხარვეზი რაც სახელმძღვანელო საწყისებში იყო დაშვებული და სასჯელი აგრეთვე მიზნად ისახავს დამნაშავის შეჩვევას საერთო ცხოვრების პირობებისადმი შრომა-გასწორებითი ზემოქმედების გზით.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის ეს დებულება მთლიანად გადმოტანილი იქნა საქართველოს 1922 წლის კოდექსში.

შემდგომ საკანონმდებლო აქტს, რომელშიაც მოცემულია სასჯელის მიზნები და ამოცანები წარმოადგენს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის 1924 წლის ძირითადი საწყისები.

სასჯელის ამოცანები ძირითად საწყისებში მოცემულია მე-4 მუხლში. იგი თითქმის ემთხვევა რუსეთის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 525, IV გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-8 და 26-ე მუხლების რედაქციას. თუმცა მასში სასჯელის ტერმინი მთლიანად ამოღებულია და დატოვებულია მხოლოდ ტერმინი — სოციალური დაცვის ღონისძიება.

ძირითადი საწყისების მე-4 მუხლის მიხედვით სოციალური დაცვის ღონისძიების გამოყენების მიზანია: ა) საერთოდ დანაშაულის თავიდან აცილება; ბ) საზოგადოებრივად საშიში ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შეაძლებლობის მოსპობა; გ) მსჯავრდებულის გამოსწორება შრომა-გასწორების ზეგავლენით.

სოციალური დაცვის ღონისძიებას მიზნად არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური ტანჯვის ან ადამიანის ღირსების დამცირება და მიზნად არ უნდა ისახავდეს სამაგიეროს გადახდას.

ძირითადი საწყისების ეს განმარტება სასჯელის ამოცანებზე შემდგომში საფუძვლად დაედო ყველა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებს და მათ შორის საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსაც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის მიერ 1938 წლის 16 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი — „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ“.

სასამართლოს წყობილების კანონმა ზუსტად განსაზღვრა სასჯელის მიზნები და ამოცანები, ჩამოაყალიბა საბჭოთა სასამართლოების ამოცანები დანაშაულთან ბრძოლისა და სასჯელის გამოყენების საკითხში.

კანონის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ „იყენებს რა სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებებს, სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას“.

სასამართლო წყობილების კანონის მესამე მუხლის რედაქცია უცვლელად იქნა გადმოტანილი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მესამე მუხლში.

დამნაშავის დასჯა ეს არის პირის სოციალურად საშიში მოქმედების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-მორალური დაგმობა. სასამართლოები დამნაშავეებს სასჯელს უფრდებენ სახელმწიფოს სახელით და ამ სახელმწიფოებრივ ზემოქმედებაში, იძულებაში, იგულისხმება დამნაშავის, განაჩენით დაწესებული დროის განმავლობაში, ისეთ პირობებში ჩაყენება, როდესაც იზღუდება მისი თავისუფლება, უფლებები, სურვილები და სიკეთის მოპოვების საშუალებები. იგი სახელმწიფოს მიერ დაწესებულ გარკვეულ რეჟიმს ექვემდებარება. ამ რეჟიმმა უნდა უზრუნველყოს დამნაშავის გამოსწორება და ხელახლა აღზრდა.

სასჯელის დანიშვნის საკითხში საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ქვაკუთხედს წარმოადგენს სასჯელის დიფერენციალური შეფარდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ბრალის სიმძიმის და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით და აგრეთვე იმ გარემოების გთვალისწინებით, რომელშიც ჩადენილია დანაშაული.

სოციალისტური სახელმწიფო იყენებს და კვლავაც გამოიყენებს სისხლის სამართლის სასჯელს ყველა ჯურის დამნაშავეების წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგ ვისაც არ სურს პატიოსნად იმრომოს და წაგლიჯოს სახელმწიფოს, ვინც დაარღვევს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრების წესებს, განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით კი იმპერიალისტური დაზვერვის აგენტების, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების და საშიში დამნაშავეების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესიამ 1958 წლის დეკემბერში მიიღო კანონი—„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები". საფუძვლებში სასჯელის მიზნები გადაწყვეტილია ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე იძულების და აღზრდის შეხამების შესახებ. მე-20 მუხლში სასჯელის მიზნებზე ნათქვამია: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულის კვეთების, აგრეთვე აცილებული იქნას ახალი დანაშაულთა ჩადენა, როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.

სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება".

საფუძვლების მე-20 მუხლის რედაქცია სასჯელის მიზნების შესახებ უცვლელად არის გადმოტანილი საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში.

საფუძვლების მე-20 და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლმა, სასჯელს გარდა კერძო და ზოგადი პრევენციისა, ისევე როგორც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმა, მიზნად დაუსახა დამნაშავის დასჯა.

სასჯელის ამ მიზანზე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ავტორთა სხვადასხვა აზრი.

ზოგიერთი ავტორების აზრით სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს დამნაშავის დასჯა (გ. დ. შარგოროდსკი, ა. ლ. რემენსონი, ა. მ. რეიტბორტი და სხვა), მათი აზრით დასჯა-ეს არის მხოლოდ საშუალება, რომელიც ხელს უწყობს სასჯელს საბოლოო მიზნის მიღწევაში, დამნაშავის გამოასწორება და ხელახალი აღზრდა, აგრეთვე ის, რომ აცილებული იქნეს ახალი დანაშაულის ჩადენა, როგორც მსჯავრდებულთა ასევე სხვა პირის მიერ. ნ. რ. მირონოვი, ო. ფ. შიშოვი, ბ. ს. ნიკიფოროვი, ა. ს. შლიაპოჩნიკოვი, ი. ნ. ემელიანოვი და სხვები გამოსთქვამენ აზრს, რომ სასჯელის მიზანია აგრეთვე დამნაშავის დასჯა.

ჩვენი აზრით სწორია მირონოვის, შიშოვის, ნიკიფოროვის, შლიაპოჩნიკოვის, ემელიანოვის და სხვა ავტორების მოსაზრება, რომლებიც სასჯელის მიზნებში ხედავენ აგრეთვე დამნაშავის დასჯას.

ოვით კანონის ტექსტი და აზრი მეტყველებს, რომ სასჯელის მიზანია დამნაშავის დასჯა ამავეს ადასტურებს 1958 წლის სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლი.

როდესაც ვლაპარაკობთ, რომ სასჯელის მიზანია აგრეთვე აცილებულ იქნას ახალი დანაშაულის ჩადენა, როგორც მსჯავრდებულის ისევე სხვა პირის მიერ, აქ მხედველობაში გვაქვს დასჯის გარდუვალობა, რომ მათ ვინც არ დაიცავს კანონის მოთხოვნას და ჩაიდენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას, ქმედობას, რომელიც საბჭოთა ადამიანების მორალისა და ეთიკური ქცევისათვის შეუსაბამოა, კანონი ემუქრება დასჯით, სწორედ აქ იგრძნობა კანონის ძალა მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებამდე და აქ ვლინდება კანონის ძალა და ზემოქმედება ახალი დანაშაულის და საერთოდ დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში.

იქ სადაც ლაპარაკია, რომ სასჯელი მიზნად ისახავს გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აქ საკითხი ეხება მსჯავრდებულთა შრომის ორგანიზაციას. მათ მიმართ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებას და შესაბამისი რეჟიმის დაწესებას სასჯელის მოხდის პერიოდში, რომელიც ისე არის მოწყობილი, რომ აღმოფხვრას დამნაშავეში მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ, გამოიმუშაოს მასში პატიოსანი შრომის ჩვევები და მთელი რიგი შეზღუდვების დაწესებით მოახდინოს მისი ფსიქიური და მორალური გარდაქმნა. იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომლებიც შეიგნებენ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მიეჩვევიან პატიოსან შრომას და დაიცავენ რეჟიმის ყველა მოთხოვნას, სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს მთელი რიგი შეღავათების გავრცელებას, სასჯელის ზომის შემსუბუქების ჩათვლით; იმ პირთა მიმართ, რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგებიან გამოსწორების გზას, ბოროტად დაარღვევენ რეჟიმს, ან სისტემატურად აარიდებენ თავს სამუშაოს, ან ხელს მიყოფენ პარაზიტული ცხოვრებას — მათ მიმართ არავითარი შეღავათები არ იქნება გამოყენებული.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყველა ღონისძიება მიმართულია იქით, რომ აამაღლოს ყველა მსჯავრდებულის თვითშეგნება და განამტკიცოს მათში ის რწმენა, რომ ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეული წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც იცავს საბჭოთა კანონებს, ვისაც პატიოსანი შრომით თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ვინც პატიოსნად იცავს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა და ვალუტით სპეკულაცია მძიმე სახელმწიფო დანაშაულია

გრ. ნადირაძე

ოქტომბრის ძლევამოსილმა სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ დაამხო რუსეთში ბურჟუაზიისა და მემამულეების ძალაუფლება. რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე რეაქციის ძალებმა გააფრთებული ბრძოლა დაიწყეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ ჩანასახშივე მოესპოთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

საბჭოთა მთავრობას სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგობის ჩახშობასთან ერთად ბრძოლა უხდებოდა შავ ბაზართან, რომლის მიმოქცევაში ასეულ მილიონობით მანეთი იყო. 1920 წელს კერძო სავაჭრო ბრუნვა რესპუბლიკაში შეადგენდა 837 მილიონ ომამდელ მანეთს, ანუ ქვეყნის სავაჭრო ფასეულობათა 44 პროცენტს. ახლად წარმოშობილი ბურჟუაზია კიდევ უფრო ისქელებდა ჯიბეს, ეწეოდა სპეკულაციას, თაღლითობას, მევახშეობას, ვალუტისა და სავალუტო ფასეულობათა ყიდვა — გაყიდვას.

სახალხო მეურნეობის სწორად მოწყობის ინტერესების გათვალისწინებით, საბანკო სპეკულაციის აღმოფხვრისა და კაპიტალისაგან მშრომელი მოსახლეობის განთავისუფლების მიზნით, საბჭოთა მთავრობამ 1917 წლის 14 დეკემბრის დეკრეტით მოახდინა ბანკების ნაციონალიზაცია; საბანკო საქმე გამოცხადდა სახელმწიფო მონოპოლიად, საბანკო კანტორები და კერძო ბანკები სახელმწიფო ბანკს შეუერთდა.

დეკრეტით და შემდეგში სხვა საკანონმდებლო აქტებით საბჭოთა მთავრობამ შემოიღო სავალუტო ოპერაციების წარმოების წესები; მათი დარღვევა გამოცხადებულ იქნა უმძიმეს დანაშაულად.

ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკის მტრები თავიანთ მაქინაციებში ფართოდ იყენებდნენ ბანკის მოხელეებს. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში 1918 წლის იანვარში შეიქმნა სპეციალური საბანკო ქვეგანყოფილება ბანკის მოხელეების დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

განვითარების დღევანდელ ეტაპზეც საბჭოთა ხელისუფლება სერიოზულ ყურადღებას უთმობს სავალუტო ოპერაციათა წესების დამრღვევების, ვალუტუთა და ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ბრძოლას. ეს დანაშაუ-

---

[1] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით ეს დანაშაული გათვალისწინებულია 89-ე მუხლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღი გათვალისწინებულია სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ კანონის 25-ე მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში[1].

ამ დანაშაულობათა საზოგადოებრივი საშიშროება შემდეგში მდგომარეობს:

1) სავალუტო ოპერაციათა წესების დარღვევა, აგრეთვე სავალუტო ფასეულობით და ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია საბჭოთა კავშირის ფულადი და საკრედიტო სიტემის ხელყოფის მეტად საშიში ფორმებია. საბჭოთა ფულადი და საკრედიტო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, სახალხო — სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისა და საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერების განმტკიცების საქმეში.

სავალუტო ოპორაციათა წესების დარღვევით ილახება სსრ კავშირის სახელმწიფო სავალუტო მონოპოლია და სუსტდება სახელმწიფო მკაცრი კონტროლის სისტემა სავალუტო ოპერაციებისადმი. თავის მხრივ სავალუტო ოპერაციები, რომლებიც მთლიანად სახელმწიფოს ხელშია და ხორციელდება სსრ კავშირის ბანკის მეშვეობით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ფულად და საკრედიტო სისტემასთან. ვალუტით მოვაჭრე პირთა დანაშაულებრივი ქმედობა, გარდა იმისა, რომ ასუსტებს სავალუტო ოპერაციებისადმი სახელმწიფო კონტროლის სისტემას, ამცირებს აგრეთვე შემოსავალს, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და საგარეო ვაჭრობის ბანკი უცხოეთის ვალუტის შესყიდვით იღებენ.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს მიერ სავალუტო ოპერაციათა წესების დარღვევისათვის 1961 წელს მსჯავრდადებულ იქნენ კაციაშვილი, კაცოშვილი, ნონაზიაშვილი და სხვები, რომლებიც 1958 — 1960 წლებში სისტემატურად ყიდულობდნენ უცხოეთის ქაღალდის და ოქროს ვალუტას, მეფის დროის ოქროს მონეტებს, პლატინისა და ოქროს ნამსხვრევებს, აგრეთვე სხვა ფასეულობებს. მათ დანაშაულებრივი ქმედობის შედეგად სახელმწიფოს ბრუნვიდან დიდი ოდენობით იყო ამოღებული ფული და სავალუტო ფასეულობანი. მარტო კაციაშვილმა იყიდა და შემდეგ მოგების მიზნით გაყიდა ორ ნახევარ მილიონ მანეთად ღირებული (ფულის ძველი ნიშნებით) ვალუტა და სავალუტო ფასეულობანი.

უცხოელები, მათ შორის სსრ კავშირში აკრედიტებული კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, ყიდულობენ საბჭოთა ფულს არა სსრ კავშირის მთავრობის მიერ დაწესებული ოფიციალური კურსის მიხედვით, არამედ სპეკულაციურ, ე. წ. შავი ბაზრის[1] ფასებში, საგრძნობლად ზრდიან რა ამით კაპიტალისტური ქვეყნების ვალუტის ნამდვილ ღირებულებას.

საბჭოთა პრესაში ფართოდ იყო გაშუქებული, თუ როგორ მიმდინარეობდა ღია სასამართლო პროცესები ვალუტით მოვაჭრეების—მსხვილი სპეკულანტების როკოტოვის, ფაიბიშენკოსი და სხვებისა. პროცესებზე გამოირკვა, რომ საერთაშორისო ბანკები და ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფოების საელჩოები

---

[1] სსრ კავშირში „შავი ბაზარი“ პირობითად იხმარება. კაპიტალისტურ ქვეყნებში „ეროვნული“ ბაზარი ფორმალურად არალეგალურია, მაგრამ ფაქტიურად კონკურენციას უწევს ოფიციალურ ბაზარს და კაპიტალისტური ეკონომიკის დამახასიათებელი ტიპიური მოვლენაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინტერესებული იყვნენ გამოეცოცხლებინათ სსრ კავშირში შავი ბაზარი. ზოგიერთმა უცხო სახელმწიფოს ბანკმა იცოდა, რომ ოქროს მაღალი შემცველობის გამო მეფისდროინდელ ათმანეთიან მონეტებზე დიდი მოთხოვნილება იყო, და დაიწყო ამ ნიმუშის დაბალდამღიანი ოქროს ფულის გამოშვება, შემდეგ კი მათი შემოტანა სსრ კავშირში. მაგალითად, 1957 წელს პიატიგორსკში მცხოვრებმა არობიანმა სთხოვა ვალუტით მოვაჭრე მოსესოვს შეეძინა მისთვის ათმანეთიანი ასი ოქროს მონეტა. მართლაც, მოსესოვმა სპეკულანტ მირაქიანისაგან შეიძინა ეს მონეტები 15.000 მანეთად და მიჰყიდა არობიანს 18.000 მანეთად. როგორც შემდეგ გამოირკვა, მონეტები ყალბი იყო. 1960 წელს ზაფხულში მოსესოვმა და არობიანმა მეორედ მოახდინეს გარიგება. ამ შემთხვევაშიც არობიანმა ყალბი მონეტები შეიძინა.

უცხოეთის საელჩოს ზოგიერთი თანამშრომლისათვის ვალუტით მაქინაცია პირადი გამდიდრების წყარო გახდა. ამის შედეგად მცირდება ოფიციალურად ვალუტის გადაცვლა საგარეო ვაჭრობის ბანკში როგორც საელჩოების თანამშრომლების, ისე ყველა უცხოელის მხრივ, რომელიც დროებით ან პერიოდულად იმყოფება სსრ კავშირში.

1962 წლის 12 აპრილს სავალუტო გარიგების დროს დაკავებულ იქნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომელი ქალი ცეზარინა სტორინი და თურქეთის საელჩოს თანამშრომელი დინარ სტორინი. ცეზარინა სტორინს აღმოაჩნდა დიდი თანხა საბჭოთა ფულისა, ხოლო საბჭოთა მოქალაქეს, რომელიც მასთან ერთად იქნა დაკავებული, ამერიკული დოლარები. ცეზარინა სტორინმა და დინარ სტორინმა თავი დამნაშავედ ცნეს და აღიარეს, რომ დიდი ხნის მანძილზე ეწეოდნენ სპეკულაციას, სავალუტო ოპერაციებს. ორივე დამნაშავე გაძევებულ იქნა სსრ კავშირის ფარგლებიდან[1].

ამგვარად, ვალუტით სპეკულაცია დიდ მატერიალურ ზიანს აყენებს საბჭოთა სახელმწიფოს. სპეკულანტები თავიანთი ქმედობით ჩვენს ქვეყანას აკლებენ უცხოეთის ვალუტისა და ოქროს საგრძნობ ნაწილს.

2) ვალუტით მოვაჭრე პირები მატერიალური და ეკონომიური ზარალის გარდა ჩვენს ქვეყანას გარკვეულ მორალურ და პოლიტიკურ ზიანსაც აყენებენ. მორალური ზიანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხრწიან მერყეულ ადამიანებს და აბამენ თავიანთ დანაშაულებრივ მაქინაციებში.

სახელმწიფო ბრალმდებელი ვალუტით მოვაჭრე ვ. კამინესის პროცესზე აღნიშნავდა, რომ იგი რყვნიდა საბჭოთა ადამიანების სულს. ბინძური იატაკქვეშა „ფირმა“ მოსკოვში წარმოადგენდა ვალუტის სენის საშიშ გამავრცელებელს. მისი გამხრწნელი გავლენის მსხვერპლი გახდა ზოგიერთი უნებისყოფო ადამიანი, რომლებიც ოქროს გავლენის ქვეშ მოექცნენ.

ვალუტით მოვაჭრე პირები, რომლებიც წვრილმესაკუთრული ბურჟუაზიული მორალის მატარებელნი არიან, არაშრომითი შემოსავლით მდიდრდებიან და თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევენ მათ გარშემო მყოფ ადამიანებს. განსაკუთრებით პოლიტიკურად მოუმწიფებელ ახალგაზრდებს, რომელთაგან ბევრი დანაშაულის გზას ადგება.

მ[illegible]ალითად, 1961 წელს ვალუტით სპეკულაციისათვის მსჯავრდებულ იქნა [illegible]ის

[1] გაზ. „იზვესტია“, 1962 წლის 17 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლია პაპისმედოვი, 1932 წელს დაბადებული, მოშე მიხელაშვილი, 1926 წელს დაბადებული. ეს შრომისუნარიანი ახალგაზრდები არ ეწეოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, ცდილობდნენ იოლი გზით გამდიდრებას.

ვალუტით მოვაჭრე პირები დანაშაულებრივ კავშირს ამყარებენ უცხოელებთან, ლაფში სვრიან საბჭოთა ადამიანის ავტორიტეტსა და ღირსებას.

3) სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, ვალუტით სპეკულაცია მჭიდროდ არის გადახლართული კონტრაბანდასთან. კონტაბანდა ერთ-ერთი განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულია, ვინაიდან იგი არღვევს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლია გულისხმობს, რომ საქონლისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა შემოტანას და გატანას, გადმოგზავნას და გაგზავნას სახელმწიფო საზღვარზე მხოლოდ სახელმწიფო აწესრიგებს. სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით დადგენილია სსრ კავშირში საქონლის და სხვა ფასეულობათა შემოტანა-გატანის წესი. ზოგიერთ საქონელზე ასეთი ოპერაცია მთლიანად აკრძალულია, ზოგიერთზე კი შეზღუდულია.

ვალუტით ოპერაციის წესების დარღვევის და კონტრაბანდის — ამ ორი მძიმე დანაშაულის ერთმანეთში გადაზრდა იმაში მდგომარეობს, რომ ვალუტისა და სავალუტო ფასეულობათა კონტრაბანდა წარმოშობს ამ საგნებით სპეკულაციას და მეორე მხრივ ვალუტით სპეკულაციას მივყავართ სავალუტო ფასეულობათა კონტრაბანდამდე.

იმის გამო, რომ სავალუტო ოპერაციათა წესების დარღვევა, არის სსრ კავშირის სავალუტო მონოპოლიისა და ფულადი სისტემის, ხოლო კონტრაბანდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლის ხელყოფა, ეს ორი დანაშაული ზოგჯერ ერთდროულად ქმნის ორივე ამ ობიექტებზე ხელსაყოფის ერთობლიობას.

ვალუტის და სავალუტო ფასეულობათა შემოტანა კონტრაბანდის გზით თითქმის ყველა შემთხვევაში ქმნის სავალუტო ოპერაციათა წესების დარღვევის წინაპირობას. ამიტომ კონტრაბანდა ამ დანაშაულის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

დამახასიათებელია, რომ ვალუტით მოვაჭრენი არ თაკილობენ ისარგებლონ კონტრაბანდისტთა დახმარებით. მაგალითად, ქ. ვილნიუსში რეზნიცკაიასთან მივიდა „ტურისტი", რომელმაც მიჰყიდა მას კონტრაბანდული გზით შემოტანილი ოქროს საათი და მისგან მიიღო პლატინა და დოლარები[1].

რაც შეეხება შავი ბაზრის არსებობას, ისიც სავალუტო ფასეულობათა კონტრაბანდას უწყობს ხელს. ამასთან კონტრაბანდის საშიშრეობა იმით გამოიხატება, რომ შესაძლოა მისი საშუალებით საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში შემოტანილ იქნას ისეთი საგნები, რომლებიც ჩვენში ამოღებულია მიმოქცევიდან ან შეზღუდულია.

4) სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა და სავალუტო ფასეულობით სპეკულაცია ძირად დაკავშირებულია ისეთ მძიმე დანაშაულობებთან, როგორიც არის, მაგალითად, სოციალისტური ქონების გატაცება. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა განსახილველი დანაშაულის ჩადენა გამოიხა-

[1] გაზ. „პრავდა", 1962 წლის 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტება დანაშაულებრივი გზით შეძენილ, სახელმწიფო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან გატაცებულ სავალუტო ფასეულობათა გასაღებით. განსახილველი დანაშაულის საგანს ამ შემთხვევში შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოსაგან გატაცებული სავალუტო ფასეულობანი პლატინის, ოქროსა და ვერცხლის სახით. მაგალითად, გაურკვეველი საქმიანობის პირმა ილინმა, რომელსაც მუდმივი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა, ქ. მოსკოვის ერთ-ერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მთავარ მექანიკოსთან მასლოვთან შეთანხმებით ვერცხლის ელექტროლიზის ფირფიტიდან გამოადნო 19 ზოდი ვერცხლი 30.110 გრამი საერთო წონისა. 1960 წლის თებერვალში ილინი შეეცადა გაურკვეველი პირისთვის მიეყიდა 11 ზოდი 14.352 გრამი წონისა, მაგრამ დააკავეს.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ მსგავს გატაცებებთან სწორად ორგანიზებული და წარმატებითი ბრძოლა ხელს შეუწყობს სავალუტო ფასეულობებზე დანაშაულობათა შემდგომ შემცირებას და ლიკვიდაციას.

5) არღვევენ რა სავალუტო ოპერაციათა წესებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მსხვილი გამტაცებლები აწარმოებენ ოქროს მონეტებისა და სხვა სავალუტო ფასეულობათა დიდი ოდენობით შესყიდვას არა მოგების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ გადააქციონ გატაცებული ქონება განძად. ამ მიზნით ზოგჯერ დამნაშავენი ოქროს მონეტებს იძენენ მათ საცალო ფასებზე უფრო ძვირად.

გადატებულ ფასეულობათა გადაქცევისას სავალუტო ფასეულობად დამნაშავეთ მიზნად აქვთ დასახული განძის დაგროვება, რადგან ისინი ითვალისწინებენ, რომ სავალუტო ფასეულობანი ყოველთვის შეიძლება გადააქციონ ფულად საბჭოთა ვალუტის კურსის მიუხედავად. გარდა ამისა, მათ კარგად იციან, რომ ოქროს მონეტები არ ფუჭდება და შეიძლება მათი თავისუფლად დამალვა და შენახვა. მაგალითად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ სავალუტო დანაშაულისათვის მსჯავრდადებული ელიოხაიმ ბინიაურაშვილი საიდუმლოდ ინახავდა დაახლოებით ათას ცალ მეფისდროინდელ ოქროს მონეტას როგორც განძს.

მევალუტე სპეკულანტებთან ბრძოლა ხშირად ავლინებს და ანადგურებს სახალხო დოვლათის მსხვილ გამტაცებლებს, რომლებიც თავიანთ ბინძურ ხელებს აფათურებენ სახელმწიფოს ჯიბეში და ამით ხელს უწყობენ სავალუტო დანაშაულის გამოცოცხლებას.

6. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა და სავალუტო ფასეულობებით სპეკულაციის განსაკუთრებული საშიშროება იმით გამოიხატება, რომ ვალუტით სპეკულაცია წარსულის გადმონაშთების აშკარა გამოხატულებაა და ნათლად ჩანს ბურჟუაზიის იდეოლ[illegible] და მორალის გავლენა ცალკეულ მერყევ პირებზე. „ოქროს სხეულთან“ [illegible]ად ასეთი ადამიანები აღიქვამენ ჩვენოვის უცხო იდეოლოგიას და ზოგჯერ კიდეც ხდებიან იმპერიალისტური დაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერვის ხელშემწყობი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მტრული საქმიანობის გატარებაში. გარდა ამისა, მევალუტე სპეკულანტები დანაშაულის ჩადენისათვის ხშირად ამყარებენ კონტაქტს საზღვარგარეთელ ტურისტებთან, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საელჩოების თანამშრომლებთან, სსრ კავშირში სწავლისათვის ან პირად საქმეზე ჩამოსულ პირებთან. ეს შესაძლებლობას აძლევს მტრულ დაზვერვას არსებული კონტაქტები გამოიყენოს სსრ კავშირის წინააღმდეგ მავნებლური საქმიანობის მიზნით. გამოდიოდა რა აქედან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 28 მუხლი შეავსო და ისეთი საქმეები, როგორიც არის კონტრაბანდისტული საქმიანობა, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, გამოსაძიებლად დაუქვემდებარა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. მაშასადამე, ჩვენ მიერ განხილული დანაშაული თავისი ხასიათით წარმოადგენს საკმაოდ გავრცელებულ მძიმე სახელმწიფო დანაშაულს, რომელიც ხელყოფს ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებს, დიდ ეკონომიურ ზარალსა და პოლიტიკურ ვნებას აყენებს საბჭოთა სახელმწიფოსა და მშრომელ ხალხს.

სპეკულანტი მევალუტეების — როკოტოვის, ფაიბიშენკოს, იაკოვლევის, რეზნიცკაიას, ლიზერგანის, კაკიაშვილისა და სხვა მრავალთა გამოშკარავებაზე საკმაოდ დაიწერა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ პრესაში. გარდა ამისა საბჭოთა კავშირის ბევრი მოქალაქე თვითონ ესწრებოდა მევალუტე სპეკულანტების სასამართლო პროცესს, თვალნათლივ ხედავდა და უშუალოდ ისმენდა მათს კონკრეტულ დანაშაულებრივ საქმიანობას საბჭოთა სახელმწიფოსა და მშრომელი ხალხის წინაშე. საბჭოთა სასამართლო ორგანოებმა, ხელმძღვანელობენ რა მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ღირსეული მიუსაჯეს თვითეულ დამნაშავეს და გამოუტანეს მათ სასჯელის შესაბამისი ზომა.

მიუხედავად იმისა, რომ მევალუტეებმა სერიოზული დარტყმა განიცადეს, მუშაობა ამ მიმართულებით კი არ უნდა შევასუსტოთ, არამედ, პირიქით, გავაძლიეროთ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ზემოთქმულიდან გამომდინარე შემდეგი გარემოებანი:

1. საბაჟო ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან ჩანს, რომ სსრ კავშირში საზღვარგარეთიდან ვალუტისა და სავალუტო ფასეულობათა შემოტანა როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გზით არა თუ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება. ამ შემოტანილი ვალუტისა და სავალუტო ფასეულობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დანაშაულებრივი გარიგების საგანი ხდება.

2. როგორც ცნობილია, ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება კავშირი სსრ კავშირსა და უცხოელ სახელმწიფოებს შორის. ამასთან დაკავშირებით იზრდება როგორც საბჭოთა კავშირში ჩამოსულ, ისე სსრ კავშირიდან საზღვრგარეთ გასულ პირთა რიცხვი. სპეკულანტები კი, ვალუტითა და სავალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ფასეულობებით აღჭურვილნი, ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ეს გარემოება თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისათვის, რისთვისაც მიმართავენ სხვადასხვაგვარ მზაკვრობას და გაწაფულ შენიღბვას.

სპეკულანტ-მევალუტეებთან ბრძოლის წარმატებით განხორციელების მიზნით საჭიროა როგორც სავალუტო ოპერაციების შესახებ წესების ყველა ნორმატიულ აქტების კარგად ცოდნა, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ შესაბამისი ნორმების ცოდნა, რომლების მიზანია აღნიშნულ დანაშაულობასთან ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექრთამეობის ფაქტზე შემოსული სიგნალების შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ზოგიერთი საკითხი

შ. ფაფიაშვილი

მექრთამეობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის უნდა არსებობდეს კანონიერი საბაბი და საფუძველი. თუ არ არის ერთ-ერთი მათგანი, არ შეიძლება საქმე აღიძრას.

საქმის აღძვრის საბაბია კანონით გათვალისწინებული ყველა ის წყარო, რომელიც მიუთითებს მექრთამეობის ან მისი მზადების შესახებ. ხოლო საქმის აღძვრის საფუძველია ის პირველადი ფაქტიური მონაცემები, რომლებიც უშუალოდ მიუთითებენ მექრთამეობის ნიშნების არსებობაზე. ასე მაგალითად, განცხადებაში მითითებულია, რომ თანამდებობის პირმა თავისი მდგომარეობის გამოყენებით ვინმეს ინტერესებისათვის შეასრულა ესა თუ ის სამსახურებრივი მოქმედება ან უმოქმედობა და ამისათვის მიიღო მატერიალური გამორჩენა. თუ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების წინასწარი შემოწმებით შევკრებთ დამაჯერებელ მონაცემებს, რომ ამ შემთხვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაშინ საქმის აღძვრის საბაბი იქნება მოქალაქის განცხადება, ხოლო საფუძველი — ის ფაქტიური მონაცემები, რომლებიც მექრთამეობის ნიშნებზე მიუთითებენ.

მექრთამეობის შესახებ შემოსული სიგნალების წინასწარი შემოწმება მიზნად ისახავს არა მარტო დამნაშავეთა დადგენას, არამედ დანაშაულის თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავებას და იმის გარკვევას, არის თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭირო კანონიერი საფუძველი.

საქმის აღძვრამდე მასალების შემოწმება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ საგამომძიებლო მოქმედებათა გარეშე, კერძოდ საჭირო მასალების გამოთხოვით და სათანადო ახსნა-განმარტებათა მიღებით (საქართველოს სსრ სსსკ 110-ე მუხ.)[1].

მექრთამეობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი შეიძლება იყოს საქართველოს სსრ სსსკ 108-ე მუხლში ჩამოთვლილი ყველა სახის წყარო. ამავე დროს, არც ერთ წყაროში მითითებული მონაცემები (მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელის, პროკურორის, სასამართლოს ან მოსამართლეს მიერ

---

[1]. კანონის ასეთი რედაქცია ზოგიერთ კრიმინალისტს არასწორად მიაჩნია და მოითხოვენ რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დანაშაულის აღკვეთისა და კვალების გამაგრების მიზნით დაშვებულ იქნას აუცილებელ პროცესუალურ მოქმედებათა კომპლექსის წარმოება ე. წ. „გადაუდებელ“ მოქმედებათა სახით. ამიტომ, მათი აზრით, არასწორია ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მილიციის ორგანოებს უფლებას ართმევენ საქმის აღძვრამდე ჩაატარონ რაიმე სახის საგამომძიებლო მოქმედებანი (იხ. მაგალითად. **А. К. Гаврилов**, Возбуждение уголовного дела органами милиции. Автореферат кандидатской диссертации. Ростов-на-Дону. 1964, стр. 17—18).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულის ნიშნების უშუალო გამომჟღავნების გარდა) არ შეიძლება პირდაპირ, წინასწარი შემოწმების გარეშე გახდეს მექრთამეობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი. ყველა ისინი საჭიროებენ წინასწარ შემოწმებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლის დადგენის მიზნით.

საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მექრთამეობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბს, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს მოქალაქეთა განცხადებები. ამიტომ ყურადღებას გავამახვილებთ მათი განხილვისა და შემოწმების საკითხზე.

მექრთამეობის ფაქტზე შემოსული განცხადებები შეიძლება პირობითად დავყოთ სამ კატეგორიად: **პირველს** მიეკუთვნება იმ მოქალაქეთა განცხადებები, რომლებმაც სხვადასხვა გზით შეიტყვეს მექრთამეობის ან მისი მზადების ფაქტი, თვითონ კი არავითარი კავშირი არა აქვთ დანაშაულთან და გულწრფელად სურთ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს დაეხმარონ დამნაშავეთა მხილებასა და დანაშაულის აღკვეთაში; **მეორეს** მიეკუთვნება იმ მოქალაქის განცხადება, რომლის მიმართ თანამდებობის პირის მხრივ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან ასეთის მცდელობას, და რომელიც ნებაყოფლობით აღიარებს ამის შესახებ რათა ხელი შეუწყოს ჩადენილი დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა გამომჟღავნებას. **მესამეს** — მექრთამეობის ფაქტზე მიღებული უსახელო წერილები, რომლებიც ჩვენი კანონმდებლობით სისხლის სასამართლის საქმის აღძვრის საბაბთა შორის არ არის მოხსენებული, მაგრამ რომელთა შემოწმება მთელ რიგ შემთხვევაში აუცილებელი და მიზანშეწონილია.

ასეთი კლასიფიკაცია ხელს უწყობს მექრთამეობის მამხილებელი მასალების წინასწარი შემოწმების ტაქტიკის სწორად შერჩევას და კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მართებულად გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ სსკ 109-ე მუხლის თანახმად მოქალაქის მიერ განცხადება შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობით, ისე ზეპირი სახით. ზეპირი განცხადება შეიტანება ოქმში და მას ხელს აწერს განმცხადებელი და ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი. წერილობით განცხადებას ხელი უნდა მოაწეროს მისმა შემტანმა. აუცილებელია განმცხადებელს განემარტოს პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისათვის და ეს აღინიშნოს ოქმში.

განცხადების განხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად დასაბუთებულია მასში მითითებული მონაცემები და შეესაბამებიან თუ არა ისინი სინამდვილეს. საჭიროა გაირკვეს აგრეთვე ხომ არ არის გაკეთებული განცხადება თანამდებობის პირისათვის სახელის გასატეხად, ხომ არ ამოძრავებს განცხადების დამწერს შურისძიება და სხვა. ეს შეიძლება გაირკვეს განმცხადებლის ვინაობის დადგენით, მისგან დაწვრილებითი ახსნა-განმარტების მიღებით და განცხადებაში საეჭვოდ მიჩნეული ფაქტების სათანადო შემოწმებით.

ახსნა-განმარტებაში პასუხი უნდა გაეცეს, ისეთ კითხვებს, როგორიცაა: საიდან და რა წყაროებით გახდა ცნობილი განმცხადებლისათვის ქრთამის მიცემა — აღების ფაქტი; თანამდებობის პირის მიერ სახელდობრ რა სახის მოქმედება იქნა ან უნდა იქნეს შესრულებული ქართამის მიმცემის ინტერესებისათვის; სად, როდის, რა პირობებში მოხდა ან უნდა მოხდეს ქრთამის გადაცემა; რა იყო ქრთამის საგანი და რა ნიშნებით ხასიათდება იგი; ვინ შეიძლება კიდევ დაადასტუროს ქრთამის მიცემა-აღების ფაქტი და სხვა მისთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ პირი ნებაყოფლობით განაცხადებს თავის დანაშაულებრივ მონაწილეობას მექრთამეობაში, მაშინ გამომძიებელმა უნდა გამოარკვიოს მისი ვინაობა, შეადგინოს ოქმი, ჩამოართვას დაწვრილებითი ახსნა-განმარტება, მიიღოს საჭირო ღონისძიებანი განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შესამოწმებლად და საქართველოს სსსრ სსსკ 112 მუხლის შესაბამისად დროულად გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ აღძვრის შესახებ.

იმ პირის განცხადების შემოწმებისას რომლის მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან ასეთის მცდელობას, გამომძიებელმა წინასწარ შემოწმების გზით უნდა დაადგინოს განცხადების მოტივი, განმცხადებლის ვინაობა, როგორ დამოკიდებულებაშია იგი ქრთამის აღებაში მხილებულ თანამდებობის პირთან, ხომ არაა განცხადება დაწერილი სამაგიეროს გადახის მიზნით, როდის ქონდა ადგილი ქრთამის გამოძალვას ან გამოძალვის მცდელობას, რა პერიოდმა განვლო მას შემდეგ, რატომ არ აცნობა მან ამის შესახებ მაშინვე სათანადო ორგანოს და სხვა.

ასეთი სახის მასალების წინასწარი შემოწმება აუცილებელია, რადგან ქრთამის გამოძალვის ფაქტზე შემოსული მასალების წინასწარი შემოწმების გარეშე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, შეიძლება შემდგომში მოჰყვეს საქმის წარმოებითი შეწყვეტა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო. ეს კი, ცხადია, გამოიწვევს თანამდებობის პირის ავტორიტეტისა და ღირსების შელახვას მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით.

როდესაც განცხადება მექრთამეობის ფაქტზე შემოსულია ფოსტით, გამომძიებელი მოვალეა გამოიძახოს მისი ავტორი, ჩამოართვას ახსნა-განმარტება, გააფრთხილოს ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობაზე. ხოლო თუ განმცხადებლის გამოძახება ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია მაშინ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შემოწმება.

შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილი თანამდებობის პირის სამუშაო ადგილის, მუშაობის თავისებურებათა შესწავლას, მის სამსახურებრივ ფუნქციებს, ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შესრულებული ქმედობის მოტივსა და მიზანს, ქრთამის აღებაში მხილებული თამამდებობის პირის, ქრთამის მიმცემისა და მექრთამეობაში შუამავალის საყოფაცხოვრებო პირობებს.

მექრთამეობის ფაქტზე შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე უსახელო წერილები, რომლებიც თუმცა საქმის აღძვრის საბაბს არ წარმოადგენენ, მაგრამ მაინც არ შეიძლება რეაგირების გარეშე იქნან დატოვებული. საგამომძიებლო პრაქტიკაში ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა უსახელო წერილების შემოწმების შედეგად არა ერთი თანამდებობის პირი და ზოგჯერ კი მექრთამეთა მთელი ჯგუფი გამოუმჟღავნებიათ. ამის საილუსტრაციოდ ჩვენი საგამომძიებლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის სახელზე მოქალაქეებმა შეიტანეს უსახელო განცხადება, რომლითაც მექრთამეობაში იმხილებოდა ქ. თბილისის ლენინის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსი კომუნალური ბინების უკანონოდ გაცემისათვის. უსახელო წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა პარტიის ლენინის რაიკომს. ამ უკანასკნელმა კი იგი შემოწმების შედეგებთან ერთად რეაგირებისათვის გადასცა რაიონის პროკურატურას, რომელმაც 1962 წლის 19 აპრილს აღძრა სისხლის სამართლის საქმე. მოცემულ საქმეზე წინასწარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძიებით დადგენილი იქნა კ-ს, ბ-ს, გ-სა და სხვათა მიერ ჩადენილი მექრთამეობის ფაქტი.[1] ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი მაგალითი: 1961 წლის ზაფხულში ქ. სერპუხოვოს რაიონის პროკურატურამ გაზეთ „იზვესტიის" რედაქციიდან მიიღო გამოუქვეყნებელი უსახელო წერილი, რომლის ავტორი იტყობინებოდა ქ. სერპუხოვოს „დინამოს" მაღაზიაში ქრთამით მოტოციკლეტების გაყიდვის შესახებ. წერილში ნაჩვენები არ იყო არც მექრთამეობის კონკრეტული ფაქტები, არც მოტოციკლეტის მყიდველისა და მაღაზიის გამყიდველის გვარი. პროკურატურის გამომძიებელმა წერილში მოყვანილი ფაქტების გაანალიზებული შემოწმებით დაადგინა არა მარტო მექრთამეობის ფაქტები, არამედ თვით უსახელო წერილის ავტორიც, რის შემდეგაც აღძრა სისხლის სამართლის საქმე .აღნიშნულ საქმეზე გამოძიების შემდგომი ჩატარებით ქრთამის მიცემა-აღებაში მხილებულ იქნა რამდენიმე მაღაზიის დირექტორი, „სპორტკულტვაჭრობის" მოსკოვის საოლქო კანტორის მმართველის მოადგილე და უფროსი საქონელმცოდნე. ხოლო მოტოციკლეტებით მოვაჭრე 28 სპეკულიანტის მიმართ მასალები გამოყოფილი იქნა ცალკე წარმოებაში[2].

მაშასადამე, არ შეიძლება უარვყოთ მექრთამეობის ფაქტების მამხილებელი უსახელო წერილების მნიშვნელობა დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში.

უსახელო განცხადების შემოწმების დაწყება უნდა მოხდეს არა თვით განცხადების დამწერი პირის ვინაობის დადგენის ცდით ან იმ პირისაგან ახსნა-განმარტების ჩამორთმევით რომლის დანაშაულებრივ ქმედობაზეც იტყობინებიან, არამედ იმგვარად, რომ შემოწმების შედეგების საფუძველზე შევძლოთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სწორად გადაწყვეტა. მხოლოდ ამის შემდეგ არის საჭირო დაისვას უსახელო განცხადების ავტორის დადგენის საკითხი, რადგან იგი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დანაშაულის სწრაფ და სრულყოფილად გახსნას.

თუ უსახელო განცხადებაში მითითებული ფაქტები წინასწარი შემოწმებით არ დადასტურდება, მაშინ მისი ავტორის დადგენის შემდეგ უნდა დაისვას საკითხი ამ პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ცრუ დასმენისათვის.

მექრთამეობის ფაქტებზე შემოსული სიგნალების პირველადი შემოწმების პროცესში აუცილებელია სრულყოფილად იქნას გამოყენებული კრიმინალისტიკური ტექნიკის უახლესი ხერხები და საშუალებები.

საგამომძიებლო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა მექრთამეობის შესახებ შემოსული განცხადებებისა და სიგნალების შემოწმებისას არა თუ იყენებენ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, არამედ ხშირად ასეთ სიგნალებზე დროულ რეაგირებასაც კი არ ახდენენ.

ასე, მაგალითად, 1964 წლის 26 სექტემბერს ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსს წერილობითი განცხადებით მიმართეს ძმებმა — ნ-ებმა, რომლებიც ქრთამის გამოძალვის მცდელობაში ამხელდნენ ერთ-ერთი პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელს მ-ს, რომელმაც თითოეულ მათგანს სასწავლებელში ჩასარიცხად მოთხოვა 300-300 მანეთი, დაიტოვა მათი საბუთები და უთხრა, რომ მისთვის ფული მიეტანათ 28 სექტემბერს სკოლაში 9 საათზე. განცხადებაში პირდაპირ მიუთითებდნენ მ-სათვის ქრთამის გადაცემის

---

1. იხ. ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

2 იხ. Следственная практика. М., 1963, вып. 60, стр. 73—78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილს, დღესა და საათს და მოითხოვდნენ სათანადო ზომების მიღებას.

ასეთი მამხილებელი მასალების მიუხედავად მილიციის სამმართველოს მუშაკებმა არავითარი ღონისძიება არ მიიღეს და საკმაოდ მოგვიანებით — 30 სექტემბერს ამ პრთა წერილობითი განცხადება შემდგომი მსვლელობისათვის ქვემდებარეობისამებრ გადაუგზავნა ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურას, რომელმაც ასევე მოგვიანებით — 1964 წლის 17 ოქტომბერს გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ[1].

მექრთამეობის მამხილებელ სიგნალებზე ასეთი დამოკიდებულება ყოველად მოუთმენელია, რადგან იგი უარყოფით გავლენას ახდენს როგორც საქმის შემდგომი მსვლელობის ბედზე, ისე საზოგადოების იმ წევრების რწმენაზე, რომლებმაც უშუალოდ განიცადეს მექრთამეობის შედეგად მათი კანონიერი უფლებების ხელყოფა.

მექრთამეობასთან, როგორც ერთ-ერთ საშიშ დანაშაულთან საბრძოლველად საჭიროა უფრო აქტიურად ჩავაბათ საზოგადოების ფართო მასები. ამას კი მივაღწევთ მხოლოდ მაშინ თუ საზოგადოების თითოეულ წევრს შევუქმნით მტკიცე რწმენას, რომ მექრთამეობაში მონაწილე არც ერთი პირი არ დარჩება დაუსჯელი და, რომ მექრთამეობის არც ერთი შემთხვევა არ დარჩება გაუხსნელი.

---

1 მასალები აღებულია ქ. თბილისის ლენინისრაიონის პროკურატურიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს საფინანსო უფლებების შესახებ

რ. შენგელია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ასპირანტი

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიდი როლი ეკუთვნის სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც მუშაობენ მმართველობის შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელობით სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე.

სახელმწიფო საწარმოებს თავიანთი ამოცანების შესასრულებლად ეძლევათ განსაზღვრული დამოუკიდებლობა. უკანასკნელ ხანს ტენდენცია მიმართულია მისი გაფართოებისაკენ.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში საწარმოები ძირითადად ერთიანდებოდნენ ტრესტში, ამიტომ მათი დამოუკიდებლობა შეზღუდული იყო.

ნორმატიული აქტები საწარმოთა უფლებების შესახებ ჩამორჩებოდნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საჭიროებას.

მრეწველობის მართვის, დაგეგმვის სრულყოფისა და წარმოების ეკონომიური სტიმულირების საკითხების გადაწყვეტასთან ერთად აუცილებელი გახდა ახლებურად მოწესრიგებულიყო სახელმწიფო საწარმოთა სამართლებრივი მდგომარეობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 4 ოქტომბერს დაამტკიცა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს ახალი დებულება.

დებულება წყვეტს არა მარტო მრეწველობის, არამედ მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის მომწიფებულ საკითხებს.

იგი მნიშვნელოვნად აფართოებს საწარმოების დამოუკიდებლობას, ზრდის მათ ინიციატივასა და უფლებებს. ეს კი ყველაზე მეტად გამოიხატება საწარმოს საფინანსო უფლებების გაზრდაში.

სახელმწიფო საწარმოს საფინანსო უფლებები მოწესრიგებულია იურიდიულ ნორმათა ერთობლიობით, რომელიც გულისხმობს საწარმოს ფულადი სახსრების გეგმაზომიერი წარმოქმნისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რომლებიც ძირითადად ფულადი ურთიერთობანია.

საწარმოს მთელი სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება ფულის მეშვეობით. მისი საშუალებით იძენს იგი ნედლეულს, მასალებს, სათბობს და სხვა მატერიალურ ფასეულობებს; ფულით წარმოებს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, ფულადი ფორმით ხდება საწარმოო დანახარჯებისა და შემოსავლების განსაზღვრა და ა. შ. საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის პროცესში წარმოიშობა ფულადი ურთიერთობანი საწარმოებსა და მათში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს შორის, აგრეთვე საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებსა და საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულადი ურთიერთობის სისტემა ისე როგორც საწარმოთა საფინანსო მეურნეობის ორგანიზაცია დაკავშირებულია სამეურნეო ანგარიშთან, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა არა მარტო გეგმიანი მუშაობის მეთოდს, არამედ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარებისა და ღირებულების კანონის საფუძველზე მოქმედ ობიექტურად არსებულ ეკონომიურ კატეგორიას.

საწარმოს საფინანსო უფლებებთან უშუალოდ დაკავშირებული ნორმები მცირე გამონაკლისის გარდა გამიჯნული სახით არ არის მოცემული დებულებაში. ისინი შერწყმულია შრომის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო სამართლის ნორმებთან. მიუხედავად ამისა მათი განხილვა აუცილებელია ვინაიდან საბოლოო ჯამში ასეთი ნორმების განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული ცვლილებათა შეტანა საწარმოს ფინანსებში.

საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად თვითეულ სახელმწიფო საწარმოს უნდა გააჩნდეს ეკონომიური ბაზა. ასეთი ბაზაა ფულადი სახსრები, რომელსაც სახელმწიფო გამოუყოფს მათ საგეგმო დავალებათა შესასრულებლად. ფულადი რესურსები ღებულობენ ძირითადი და საბრუნავი ფონდების ფორმას, რომლებიც განუწყვეტელ წრებრუნვაში იმყოფებიან.

დებულების მე-11 მუხლის თანახმად საწარმოს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები ქმნიან საწარმოს საწესდებო ფონდს, რომლის რაოდენობა გამოსახულებას პოულობს საწარმოს ბალანსში. საწესდებო ფონდი გვიჩვენებს საწარმოს ქონების არა რეალურ შემადგენლობას, არამედ მის ღირებულებას, დაფინანსების წყაროებს. ამიტომ ეს ფონდი ნაჩვენები იქნება საწარმოს ბალანსის პასივში. საწარმოს რეალური შემოსავალი კი აღინიშნება ბალანსის აქტივში.[1]

ძირითადი და საბრუნავი საშუალებები საწარმოებს ეძლევათ მუდმივ სარგებლობაში უკან დაუბრუნებლად. სოციალისტური მეურნეობის პირობებში საბიუჯეტო დაფინანსების დაუბრუნებლობის პრინციპი პირობითია. სახალხო მეურნეობაში სახსრების დაბანდება საბოლოოდ ნიშნავს საზოგადოებრივი წარმოების გადიდებას, რაც იწვევს ეროვნული შემოსავლის და ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას.

ძირითადი და საბრუნავი ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საწარმოო პროცესში მონაწილეობის ხასიათის მიხედვით. ძირითადი ფონდები, რომლებსაც შრომის საშუალებები მიეკუთვნებიან, ემსახურებიან საწარმოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საბრუნავ ფონდებს მიეკუთვნება შრომის საგნები და ისინი საწარმოო პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ ერთჯერ.

დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოსათვის გამოყოფილი საბრუნავი სახსრების სწორ და ეკონომიურ გამოყენებას. დებულების მე-12 მუხლის საფუძველზე საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო რაოდენობა საწარმოს უმტკიცდება ზემდგომი ორგანოების მიერ და მასში ცვლილებების შეტანა დამოკიდებულია ამ ორგანოებზე. მნიშვნელოვნად არის გაფართოებული საკუთარ საბრუნავ საშუალებათა მანევრირების უფლება. ადრე საწარმოს ზემოდან ეძლეოდა არა მარტო საბრუნავ საშუალებათა საერთო რაოდენობა, არამედ აგრეთვე განსაზღვრული იყო ამ საშუალებათა დეტალური განაწილება. ეს ზღუდავდა საწარმოთა შესაძლებლობებს, რაც შეიძლება რაციონალურად და ოპერატიულად გა-

[1] В. В. Лаптев — Правовое положение государственных промышленных предприятиий в СССР. Госюриздат. 1961 г. стр. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეყენებიათ ეს საშუალებანი. ახლა კი საწარმოებს დაუწესდებათ საბრუნავ საშუალებათა მხოლოდ საერთო ნორმატივი, ხოლო საკითხს თუ რას და რა რაოდენობით მოახმარონ ეს საშუალებანი გადაწყვეტენ თვითონ საწარმოს ხელმძღვანელები.

საბრუნავი სახსრები ძირითადად განკუთვნილია ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, სათბობის, დაუმთავრებელი წარმოების, ნახევარფაბრიკატების, მზანაწარმისა და საქონლის მინიმალური მარაგის და აგრეთვე მომავალი წლის ხარჯებზე დაბანდებებისათვის. საწარმოს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნილება საბრუნავი სახსრების მომატებაზე. წინათ ასეთი მოთხოვნილება კმაყოფილდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ახლა კი საწარმოებს საჭიროების დროს მიეცემათ დროებითი კრედიტი. საწარმოების საერთო შემოსავლები წარმოიქმნებიან პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგების ანგარიშზე. ამონაგების ნაწილი მიიმართება წარმოებაში გამოყენებული საწარმო საშუალებების აღდგენაზე, ხოლო მისი დანარჩენი ნაწილი შეადგენს საწარმოს საერთო შემოსავალს, რომლიდანაც გაიცემა მუშებსა და მოსამსახურეებზე ხელფასი. ამის შემდეგ საერთო შემოსავლის ნაწილი წარმოადგენს საზოგადოების წმინდა შემოსავალს, ნაწილი კი საწარმოს მოგებას.[1]

ყველა ფულადი შემოსავლები იმყოფება ბანკში საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე და გამოიყენება ხელფასის გადახდისათვის, საბიუჯეტო დავალებათა შესასრულებლად, ბანკის სესხის დასაფარავად და ა. შ.

სახელმწიფო საწარმოს ხარჯებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანახარჯებს წარმოებისათვის და პროდუქციის რეალიზაციისათვის. ასევე დიდი მნიშვნელობისაა საწარმოთა გადასახდელები საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა სასარგებლოდ, რომლებსაც მიეკუთვნება ბრუნვის გადასახადი, ანარიცხები მოგებიდან, საკუთარი საბრუნავი საშუალებების გადაცემა სახელმწიფო ბიუჯეტში, მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასზე არსებული დანარიცხების გადაცემა სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში.

როგორც აღვნიშნეთ საწარმოს გარკვეული ხარჯების გაღების შემდეგ რჩება მოგება, რომელიც გამოიყენება საწარმოს გაფართოებისა და მუშებისა და მოსამსახურეების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს გაუმჯობესებისა და პრემიებისათვის, საწარმოში სხვადასხვა ფონდების შექმნისათვის. ამ ფონდებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელსაც ანხორციელებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მაღალი ტემპების უზრუნველყოფის, საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების გადიდების მიზნით.

სახელმწიფო საწარმოს დებულების მე-14 მუხლი ითვალისწინებს საწარმოს ფონდის შექმნას, რომელიც ხმარდება წარმოების სრულყოფას, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და მათ სტიმულირებას.

საწარმოს მუშაკთა მატერიალური სტიმულირების სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს პირველად საფუძველი ჩაეყარა 1921 წლის 7 აპრილს, როდესაც ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი „მუშათა ნატურალური პრემიების შესახებ“. შემდგომში საწარმოს მოგების ხარჯზე წახალისების რამდენი-

[1] კ. პლოტნიკოვი. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი. თბილისი 1963 წ. გვ. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ფონდი შეიქმნა. არსებული ფონდების მრავალსახეობა (ნედლეულის, სათბობის და სხვ.) აძნელებდა საფინანსო კონტროლს და ხელს უშლიდა მათ სწორ გამოყენებას[1]. ამიტომ ამ ფონდების ნაცვლად 1936 წელს შეიქმნა დირექტორის ფონდი, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წ. 9 აგვისტოს დადგენილებით დირექტორის ფონდი საწარმოს ფონდად გარდაიქმნა.

საწარმოს ფონდის შექმნის უფლება ეძლევა ყველა საწარმოს, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. საწარმოს ფონდის წყარო როგორც დებულებაშია აღნიშნული არის მოგება. რაც უფრო დიდია საწარმოს ფაქტიური მოგება მით უფრო მეტი სახსრები გადაირიცხება საწარმოს ფონდში. მოგების ეკონომიური კატეგორია საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებელია და იგი მუშაკთა მატერიალური სტიმულირების ძირითადი წყაროა. თუ საწარმოში მოგება არ არის გათვალისწინებული, მაშინ ფონდის შექმნის წყარო იქნება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია.

საწარმოს ფონდის ამოღება და გადანაწილება ზემდგომი ორგანოების მიერ დაუშვებელია. ეს კი საშუალებას აძლევს საწარმოს თავისი საჭიროებისათვის ჰქონდეს მყარი შემოსავლის მუდმივი წყარო. იგი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სტაბილობის მაჩვენებელია.

საწარმოს ფონდის სახსრების განსაზღვრული რაოდენობა მიიმართება ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციაზე, წარმოების გაფართოებაზე და აგრეთვე საწარმოთა საბინაო ფონდის მშენებლობასა და რემონტზე კაპიტალდაბანდებათა ზევით. საწარმოს ფონდის დანარჩენი ნაწილი გამოიყენება საწარმოთა მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ინდივიდუალური პრემიების გაცემისათვის და ერთდროული დახმარების გაწევისათვის.

დებულების მე-14 მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე ფართო მოხმარების ფონდის შექმნას საწარმოში. მისი წყაროა მოგება, რომელსაც ღებულობს საწარმო უტილსაამქროებში წარმოების ნარჩენებიდან დამზადებული ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციიდან. ამ შემოსავლის წარმოქმნისა და გამოყენების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1960 წლის 29 აგვისტოს ინსტრუქციით „ფართო მოხმარების საქონლის ნარჩენებისაგან მიღებული მოგების გამოყენების წესის შესახებ". ეს ფონდი სტიმულს აძლევს საწარმოს გადაამუშაოს ნარჩენები სასარგებლო ნაწარმად. თუ საწარმო ახდენს მხოლოდ ნარჩენების რეალიზაციას გადაუმუშავებლად, მაშინ ამ გზით მიღებული თანხა მას არ დარჩება. ასევე არ დარჩება საწარმოს მოგება, რომელიც თუმცა ნარჩენების გადამუშავებისაგან მიიღო, მაგრამ ეს გათვალისწინებული იყო მოცემული საწარმოს გეგმით. ამ ფონდის განსაზღვრული ნაწილი დაიხარჯება ნარჩენებიდან ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელი საამქროების გაფართოებისათვის, აგრეთვე წარმოების მუშაკების დაჯილდოებისა და სხვა ღონისძიებებისათვის. განსაზღვრული ნაწილი კი გადაირიცხება ზემდგომი ორგანოების ცენტრალიზებულ ფონდში კონკურსებსა და გამოფენების მოსაწყობად, ფართო მოხმარების საქონლის კატალოგის შესადგენად. საწარმოების დირექ-

---

[1] Л. Ротштеин — Фонд предприятия для улучшения культурно-бытовых условий работников и совершенствования производства. Госфиниздат М. 1957 г. стр. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორებს უფლება აქვთ ნარჩენებიდან გამომუშავებული ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგების 50 პროცენტამდე წარმართონ კაპიტალ-დაბანდებათა ზევით საწარმოს საცხოვრებელი ფონდის მშენებლობისა და რემონტისათვის.

მოგების საფუძველზე საწარმოში იქმნება მატერიალური წახალისების ფონდი. წინათ ეს ფონდი ძირითადად გამოიყენებოდა გეგმის გადაჭარბებით შესრულების წასახალისებლად. ამიტომ საწარმოები ცდილობდნენ მიეღოთ რაც შეიძლება ნაკლები საგეგმო დავალებანი, რათა გადაჭარბებით შეესრულებინათ გეგმა. ამჟამად გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის წახალისების თანხა შედარებით ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც გაიცემა გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელთა მიღწევებისათვის. ეს ავალებს საწარმოებს დროზე გამოავლინონ რეზერვები და მიიღონ უფრო მაღალი საგეგმო დავალებები.

ახალი დებულება მნიშვნელოვნად აფართოებს საწარმოს უფლებებს საამორტიზაციო ანარიცხების გამოყენების სფეროში, რომელიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტისათვის. ნებადართულია ამ სახსრებით შეიძინონ ახალი მოწყობილობა მოძველებულის ნაცვლად თუ ძველის რემონტი ეკონომიურად მიზანშეუწონელია. დებულების მე-13 მუხლის საფუძველზე კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით საწარმო ამ ანარიცხების საერთო რაოდენობის 10 პროცენტამდე გადასცემს ზემდგომ ორგანოებს, რათა შეიქმნას ფულადი რეზერვები იმ საწარმოებისათვის დასახმარებლად, რომლებსაც საკუთარი სახსრები არ ჰყოფნით.

სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების დაფინანსებაზე სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნებელი წესით. მაგრამ ამ სახის დაფინანსებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა საბანკო დაკრედიტებას. დებულების 72-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საწარმოს შეუძლია ისარგებლოს საბანკო კრედიტით და აკისრია გარკვეული პასუხისმგებლობა მისი მიზნობრივი გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის. საწარმოთა საფინანსო მეურნეობაში საბანკო კრედიტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი ეძლევა საწარმოებს სახელმწიფო ბანკის მიერ დროებითი სარგებლობისათვის მოკლევადიანი კრედიტის ფორმით სეზონური მარაგის შექმნის, სეზონური ხასიათის დანახარჯებისა და საწარმოს სხვა იმ დროებითი საჭიროებისათვის, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივებით. საწარმოებს შეიძლება მიეცეთ გრძელვადიანი კრედიტიც. ამ შემთხვევაში დაკრედიტების ობიექტი იქნება საწარმოს არა საბრუნავი ამ მიმოქცევის ფონდები, არამედ ძირითადი ფონდები.[1]

სახელმწიფო საწარმოთა საბანკო დაკრედიტების ორგანიზაციებს საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

კრედიტის გეგმიურ-მიზნობრივი ხასიათი ე. ი. საწარმოებისათვის მისი მიცემა საგეგმო დავალებებით განპირობებული მიზნებისათვის;

კრედიტის მიცემა ვადით და დაბრუნების პირობით;

კრედიტის უზრუნველყოფა მატერიალური ფასეულობებით, რაც წარმოადგენს ბანკისათვის სესხის დაბრუნების გარანტიას;

---

[1] Н. В. Цапкин — Финансовое хозяйство промышленных предприятий М. 1963 г. стр. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესხად მიღებული ფულადი სახსრების გამოყენებისათვის საწარმოები სახელმწიფო ბანკს უხდიან განსაზღვრულ პროცენტებს;

კრედიტი ეძლევათ იმ საწარმოებს, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან, აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და საკუთარი საბრუნავი სახსრები.

რამდენადაც საბანკო სესხი არის დასაბრუნებელი, მიზნობრივი, სასყიდლიანი და ვადიანი, იგი სტიმულის მიმცემია საწარმოს სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის და წარმოადგენს მანეთით კონტროლის იარაღს წარმოების გეგმის და პროდუქციის რეალიზაციის შესრულებისათვის.

საბანკო სესხებს საწარმოები იღებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებისაგან დაკრედიტების იმ ლიმიტის შესაბამისად, რომელიც მათთვის დაწესებულია სესხების ცალკეული სახეებისა და დაკრედიტების ობიექტების მიხედვით. სახელმწიფო ბანკის დაწესებულება საკრედიტო ლიმიტის საფუძველზე საწარმოს უგზავნის სალიმიტო განკარგულებას, რის შედეგადაც იდება სესხის ხელშეკრულება სახელმწიფო ბანკსა და საწარმოს შორის.

საბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში საკრედიტო ლიმიტის ანუ უფრო სწორად საკრედიტო განკარგულების შესახებ არსებობს ორგვარი შეხედულება. პირველი შეხედულება გამოთქმულია 1938 წელს გამოცემულ სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოში,[1] ხოლო შემდეგ უფრო გამოკვეთილად განმეორებულია ზ. ი. შკუნდინის მიერ 1951 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში.[2] ამ შეხედულების თანახმად საკრედიტო ლიმიტი არ ადგენს ბანკის სამოქალაქო სამართლებრივ ვალდებულებას მისცეს კრედიტი სამეურნეო ორგანიზაციას, ანდა ამ ორგანიზაციის ვალდებულებას გამოიყენოს იგი. ასევე სამეურნეო ორგანიზაციის გეგმა არ ავალდებულებს ბანკს ან სამეურნეო ორგანიზაციას დადოს სესხის განსაზღვრული ხელშეკრულება. მაგრამ ასეთი ხელშეკრულების დადების მომენტში ეს გეგმა განსაზღვრავს მის მთავარ პირობებს. ამავე შეხედულებას იზიარებს პროფ. ე. ა. ფლეიშიციც.[3]

განსხვავებული შეხედულებები გამოთქვა პროფ. რ. ო. ხალფინამ თავის შრომებში. სალიმიტო განკარგულება პროფ. რ. ო. ხალფინას აზრით ქმნის სახელმწიფო ბანკის არა მარტო უფლებას, არამედ ვალდებულებასაც მისცეს კრედიტი კლიენტს, რომლისთვისაც არსებობს სალიმიტო განკარგულება, მასში აღნიშნული პირობების გათვალისწინებით. სახელმწიფო ბანკის ამ ვალდებულებას შეესაბამება კლიენტის უფლება მიიღოს კრედიტი იმ შემთხვევაში თუ დაცულია სალიმიტო განკარგულებაში აღნიშნული პირობები. ამიტომ მას შეუძლია გაასაჩივროს ბანკის მიერ ამ დროს კრედიტის მიუცემლობა.[4]

მეორე შრომაში პროფ. რ. ო. ხალფინა სულ სხვა აზრს ავითარებს: იგი სალიმიტო განკარგულებას განიხილავს, როგორც ადმინისტრაციულ აქტს, „რომელიც განსაზღვრულ პირთათვის ქმნის უფლებებსა და მოვალეობებს“, ე. ი.

---

[1] Советское гражданское право ч. II, Госюриздат. 1938 г. стр. 359.

[2] Советское гражданское право. Госюриздат. 1951 г. т. 2. стр. 248.

[3] Е. А. Флейщиц — Расчетные и кредитные правоотношения, Госюриздат. 1956 г. стр. 210.

[4] Р. О. Халфина — Правовое положение Государственного банка. Изв. Академии наук СССР. Отделение экономики и право 1947 г. № 1 стр. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო სახელმწიფო ბანკს თვლის ვალდებულად გასცეს სესხი საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, არამედ საწარმოებსაც — მიიღოს შესაბამისი სესხი.[1]

იმავე შრომაში (გვ. 54-55) სალიმიტო განკარგულება კვლავ განიხილება ადმინისტრაციულ აქტად, რომელიც ქმნის ვალდებულებას მხოლოდ ერთი მხარისათვის: სახელმწიფო ბანკის დაწესებულება ვალდებულია მისცეს სესხი ლიმიტის ფარგლებში სამეურნეო ორგანიზაციას, ხოლო ამ უკანასკნელს უფლება აქვს მიიღოს აღნიშნული სესხი. ეს შეხედულება განმეორებულია პროფ. რ. ო. ხალფინას შრომაში ხელშეკრულების არსისა და მნიშვნელობის შესახებ.[2]

პროფ. რ. ო. ხალფინას აზრით სამეურნეო ორგანიზაციას ყველა შემთხვევაში აქვს უფლება მიიღოს საკრედიტო ლიმიტით გათვალისწინებული სესხი. ამ შეხედულებებს იზარებენ ე. გ. პოლონსკი[3] და კ. გ. ზამიატინა[4]. ეს შეხედულებები საკრედიტო ლიმიტის იურიდიული ბუნების შესახებ ჩვენის აზრით სწორი არ არის.

სახელმწიფო საწარმო არა მარტო არ არის ვალდებული, არამედ მას არც აქვს უფლება მიიღოს სალიმიტო განკარგულებებით გათვალისწინებული სესხი, ვინაიდან; ჯერ ერთი, მისი ოპერატიული დამოუკიდებლობა გამოვლინდება იმაში, რომ თვითონ გადაწყვეტს საბანკო სესხის გამოყენების საჭიროების საკითხს და თუ ჩათვლის ,რომ არ სჭირდება სესხი, უფლება აქვს არ მიიღოს იგი. მეორეც, სახელმწიფო ბანკის ინსტრუქციის საფუძველზე სესხი გაიცემა მას შემდეგ, რაც ბანაკის მმართველი ნებას იძლევა სესხის გაცემაზე. მაგრამ თუ მანამდე ბანაკი გადაწყვეტს, რომ საწარმოს საბანკო სესხი არ ესაჭიროება ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბანკი მმართველის მეშვეობით უარს ეტყვის მას სესხის მიცემაზე. გარდა ამისა საკრედიტო ლიმიტი კი არ ავალდებულებს ბანკს აუცილებლად გასცეს ლიმიტით გათვალისწინებული თანხა, არამედ იგი, როგორც სწორად მიუთითებს მ. მ. უსოსკინი, ადგენს დაკრედიტების ზღვარს, „კრედიტის ზღვრულ ნორმას კვარტალის ბოლოსათვის "ან კვარტალის შიგნით განსაზღვრული თვისათვის[5]. ბანკი, გასცემს რა სესხს, ვალდებულია არ გადააცილოს დადგენილ ლიმიტს კვარტალის განმავლობაში. მაგრამ იგი საერთოდ არ არის ვალდებული გამოიყენოს ლიმიტი მთლიანად, გასცეს სესხი ლიმიტის მთელ თანხაზე. საკრედიტო ლიმიტის არასრული გამოყენება თავისთავად არ არის საკრედიტო დისციპლინის დარღვევა.[6].

შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო საწარმო არა თუ ვალდებულია

---

[1] Р. О. Халфина — Административный акт и договор «Соевтское государство и право» 1951 г. № 1.

[2] Р. О. Халфина — Значение и сущность договора в советском социалистическом праве М. 1954 г. стр. 170 — 174.

[3] Э. Г. Полонский — Правовые основы банковского кредитования промышленности в СССР. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук. М. 1963. стр. 11—12.

[4] К. Г. Замятина — Правовая природа правоотношении по долгосрочному кредитованию. «Ученые записки» Перского государственного университета, т. 14, кн. 4 вып. 2. Пермь 1959 г. стр. 69.

[5] М. М. Усоскин — Организация и планирование кредитов в СССР. Госфиниздат. 1951 г. стр. 207.

[6] «Денежное обращение и кредит в СССР» под редакции В. В. Иконникова. Госфиниздат. 1957 г. стр. 359.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღოს სალიმიტო განკარგულებით გათვალისწინებული სესხი, არამედ ამისათვის მას არც უფლება გააჩნია, ბანკთან ხელშეკრულების დადებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საწარმო საჭიროებს საბანკო კრედიტს და მის გაცემაზე ბანკი თანახმაა, მათ შორის იდება საბანკო სესხის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს საერთოდ სესხის ხელშეკრულების სახესხვაობას. საბანკო სესხსა და ჩვეულებრივ სესხს შორის ბევრი განსხვავება არსებობს, ამიტომ არ შეიძლება საბანკო სესხის მიმართ გავავრცელოთ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომელიც ჩვეულებრივ სესხს ეხება.

საბანკო სესხის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულების ზოგადი დებულებანი, ხოლო მისი კონკრეტული რეგულირება უნდა მოხდეს ბანკის ინსტრუქციით.

სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით საბანკო სესხის ხელშეკრულებით, სესხის საგანი გამსესხებლებზე არ გადადის საკუთრებაში, მცირე გამონაკლისის გარდა (კოლმეურნეობები და სამომხმარებლო კოოპერაცია), ვინაიდან მსესხებელიცა და გამსესხებელიც არის სახელმწიფო ორგანო და მათ შორის არ შეიძლება საკუთრების უფლების გადაცემა.

საბანკო სესხის ხელშეკრულება სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით არის არა რეალური, არამედ კონსესუალური ხელშეკრულება, ვინაიდან ხელშეკრულება დადებულად ითვლება არა სესხის გაცემის მომენტში, არამედ ბანკის მმართველის მიერ საწარმოს განცხადებაზე თანხმობის აღმნიშვნელი წარწერის გაკეთების მომენტში[1].

რადგან საბანკო სესხის ხელშეკრულება არის კონსესუალური, ამიტომ იგი არის არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი ხელშეკრულება. ვინაიდან ხელშეკრულება დადებულად ითვლება არა სესხის გაცემის, არამედ ამაზე ნების დაროვის მომენტში, ორივე მხარეს წარმოეშვება გარკვეული უფლებები და მოვალეობები: ბანკი ვალდებულია გასცეს სესხი, რადგან ხელშეკრულება უკვე დადებულია. ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის დროზე დაბრუნება ხასყიდლით, მისი მიზნობრივი გამოყენება საწარმოს მიერ და სხვა. სახელმწიფო საწარმოს უფლება აქვს მიიღოს ხელშეკრულებაში აღნიშნული თანხა სესხად. იგი ვალდებულია გამოიყენოს დანიშნულებისამებრ ეს სესხი და დააბრუნოს იგი დროულად.

საბანკო სესხი არის ყოველთვის ვადიანი და სასყიდლიანი. ამგვარად საბანკო სესხის ხელშეკრულება არის ისეთი სახესხვაობა ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისა, რომელიც ამ უკანასკნელს ემთხვევა მხოლოდ ერთ თვისებაში — ორივე ხელშეკრულება ავალდებულებს მოვალეს უკან დააბრუნოს სესხად მიღებული თანხა[2].

სახელმწიფო საწარმოებში დგება საფინანსო გეგმა. მასში, როგორც საწარმოო გეგმის შემადგენელ ელემენტში, ფულად ფორმაში აისახება საწარმოს

---

[1] Э. А. Зинчук — Договор краткосрочной ссуды между госбанком и государственными хозяйственными организациями. — Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук. М. 1963 г. стр. 8 აგრეთვე К. Т. Замятина — Некоторые вопросы кредитования индивидуального жилищного строительства «Ученые записки» Пермского государственного университета т. II. вып. 4. Пермь 1957 г. стр. 148.

[2] Е. А. Флеищиц — Расчетные и кредитные правоотношения. М. 1956 г. стр. 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელი ეკონომიური საქმიანობა. ძირითადი და საბრუნავი საშუალებების მოძრაობა, შემოსავლები და ხარჯები, დავალება დაგროვების ფორმირებისა და მოგების განაწილებაზე, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა და წყაროები, ზემდგომ ორგანოებთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან საფინანსო საანგარიშსწორებო დამოკიდებულება.

საფინანსო გეგმის აქტიური როლი გაპიროებულია იმით, რომ ის დგება საწარმო გეგმის მაჩვენებლების ფულად ფორმაში გამოხატვის საფუძველზე საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის ერთეულისა და მთელ მოცულობაზე დანახარჯების ყველა ელემენტების ეკონომიური დასაბუთების გათვალისწინებით.

საფინანსო გეგმა წარმოადგენს საწარმოს შემოსავლებისა და გასავლების ბალანსს, რომელიც ძირითადად შეიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ განაყოფს; ესენია: შემოსავლები, ხარჯები და ანარიცხები და ბიუჯეტთან ურთიერთობა[1].

შემოსავლებისა და გასავლების ბალანსის გარდა საბანკო საწარმოები დებულების 74-ე მუხლების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ადგენენ სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო ანგარიშებს და ცალკეულ ღონისძიებებზე დანახარჯების მოცულობის ანგარიშებს. სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო ანგარიშები ბალანსისაგან განსხვავებით შეიცავს ფულადი სახსრების მხოლოდ მიზნობრივ განაწილებას გასავლელებისა და შესასრულებელ ღონისძიებათა სახეების მიხედვით.

სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო და ცალკეულ ღონისძიებებზე დანახარჯების მოცულობის ანგარიშების სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ საფინანსო საგეგმო აქტებთან დაკავშირებულია საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა საწარმოს ხარჯების შესრულების დროს. ზემოაღნიშნული ანგარიშები, რომლებსაც საწარმოს დირექტორი ამტკიცებს, იძენს ნორმატიული აქტის ძალას, რომელიც ქმნის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს საწარმოს თანამდებობის პირებისათვის ფულადი სახსრების გამოყენების დროს. ანგარიშებში მოცემული უნდა იყოს ის ღონისძიებები, რომელთა დაფინანსება საწარმოს მოუხდება. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება: ახალი ტექნიკის შექმნა და დანერგვა, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მოწყობილობათა მოდერნიზაცია, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება, საწარმოო პროცესის რაციონალიზაცია და ინტენსიფიკაცია, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაცია და გაფართოება, აგრეთვე მათი ხარისხის გაუმჯობესება.

სახელმწიფო საწარმოებს ახალი დებულებით მნიშვნელოვნად გაუფართოვდათ საფინანსო უფლებები არა მარტო ფულადი სახსრების დაგროვების, არამედ ამ სახსრების განკარგვის, აგრეთვე მათი ძირითადი და საბრუნავი საშუალებების დამოუკიდებლად გამოყენების სფეროშიც.

საწარმოებს უფლება მიეცათ გააქირაონ დროებით გამოუყენებელი ნაგებობანი და იარაღები, აგრეთვე საწარმოო, სასაწყობო და სხვა შენობები, რომლებიც მათ ეკუთვნით. შესაძლებელია აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებისა

[1] Н. В. Цапкин. Финансовое хозяйство промышленных предприятий. М. 1963 г. стр. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოწყობილობების გაქირავება სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებზე; მხოლოდ ამისათვის საჭიროა ზემდგომი ორგანოების თანხმობა.

დებულების 21-ე მუხლი ითვალისწინებს საწარმოებისათვის ახალი უფლების მინიჭებას; საქმე იმაშია, რომ თუ საწარმოს გააჩნია ზედმეტი, მის მიერ გამოუყენებელი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინსტრუმენტი, ინვენტარი, ნედლეული, და სათბობი, აგრეთვე მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, თესლი და საკვები მას შეუძლია გაყიდოს ისინი სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებზე. მაგრამ საწარმოს მათი გაყიდვის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ წემთხვევაში თუ შესაბამისი ზემდგომი ორგანო უარს იტყვის ამ ნამეტის გადანაწილებაზე ან, თუ საწარმომ აცნობა ზემდგომ ორგანოს ნამეტის არსებობა და მიუხედავად ამისა ერთი თვის განმავლობაში ამის თაობაზე არავითარი პასუხი არ მიუღია. ჩვეულებრივ, კი შესაბამისი ზემდგომი ორგანოები ახდენენ საწარმოებში ზემოაღნიშნული ნამეტის გადანაწილებას.

ის თანხები, რომელიც საწარმომ მიიღო იმ ზედმეტი მოწყობილობათა და მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვისაგან, რომლებიც საბრუნავ საშუალებებს ეკუთვნიან, რჩება საწარმოს საბრუნავი საშუალებების სახით. ხოლო საწარმოს ძირითადი საშუალებებს მიეკუთვნება ის სახსრები, რომლებიც საწარმომ მიიღო ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად. საწარმოებს შეუძლიათ ზედმეტი და გამოუყენებელი მანქანების და სხვა სახეობათა ძირითადი ფონდების რეალიზაციით მიღებული სახსრები მოახმარონ კაპიტალურ დაბანდებებს დამტკიცებული წლიური გეგმის გადამეტებით. ეს კი გაადიდებს საწარმოთა დაინტერესებას გამოყენებული მოწყობილობის რეალიზაციით და შესაძლებელს გახდის მოვაქციოთ სახალხო-სამეურნეო ბრუნვაში ამჟამად უმოქმედო ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დებულების 75-ე მუხლის საფუძველზე საწარმოს შეუძლია დამოუკიდებლად ჩამოწეროს ბალანსიდან მორალურად გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალება, ინვენტარი და ინსტრუმენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი ჩამოწერა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიურად მიზანშეუწონელია და არ შეიძლება მისი რეალიზება. საწარმოს უფლება აქვს აგრეთვე ჩამოწეროს ბალანსიდან არა მარტო ისეთი შენობები, რომლებიც ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით დანგრეულ უნდა იქნას, არამედ ისეთებიც, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებიან. როგორც აღვნიშნეთ ასეთ ჩამოწერებს საწარმო დამოუკიდებლად აკეთებს, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე. ამ უკანასკნელთან შეთანხმება საჭიროა, როცა საწარმო ანხორციელებს ნაშთში ისეთ დებიტორიალურ დავალიანებათა ჩამოწერას. რომელსაც ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა. პრაქტიკულად ასეთი მოქმედების შესრულება იშვიათად უხდება საწარმოს. საწარმოს შეუძლია აგრეთვე ჩამოწეროს ის მისჯილი ვალები, რომელთა გადახდა მოპასუხეს არ შეუძლია და როცა მის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება. ამ შემთხვევაში ჩამოწერის საფუძველი უნდა იქნეს საწარმოში უკან დაბრუნებული სააღმასრულებლო საბუთები სასამართლოს მიერ დამტკიცებულ აქტთან ერთად მოპასუხის ვალაუვალობისა და მის ქონებაზე დახდევინების მიქცევის შეუძლებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ. ასევე შეიძლება ჩამოწერილ იქნას ბალანსიდან სხვა ვალები, რომელთა ამოღება საწარმოს უიმედოდ მიაჩნია.

საწარმოს შეუძლია ბალანსიდან ჩამოწეროს არა მარტო მატერიალური ქონება, და ვალები, არამედ აგრეთვე ფულადი სახსრებიც, ზემდგომი ორგანოების თანხმობით. ასეთი ჩამოწერა საწარმომ შეიძლება მოახდინოს 100 მანეთის ფარგლებში იმ შემთხვევებში, როცა საწარმოს გააჩნია ფასეულობათა ნაკლებობა, აგრეთვე დანაკარგები საქონლის, მასალებისა და პროდუქციის გაფუჭების დროს, როცა კონკრეტული დამნაშავენი გამოვლინებული არ არიან; აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის შესავსები ვალები, რომელთა გადახდა უარყოფილია სასამართლოს მიერ სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო. საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული უფლების განხორციელება უნდა მოხდეს ჩამოწერის საფუძვლების დაწვრილებითი განხილვის შემდეგ.

საწარმოს ფართო საფინანსო უფლების მაჩვენებელია ის ,რომ იგი თვითონ ადგენს პროდუქციის ცალკეულ სახეებზე ფასებს და ტარიფებს, ისე, რომ ამაზე საჭირო არ არის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმება. ეს ძალზე დიდი მნიშვნელობის საკითხია. საჭიროა ფასწარმოქმნის სისტემის გაუმჯობესება. ფასები სულ უფრო მეტად უნდა ასახავდნენ შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯს, უზრუნველყოფდნენ წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების ანაზღაურებას და ყველა ნორმალურად მომუშავე საწარმოს მიერ მოგების მიღებას. საწარმოს ეს უფლებები ფასების დაწესების საქმეში ხელს უწყობს იმას, რომ საწარმოებმა საბითუმო ფასებით თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიიღონ მოგება და ჰქონდეთ შესაძლებლობა შესაბამისად შექმნან წამახალისებელი ფონდები, აგრეთვე ჰქონდეთ საჭირო სახსრები თავიანთი საქმიანობის გაფართოებისათვის, ძირითადი ფონდების გადასახადისა და ბიუჯეტის სხვა შესატანებისათვის.

გაიზარდა საწარმოს უფლებები ხელფასის მოწესრიგების სფეროში. დებულების 81-ე მუხლით საწარმოებს უწესდებათ ხელფასის საერთო ფონდი, ცალკეულ სახეებად დანაწილების გარეშე. საწარმოს თვითონ ეძლევა უფლება ხელფასის დადგენილი ფონდის ფარგლებში გამოიყენონ მუშაკთა შრომის ანაზღაურების სანარდო, დროებითი ან აკორდული სისტემის დამოუკიდებლად, ხოლო ხელფასის ფონდის ეკონომიურად გამოყენება საშუალებას აძლევს საწარმოს მიღებული დანაზოგი გამოიყენოს თავისი საჭიროებისათვის.

სახელმწიფო საწარმოს საფინანსო უფლების ზრდის მაჩვენებელია აგრეთვე ისიც, რომ იგი დამოუკიდებლად ადგენს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, ხელფასის საერთო ფონდისა და ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებულ ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ასიგნებათა ფარგლებში. ასევე, საწარმოს შეუძლია საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციაში გაუტარებლად დაამტკიცოს საწარმოს სტრუქტურა და მისი შტატები. საწარმოს ახალი დებულებით შეუძლია ცალკე ბალანსზე გამოყოს თავისი წარმოება და მეურნეობა. მაგრამ ამ ბალანსის პასივი და აქტივი აუცილებლად ჩართულ უნდა იქნას საწარმოს საერთო ბალანსში.

ამგვარად, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ სახელმწიფო საწარმოს ოპერატიული დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაფართოების შედეგად გაიზარდა საწარმოს უფლებები და მოვალეობები მისი მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში და განსაკუთრებით კი — ფინანსების სფეროში.

წინასახელშეკრულებო დავების განხილვა არბიტრაჟში

ლ. ჩორგოლაშვილი

სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში დიდ როლს ასრულებს ხელშეკრულება და სახელშეკრულებო დისციპლინა.

უკანასკნელ ხანს მიმწოდებლისა და მყიდველის ურთიერთობაში მთელი რიგი სიახლეა, რაც შემოღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ივნისის დადგენილებით „საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებების დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, აგრეთვე 1963 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით „სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულების დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციული წერილებით.

ამ აქტებით სახელშეკრულებო ურთიერთობის ყველაზე ეფექტურ ფორმად აღიარებულია პირდაპირი ხელშეკრულება.

მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია პირდაპირი ხელშეკრულების დადების აუცილებლობა იმ დროსაც, როდესაც გაგზავნილ პროდუქციაზე ანგარიშსწორება ხდება საბითუმო სავაჭრო და მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციებს შორის, თუმცა მათი მონაწილეობა სახელშეკრულებო ურთიერთობაში ადიდებს ზედნადებ ხარჯებს.

დადგენილებებით დაშვებულია აგრეთვე მრავალწლიანი ხელშეკრულების გაფორმება თუ მიმწოდებლებსა და მყიდველს შორის არსებობს მუდმივი სამეურნეო კავშირი. ხელშეკრულება იდება იმავე ვადით, რა ვადითაც მტკიცდება სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა.

მთავრობის ამ აქტებით დადგენილია ფონდის გამნაწილებელი ორგანოების პასუხისმგებლობა, ფულადი ჯარიმის სახით, ფონდების დროულად გაუნაწილებლობის შემთხვევაში.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ბაზები და სხვა, თავს არიდებენ ან დაგვიანებით ანაწილებენ ფონდებს მომხმარებლებზე. სახელმწიფო არბიტრაჟი ასეთი ორგანოების მიმართ იყენებს დადგენილებებით დაწესებულ ჯარიმას[1].

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ფონდების დაგვიანებით განაწილებისა და მიწოდების ვადების დარღვევისათვის „საქხილბოსტანს“ გადახდა ჯარიმა 250 მანეთი, თუმცა უკრაინის ბაკალეიას ჩერნოვიცკის ბაზას ამ ტრესტთან ხელშეკრულების დადებაზე უარი ეთქვა, ვინაიდან „საქხილბოსტანი“ არ მონაწილეობს სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებაში მისაწოდებელი პროდუქციის ასორტიმენტის განსაზღვრას. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება მომხმარებელთა მოთხოვნა პროდუქციის ასორტიმენტზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაკუთრებით გამახვი-

---

[1] Советское государство и право, 1965 г. № 2 стр. 406.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულია ყურადღება ამ საკითხზე. სახელდობრ: საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება მიეცათ უარი განაცხადონ ხელშეკრულების დადებაზე და ისეთი პროდუქციის მიღებაზე, რომელიც გამოყოფილია შეკვეთის გარეშე და რომელზედაც არ არის მოსახლეობის მოთხოვნა, თუნდაც მიწოდების ვალდებულება განსაზღვრული იყოს სათანადო წესით დადგენილი განრიგით და ფონდით.

ამ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოებზე სამრეწველო-სავაჭრო ორგანიზაციების ზემოქმედებისათვის.

თუ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების მიღებამდე არბიტრაჟის კომპეტენციაში არ შედიოდა ზემოთ აღნიშნული საკითხის განხილვა იმ მოტივით, რომ იგი არ არის პროდუქციის გამომყოფი და გამნაწილებელი ორგანო, ამჟამად არბიტრაჟს მიეცა უფლება შეიტანოს მიწოდების ხელშეკრულებაში ცვლილება, მოიყვანოს შესაბამისობაში გეგმა და მოსახლეობის მოთხოვნა.

დადგენილებებით, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით დაშვებულ იქნა მხარეების ურთიერთობის გაფორმება მხოლოდ განრიგის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების გარეშე. ეს მიწოდების პრაქტიკის სიახლეა. ასეთი წესი დაშვებულია იმ შემთხვევაში, როდესაც განრიგი (ან მისი შემცვლელი საბუთი) შეიცავს ყველა მონაცემს მიწოდების განხორციელებისათვის და არ არის საჭირო მიწოდების რაიმე დამატებითი პირობების შეთანხმება.

სახელშეკრულებო პრაქტიკის ახალი ურთიერთობით ხელშეკრულების როლი სრულიადაც არ მცირდება. მისი როლი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა. მიწოდების ხელშეკრულება იდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია უფრო გამარტივებული ფორმების გამოყენება-განრიგის ან შეკვეთის წესით ურთიერთობის დადგენა[1].

არ უნდა დავივიწყოთ, რომ განრიგის საშუალებით სახელშეკრულებო ურთიერთობის დადგენა დამოკიდებულია მხარეების სამეურნეო ურთიერთობის კონკრეტულ ხასიათზე და მიწოდების კონკრეტულ თავისებურებებზე.

კერძოდ განმარტებული იქნა თუ რა მონაცემები უნდა იყოს განრიგში, რომ იგი მიღებულ იქნას შესასრულებლად ხელშეკრულების დადების გარეშე.

სახელშეკრულებო ურთიერთობა არ შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად განრიგის შესასრულებლად მიღების გზით, თუ დაინტერესებული მხარე განრიგის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში წინადადებას მისცემს მეორე მხარეს შეათანხმონ დამატებითი პირობები, ან განუცხადებს განრიგის დამშვებ ორგანოს და მეორე მხარეს თავის უთანხმოებას განრიგზე. ასეთ ვითარებაში მხარეები ვალდებული არიან უთანხმოება გადაჭრან დადგენილი წესით და ურთიერთობა გააფორმონ ხელშეკრულებით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

ასევე, თუ განრიგში ან მის შემცვლელ დოკუმენტებში არ არის მითითება, რომ ეს განრიგი გაგზავნილი აქვს უშუალოდ მიმწოდებელს და მყიდველს, არც ერთ მხარეს არა აქვს საფუძველი ჩათვალოს სახელშეკრულებო ურთიერთობა დადგენილად. მიმწოდებელს, რომელმაც ეს განრიგი მიიღო, არა აქვს უფლება

---

[1] Актуальные вопросы советского гражданского права, издательство «Юридическая литература», 1964 г. стр. 99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუტვირთოს მიმღებს პროდუქცია, ხოლო თუ მაინც გაგზავნის, მიმღების მხრივ პროდუქციაზე უარის თქმის შემთხვევაში ყველა უარყოფითი შედეგი მას დაეკისრება[1].

საქმეთა განხილვის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველა ორგანიზაცია არ იცავს ამ წესს.

ზოგჯერ ესა თუ ის ორგანიზაცია ხელშეკრულებას გაფორმებულად თვლის განრიგის შესასრულებლად მიღების წესით, თუმცა განრიგში არ არის გათვალისწინებული ყველა რეკვიზიტი.

„საქფეხსაცმელვაჭრობის“ ბაზასა და ბათუმის რეზინისა და ტექნიკური ნაწარმის ქარხანას შორის სახელშეკრულებო დავის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე იმ მოტივით, რომ განრიგი მიღებულ იქნა შესასრულებლად, მაგრამ როგორც გამოირკვა, ასეთი განრიგი დაშვებული არც ყოფილა. ქარხანა ხელშეკრულებას გაფორმებულად თვლიდა იმიტომ, რომ თავისი საწარმოო პროგრამა გაუგზავნა მყიდველს. მასში არ იყო არავითარი მონაცემი, რომელსაც ითვალისწინებს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილება — მიწოდების ვადები, ხარისხი, სატრანსპორტო, საგადასახადო და საფოსტო რეკვიზიტები და სხვა.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, ქარხანას დაევალა ხელშეკრულების გაფორმება და ამავე დროს მას გადახდა ჯარიმა 250 მანეთი.

ხდება პირიქითაც, ქარხანა „ფოთისელექტროაპარატის“ მიმართ დაშვებული განრიგი შეიცავდა ყველა აუცილებელ მონაცემს და განრიგის შესასრულებლად მიღება დაადასტურა ამ უკანასკნელმა, ირკუტსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ დავა ხელშეკრულების დადების იძულებისა და ჯარიმის გადახდევინებაზე მაინც გადასცა სახელმწიფო არბიტრაჟს. მყიდველს — ირკუტსკის ქარხანას ხელშეკრულების დადების იძულებასა და სარჩელში ჯარიმის გადხდევინების შესახებ უარი ეთქვა.

განრიგის შესასრულებლად მიღების წესების არ ცოდნის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ დავა თბილისის № 3 ლუდის ქარხანასა და აფხაზკურორტვაჭრობის გაგრის განყოფილებას შორის.

ქარხანამ განრიგის მიღებიდან მეორე დღესვე, ე. ი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 აგვისტოს № 902 დადგენილების მე-13 პუნქტით დადგენილი 10 დღიანი ვადის გასვლამდე, (რომლის განმავლობაში განრიგი არ იძენდა ხელშეკრულების ძალას), გადაუტვირთა აფხაზკურორტვაჭრობის გაგრის განყოფილებას 12 ტონაზე მეტი ლუდი. მყიდველმა 10 დღიან ვადაში გაასაჩივრა განრიგი და მიმწოდებელსაც აცნობა უარი საქონლის მიღებაზე. განრიგი შეცვლილი იქნა, განრიგის დამშვებმა ორგანომ მოხსნა გეგმა თბილისიდან გაგრაში ლუდის მიწოდებაზე.

მაშასადამე, ლუდის ქარხანამ, რომელსაც 10 დღის გასვლამდე არ უნდა ჩაეთვალა განრიგი შესასრულებლად მიღებულად და ხელშეკრულება გაფორმებულად, ფაქტიურად საქონელი გაგზავნა ხელშეკრულებისა და შეკვეთის გარეშე და განიცადა ზარალი, რადგან მას დაეკისრა პასუხისმგებლობა ასეთი გაგზავნიდან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით, ვინაიდან მხარეებს შორის დავის მოწესრიგებამდე, ლუდი, როგორც მალფუჭადი საქონელი, სარეალიზაციოდ უვარგისი გახდა.

---

[2] См. «Советское государство и право», 1965 г. № 1. стр. 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლით აკრძალულია სოციალისტური ორგანიზაციებს შორის შეთანხმება მათი პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ, თუ პასუხისმგებლობის ოდენობა ვალდებულების ამ სახისათვის დადგენილია ნორმატული აქტით.

აქედან გამომდინარე ოდენობა პირგასამტეხლოსი, რომელიც სპეციალურად დადგენილია კანონით არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. მხარეებს არა აქვთ უფლება ხელშეკრულებით სულ უარი თქვან ამ სანქციაზე ან გაითვალისწინონ იგი ნაკლები ოდენობით, ვიდრე ეს ნორმატული აქტით არის დადგენილი. ხელშეკრულების ასეთი პირობა ბათილად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მხარეები ცდილობენ შეიტანონ ხელშეკრულებაში პირობები, რომელიც ამსუბუქებს მათ პასუხისმგებლობას ცალკეული დარღვევებისათვის.

ბელოვის მაკარონის ფაბრიკამ ლაგოდეხის საკონსერვო ქარხანას დაუბრუნა ხელშეკრულება უთანხმოების ოქმით, რომელშიც შეიტანა წვენების ქვეშ ტარას (კასრების) დაბრუნების თვითნებური ვადა 100 დღე და მოითხოვა ჯარიმის გადახდის დაწესება მხოლოდ 30 დღის დაგვიანების ზევით და ტარას ფაქტიური ღირებულების 200 პროცენტის რაოდენობით, მაშინ როდესაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის წვენების მიწოდების განსაკუთრებული პირობების 30-ე პუნქტის თანახმად, ტარას დაუბრუნებლობისათვის დადგენილია სანქცია კასრების საბეო ღირებულების 300 პროცენტის ოდენობით და პასუხისმგებლობა იწყება ვადის გადაცილების პირველი დღიდან და არა 30 დღის შემდეგ, როგორც უკანონოდ მოითხოვდა მყიდველი. ცხადია, მყიდველის რედაქცია უარყოფილ იქნა.

ხელშეკრულების შინაარსის გარკვეულობას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ვალდებულებათა სათანადო შესრულება.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როდესაც მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება მისი ყველა არსებითი პუნქტის ირგვლივ. მიწოდების ხელშეკრულების არსებით პუნქტებად ითვლება მისაწოდებელი პროდუქციის ზუსტი დასახელება და რაოდენობა, ასორტიმენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების ვადები, პროდუქციის ხარისხი და სხვა.

მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მხარეები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელ პირობებს, რაც მიწოდების განხორციელების პერიოდში მხარეებს შორის გაუთავებელ დავებს წარმოშობს და ართულებს ვალდებულებათა შესრულებას.

„თბილხილბოსტანვაჭრობამ“ აღძრა ძიება ცეკავშირის დამზადების სამმართველოს მიმართ თესლოვანი ხილის მიწოდების დროს ასორტიმენტის დარღვევისათვის სანქციების შესახებ. როგორც გამოირკვა მოპასუხეს ჰქონდა საშუალება მთლიანად შეესრულებინა მსხლის და ნაწილობრივ ვაშლის მიწოდების გეგმა, მაგრამ მაძიებელი თვითონ აცხადებდა უარს მსხლის მიწოდებაზე და მოითხოვდა მხოლოდ ვაშლის მიწოდებას, მაშინ, როდესაც არც საგეგმო დავალებაში, არც ხელშეკრულებაში მხარეებმა არ გაითვალისწინეს თესლოვანი ხილის ასორტიმენტი, ე. ი. რა რაოდენობის მსხალი და ვაშლი ექვემდებარებოდა მიწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებას და მაშასადამე, მაძიებლის მოთხოვნა ასორტიმენტის დაცვით ხილის მიწოდების შესახებ არ გამომდინარეობდა დადებული ხელშეკრულებიდან, რის გამოც მას ძიებაში უარი ეთქვა. მხარეებმა ხელშეკრულების დადების დროს არ შეათანხმეს ხელშეკრულების არსებითი პირობა-მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტი.

იურიდიული სამსახურის მუშაკები და საწარმოო დაწესებულებათა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ხელშეკრულების დროული და სწორი გაფორმების მნიშვნელობას, არ ზრუნავენ, რომ ხელშეკრულებაში აისახოს ამა თუ იმ საწარმოს კონკრეტული თავისებურებანი. ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი თავს არიდებს ხელშეკრულების პირობების შეთანხმებაში უშუალო მონაწილეობას და არ აწარმოებს კონტროლს ხელშეკრულებათა დადების მსვლელობაზე.

ხშირად მხარეები არ იღებენ საჭირო ზომებს, რათა სადაო საკითხები მოაგვარონ საქმის არბიტრაჟში გადაცემამდე.

მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სახელშეკრულებო დავა კრემენჩუკის ქარხანასთან მოგვარებული იქნა მხოლოდ საქმის სახელმწიფო არბიტრაჟში გადაცემის შემდეგ. აღნიშნული საქმე წარმოებით მოისპო.

არბიტრაჟში განხილული საქმეების შესწავლა გვიჩვენებს, რომ გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა დავები ხელშეკრულების დადების იძულების შესახებ. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობის ახალ ფორმებზე გადასვლა, მაგრამ მაინც ადგილი აქვს ხელშეკრულების დადებისაგან თავის არიდების სამარცხვინო ფაქტებს.

ხშირად მხარე, რომელმაც დროზე არ გააფორმა ხელშეკრულება, შემდეგ ნებაყოფლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ხელშეკრულებას დებს მეორე მხარის მიერ საქმის არბიტრაჟში გადაცემის შემდეგ.

ბაგრის ავტოსატრანსპორტო კანტორამ პურის ქარხანას ხელშეკრულება გაუგზავნა არბიტრაჟში დავის აღძვრის შემდეგ, რისთვისაც მას გადახდა სახბაჟი 30 მანეთი.

არის შემთხვევა, როდესაც უთანხმოების ოქმის არბიტრაჟზე გადაცემა ხდება სამეურნეო წლის გასვლის შემდეგ და, მაშასადამე, მის განხილვას ყოველგვარი აზრი დაკარგული აქვს.

„საქკულტვაჭრობამ“ „უზკულტვაჭრობის“ მიერ დაბრუნებული უთანხმოების ოქმი არბიტრაჟს განსახილველად გადასცა 21 დეკემბერს, საქმე განსახილველად დაინიშნა მიმდინარე წლის 6 იანვარს. ცხადია, საქმე წარმოებით იქნა მოსპობილი, რადგან საქონელის მიწოდების ვადა გასული იყო.

ომსკის გაერთიანება „აღმოსავლეთმა“ თავისი 1964 წლის 26 სექტემბრის წერილით თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანას უკან დაუბრუნა ხელმოუწერელი ხელშეკრულება დაზგის მიწოდებაზე იმ მოტივით, რომ ზემდგომმა ორგანომ არ გამოუყო ფინანსირება დაზგის შესაძენად და მაშასადამე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1962 წლისი 6 ოქტომბრის № 1 — 32 ინსტრუქციული წერილის თანახმად, მიმწოდებელს არ ჰქონდა საფუძველი მოეთხოვა ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანამ სამეურნეო წლის ბოლოს, 16 დეკემბერს საქმე ხელშეკრულების დადების იძულებისა და ჯარიმის გადახდევინების შესახებ არასწორად გადაგზავნა რსფსრ არბიტრაჟში, რომელიც საქართველოს არბიტრაჟში შემოვიდა მხოლოდ 4 იანვარს ე. ი. წლის დამთავრების შემდეგ. საქმე წარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით იქნა მოსპობილი. არსებითადაც როგორც ზევით აღვნიშნეთ, ხელშეკრულება გაფორმებას არ ექვემდებარებოდა ფინანსების უქონლობის გამო.

საქმეთა განხილვის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ მიმწოდებელი მოითხოვს ხელშეკრულების დადებას ფონდის მფლობელ და გამნაწილებელ ორგანოებთან.

თბილისის ელექტროსაიზოლაციო მასალების ქარხანამ აღძრა საქმე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიო ელექტროტექნიკის კომიტეტის მიმართ ხელშეკრულების დადების იძულების შესახებ, მაშინ როდესაც აღნიშნული ორგანო თვით დაშვებული განრიგებითაც მხოლოდ ფონდის მფლობელ, გამნაწილებელ ორგანოდ ითვლება, მაშასადამე, ყოვლად დაუშვებელია მასთან ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნა. მით უფრო, რომ ქარხანას უკვე ჰქონდა სათანადო განაწილება ცალკეული ქარხნების მიმართ, ვისთვისაც მას უშუალოდ უნდა ეწარმოებინა მიწოდება.

საქმე წარმოებით იქნა მოსპობილი. ასევე, ბაქოს ქარხანამ „ბაქგაზოაპარატი“ ხელშეკრულების გაფორმება მოითხოვა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, რომელიც არ შეიძლება მხარე იყოს ხელშეკრულებაში, არამედ იგი ანაწილებს ფონდებს მიმღები ორგანოების მიხედვით.

ხელშეკრულებათა დადების დროს ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინება, გამორიცხავს მიწოდების შესრულების განხორციელების დროს უსაფუძვლო დავების წარმოშობის შემთხვევებს.



შოთა რუსთაველის პოლიტიკური შეხედულების საკითხისათვის

გ. ნადარეიშვილი

ქართველ ხალხს X-XI საუკუნეებში დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდა საქართველოს გაერთიანებისათვის. ბაგრატ მესამის დროს (975-1014 წწ.) ეს პროცესი ძირითადად უკვე დამთავრდა, ხოლო დავით აღმაშენებელს (1089-1125) წილად ერგო მოეხდინა საქართველოს სრული გაერთიანება. მანამდე საქართველო რამდენიმე სამეფოდ იყო დაყოფილი. ცალკე არსებობდა კახეთის და ჰერეთის სამეფო, აფხაზეთის სამეფო და დასასრულ მესხეთისა და ქართლის მფლობელთა — „ქართველთა მეფედ“ წოდებულთა სამფლობელო. ამ წვრილ ქართულ სამეფოებს ერთიმეორისაგან რამდენადმე განსხვავებული საზოგადოებრივი წყობილება ჰქონდათ.

გაერთიანებული საქართველოს პირობებშიც წყაროები ხშირად ახსენებენ „შვიდს სამეფოს“. თამარის ანონიმი ისტორიკოსი სრულიად საქართველოს წარმოიდგენს „შვიდ სამეფოდ“ — „ნიკოფსიით დარუბანდამდე“. როგორც ჩანს, ფეოდალთა მართლშეგნების მიხედვით საქართველო ცალკეულ სამეფოთა და სამთავროთა უბრალო არითმეტიკულ ჯამს წარმოადგენდა. თვით გიორგი მესამისა და თამარის მეფობის დროსაც კი ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებას დიდი სიფხიზლე სჭირდებოდა, რათა დროზე გამოეცნოთ ცენტრიდანული ძალების ხრიკები.

რუსთველოლოგები ფიქრობენ, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ რუსთაველი ალეგორიულად გვაძლევს ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის საკმაოდ ნათელ სურათს. ინდოეთიც, რუსთაველის პოემის მიხედვით, მართალია, ერთი სახელმწიფოა, მაგრამ იგი შვიდი სამეფოსაგან შედგება („ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელიო“, — მოუთხრობს ტარიელი ავთანდილს 311)[1]. ინდოეთის მეფე (ქართული სახელმწიფო სამართლის ტერმინოლოგიით „მეფეთა მეფე“) არის პოეტის მხატვრული გამოთქმა რომ ვიხმაროთ „მეფეთა ზედა მფლობელი“ (312) ანუ „მეფე ყოველთა მეფეთა“ (1554). არაბეთის მეფე როსტევანიც „მეფეთა ზედა მფლობელია“ (114).

გაერთიანებული ინდოეთის მეფე ფარსადანი პირველად ექვს სამეფოს ფლობდა („ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი“). მეშვიდე სამეფო „საწუთრო-გაუმწარავ“ ტარიელის მამა სარიდანს ეკუთვნოდა. სარიდანმა გადასწყვიტა „წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები“-ო (313). „შეწყნარება“ ნებაყოფლობით ხდება. სუსტი მფლობელი ძლიერის წინაშე იხრის ქედს და ზეპირ თუ წერილობითი ხელშეკრულებით ხელს იღებს თავის უფლებებზე გარკვეული პირობების მიხედვით.

ფარსადანმა „შეიწყნარა“ სარიდანი, მისი სამეფო შეუერთა ინდოეთის სახელმწიფოს და თვით გახდა შვიდი სამეფოს მეფეთა-მეფე. ნაცვლად ფარსადანმა სარიდანს უბოძა „ერთი სამეფო საკარგყმო“ და ამირბარის თანამდებობა.

ამასთან დაკავშირებით პოემაში ნათქვამია:

„თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს
ამირ-სპასალარობა“

„სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს
კეისარობა“ (316).

ესე იგი სარიდანმა დათმო თავისი სამეფო, დათმო „კეისრობის“ უფლებები ამ სამეფოში და სამაგიეროდ გახდა ერთიანი ინდოეთის სახელმწიფოს ადმირალი და სამხედრო მინისტრი. ამავე დროს მან „პატრონის“ უფლებებში „საკარგყმოდ“ მიიღო ერთი სამეფო, სადაც მას წინანდელი „კეისრობის“ უფლება უკვე აღკვეთილი აქვს. სარიდანის სიკვდილის შემდეგ ტარიელი ღებულობს „სრულ საკარგავს“ (336) და მამისავე თანამდებობებს.

შ. რუსთაველი აქ და ზოგჯერ სხვა შემთხვევებშიც სახელმწიფოებრივი წყობის რეალურ სურათს გადმოგვცემს. აქ პოეტი სოციალურ სინამდვილეს ასახავს და არა სოციალურ იდეალს. მისი სოციალურ-პოლიტიკური იდეალი კი სცილდება უკვე არსებული სახელმწიფოებრივი წყობის ფარგლებს.

შ. რუსთაველის პოემაში ერთის მხრივ წარმოდგენილია, როგორც ვთქვით, უკვე არსებული საზოგადოებრივი სტრუქტურის ასახვა, ხოლო მეორეს მხრივ, პოეტის სოციალური იდეალის კონტურებიც. უკვე არსებული და ტრადიციული ნორმების მიხედვით სახელმწიფოს მეთაური — „მეფეთა მეფე“ უზენაესი ფეოდალია. ვასალი კი მოვალეა თავის „პატრონს“ დაემორჩილოს, გაუგონოს და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს კიდეც. მაგრამ მეფესა („მეფეთა ზედა მფლობელი“ მეფე) და ვასალებს შორის არსებობს მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობა. მათ შორის დამოკიდებულებაც ორმხრივ ხასიათს ატარებს.

---

[1] ვსარგებლობთ „ვეფხის ტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემით ა. შანიძის, კ. კეკელიძის და ბარამიძის რედაქციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეთა მეფეც ვალდებულია ვასალის მიმართ ნაკისრი მოვალეობანი შეასრულოს, დაიცვას იგი მტრებისაგან, არ ხელყოს „ნებიერი“ ყმის უფლებები. აქ ჯერ კიდევ არა გვაქვს სახეზე ცენტრალური სამეფო ხელისუფლებისათვის ვასალის უპირობოდ დამორჩილების იდეა. თვით ბატონობა — მორჩილების ურთიერთობაც ორმხრივ ხასიათს ატარებს. ფეოდალური სახელმწიფო გულისხმობს მეფე-მონარქსა და მის ვასალებს შორის დამოკიდებულებაში ურთიერთ ერთგულების იდეას და არა ცალმხრივი მორჩილების უფრო გვიან განვითარებულ საწყისებს.

უზენაესი ხელისუფლების წინაშე ქვეშევრდომის უთუო მორჩილების ცნება საეკლესიო სამართალმა უფრო ადრე შეიმუშავა, ვიდრე საერომ. ეს გასაგებიცაა. ქრისტიანულმა ეკლესიამ ფეოდალურ სახელმწიფოზე უფრო ადრე შექმნა მტკიცე დისციპლინით აღჭურვილი იერარქული ორგანიზაცია ერთი მბრძანებელი ცენტრით სათავეში.

მეფესა და „საკარგყმოების“ მფლობელ ვასალთა შორის ურთიერთობა, როგორც ვთქვით, სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო და ამიტომაც იგი ხელშეკრულებით დადგენილ უფლებათა „საზღვრების“ გადალახვას ვერ ითმენდა. მეფეს ან უფრო სწორად „მეფეთა მეფეს“ ვასალის, ყმის თავისუფლება და საკუთრება არ უნდა შეელახა. ჩვეულების და ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული ვალდებულებების იქით ვასალი არ იყო ვალდებული დამორჩილებოდა „პატრონს“. ასე რომ პატრონსა და ვასალს შორის ურთიერთობა მეფის თვითნებობაზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ გარკვეულ „სამართალზე“.

შ. რუსთაველის პოემის მიხედვით ტარიელი გადაუდგება ფარსადანს, როდესაც დაინახავს, რომ სრულიად ინდოეთის მფლობელი მის ინტერესებს არამართლზომიერად შეეხო. ტარიელი თავის სამფლობელოში გაეშურება, გაამაგრებს ციხე-ქალაქს და ფარსადანის წინააღმდეგ საომრადაც ემზადება.

ტარიელი უთვლის სრულიად ინდოეთის მეფეს:

„მაგრა თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი
სამართალისა“ (563)

„იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია!—
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, — ყველაი თქვენ
მოგხდომია:

ამოწყდა პათი ყველაი, მამული თქვენ
დაგრჩომია.

სამართლით ტახტი უჩემოდ არავის
მისახდომია!“ (564)

ტარიელის აჯანყება ფარსადანის წინააღმდეგ უკვე სამართლებრივ ნიადაგზე დგას და მაშინდელი მართლშეგნებით გამართლებულ ქმედობად უნდა ჩაითვალოს.

ტარიელი უთვლის ფარსადანს:

„ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცე ჩემგან კიდევინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა
ამოვფხვრიდე“ (566).

ტარიელის აზრით ინდოეთის სამეფოს ტახტი მას ეკუთვნის „სამართლით“. თუ კი ვინმე მის ამ უფლებას დაარღვევს, იგი ტარიელის მტერია, დამნაშავეა და მასთან ბრძოლაც სამართლიანია.

ამ გარკვეულობით უთვლის იგი ფარსადანს:

ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა
ნაცვალია?

სხვა მეფე დაჯდეს, ინდოეთს, მერტყას მე ჩემი
ხმალია?“(565).

სიუზერენის, პატრონის არამართლზომიერი მოქმედება, ვერაგობა თუ თვითნებობა ვასალის მიმართ არის კანონიერი საბაბი ამ უკანასკნელისათვის „მეფეთა მეფის“ წინააღმდეგ გამოსვლისათვის. ასეთი იყო პატრონ-ყმური ურთიერთობის რეალური სურათი.

პატრონყმური ურთიერთობა თავისთავად წყარო იყო მეფე ვასალთა შორის დაუსრულებელი შუღლისა. ამ მხრივ საქართველოშიც დაასლოებით დასავლეთ ევროპის ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. საუკუნეების განმავლობაში ვასალები ცვლებადი ძალით ისწრაფვიან მეფისაკენ „ნებიერი“ მორჩილების გზით, რათა თავი დაიცვან გარეშე მტრებისა და ურთიერთ თავდასხმებისაგან. ამავე დროს ვასალების ეს სწრაფვა ცენტრისაკენ „მუდამ და აუცილებლად იქცევა ამ ცენტრისაგან მათ განმზიდველ ძალად“.

მართლდება საქართველოს მიმართაც ფრიდრიხ ენგელსის სიტყვები, რომელიც შეეხება მეფის ხელისუფლების როლს შუა საუკუნეების ევროპაში.

„მთელი ამ არევ-დარევის დროს, — წერდა ფ. ენგელსი, — სამეფო ხელისუფლება რომ პროგრესულ ელემენტს შეადგენდა, ეს სავსებით ცხადია. იგი იყო წესრიგის წარმომადგენელი ამ საყოველთაო არეულობის ხანაში. იგი იყო წარმომადგენელი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, რომელიც მეამბოხე ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას უპირისპირდებოდა. ყველა რევოლუციური ელემენტი, რომელიც ფეოდალიზმის ზედაპირზე იქმნებოდა, ისევე მიისწრაფოდა სამეფო ხელისუფლებისაკენ, როგორც სამეფო ხელისუფლება მათკენ“.[1]

შუა საუკუნეების საქართველოშიც მეფის ხელისუფლება პროგრესულ როლს თამაშობდა. ამავე დროს ქართული ფეოდალური საზოგადოების განათლებულ და მოწინავე წარმომადგენლებს ეს გარემოება შეგნებულიც ჰქონდათ. მოვიგონოთ თუნდაც არსენ ბერი საღირისძე — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

[1] ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნული სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ, იხ. ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1956, დამატება, გვ. 190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასილი ეზოსმოძღვარი — თამარ მეფის ისტორიკოსი, ანონიმი მემატიანე და მრავალი სხვა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს „ნივთნი საქმეთანი“ სამეფო ხელისუფლებისა ქების ღირსად მიაჩნია. დავითის მოღვაწეობა ავტორის აზრით „მზისა შარავანდედთა უბრწყინვალესნია“.[1]

თამარის პირველი ისტორიკოსის აზრით „მრავალმთავრობას“ — თან სდევს ყოველგვარი უწესობა, „შური და ხდომა“. ავტორი მეფის ხელისუფლების აქტიური მომხრეა. სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის რომ ძლიერი მონარქია აუცილებელია, ეს აზრი გამოსჭვივის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანშიც“. პოემის ავტორის იდეალი სრულიადაც არ არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც პატრონს („მეფეთა ზედა მფლობელ მეფეს“) აშლებიან ვასალები და მათ შორის ვაუთავებელ ბრძოლას რომ აქვს ადგილი. სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს, რომ ყმები, ვასალები პატრონს ემორჩილებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ პოეტი ძლიერი, ცენტრალიზირებული სახელმწიფოს მეხოტბე და მომხრეა. მისი აზრით „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“ — „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. მეფე „ნებიერია“. იგი უმაღლესი მბრძანებელია დედამიწაზე. რიგ შემთხვევაში პოეტი იმ აზრისაკენ იხრება, რომ მეფე მნათობთა შორის უპირველესს — „მზის სწორს“ წარმოადგენს. ზოგჯერ მეფე კიდევ უფრო განდიდებული და „ღვთის სწორიც“ არის იგი. აქედან კი ერთი ნაბიჯია იმის აღიარებისაკენ, რომ ვასალები უპირობოდ, თავდადებულად უნდა ემსახურებოდნენ მეფეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის გაერთიანების, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა შორდება საშუალო საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიის გაბატონებულ მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიზანი მდგომარეობს არა სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყნის გაერთიანებაში, არამედ ეკლესიის კოსმოპოლიტური სამეფოს დამყარებაში, სადაც ცალკეული ეროვნებანი თავიანთ დამოუკიდებლობას კარგავენ.[2]

მაგრამ თანდათან ეს თვალსაზრისი შეავიწროვა ამავე ცხოვრებამ, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებამ, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებამ. ამ მხრივ საინტერესოა ბიზანტიის მაგალითიც, სადაც სახელმწიფომ ეკლესიის დამორჩილება-დაქვემდებარება შესძლო.

ბიზანტიელის თვალში მეფე (იმპერატორი) შარავანდედით იყო მოსილი. მეფის ხელისუფლებას აბსოლუტური ხასიათი ჰქონდა. რომის იმპერიის ტრადიციები (იმპერატორის კულტის არსებობა) ნოყიერი ნიადაგიც კი იყო მეფის ღვთისსწორ არსებად დასახვისათვის.[3]

რუსთაველს არ მოწონს არც ბიზანტიელი ავტოკრატორი, არც აღმოსავლური დესპოტია და არც ცეზარე-პაპიზმის იდეები, რომელსაც კანონისტები ქადაგებდნენ. ბიზანტიური შეიძლება იყოს მხოლოდ მეფის „ღვთის სწორობის“ („იზოთეოსის“) ქადაგება.

პოემის მიხედვით იდეალურ მონარქად შეიძლება ჩაითვალოს როსტევან არაბთა მეფე. რუსთაველი ასე გვაცნობს ამ უკანასკნელს:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან
სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი,
ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული,
განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი
წყლიანი“ (32)

მაშასადამე, კარგ მეფედ უნდა ჩაითვალოს პირი, რომელსაც როსტევანის სუბიექტური მონაცემები ექნება ე. ი. იქნება უხვი, ბრძენი, სამართლიანი, მოწყალე და სხვა.

აქვე გავიხსენებთ, რომ რუსთაველის ეპოქაში, როგორც დასავლეთში ასევე აღმოსავლეთში სწავლულთა წრეებში გავრცელებული იყო ერთი აპოკრიფული ნაწარმოები, რომელიც დასავლეთ ევროპამ არაბების მეშვეობით გაიცნო. მეცნიერთა უმრავლესობა მას ბიზანტიური ლიტერატურის ნაწარმოებად თვლიან. ამ თხზულებას ეწოდებოდა „საიდუმლო საიდუმლოთა“. მასში ასახული იყო აღმოსავლეთში მოარული პო-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, ს. ყაუხჩიშვილის რედ. გვ. 351.

[2] იხ. **Е. Трубецкой**, К характеристике политических идеалов эпохи Возрождения. Киев. 1904.

[3] მეფეების კულტი თავდაპირველად ეგვიპტეში ჩნდება, სადაც შეუზღუდველი მონარქია არსებობდა. ფარაონი იყო „რა“-ს შვილი, ე. ი. ღვთის ნაშიერი და ეს წოდება მისი ტიტულატურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ღვთაებრივი და ადამიანური ფარაონში იმდენად შერწყმულად ითვლებოდა, რომ ფარაონი თითონ სცემდა თავისთავს თაყვანს. იგი მსხვერპლს სწირავდა თავის საკუთარ გამოსახულებას. რომაელები სიცოცხლეში დიდ პატივს მიაგებდნენ იმპერატორს, ხოლო სიკვდილის შემდეგ აღმერთებდნენ. იმპერატორის სული სიკვდილის შემდეგ ღვთაებრივობას იძენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკური იდეები და წარმოდგენები.[1] ი. კრაჩკოვსკის აზრით ეს თხზულება X-XI საუკუნეებში წარმოიშვა არაბულ ნიადაგზე. XIII საუკუნეში იგი ითარგმნა ებრაულ ენაზე, საიდანაც ის რუსულ ენაზედაც კი გადმოიღეს. ამ ნაწარმოების მიხედვით არისტოტელე რჩევა-დარიგებას აძლევს ალექსანდრე მაკედონელს სახელმწიფო მართვის, აგრეთვე ოჯახსა და საზოგადოებაში ქცევის წესების შესახებ.

არისტოტელეს იგი იმიტომ მიაწერეს შუა საუკუნეებში, რომ თხზულებისთვის მეტი ღირსება დაემკვიდრებინათ. რუსეთში მას კარგად იცნობდნენ პატრიარქები. აგრეთვე კურბსკი.

XVII საუკუნეში იგი პატრიარქ ნიკონის ბიბლიოთეკაშიც იყო. გარდა ამისა იგი შეჰქონდათ სხვადასხვა კრებულებში. ე. წ. ქრონოგრაფში და სხვა.[2]

ცნობილია, რომ ნიზამიმ (1141-1203) სანამ თავის „ისქანდერ ნამეს“ დაწერდა, უამრავი ლიტერატურა წაიკითხა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. ნიზამი თითონ ამბობს, რომ ის ყოველი მხრიდან აგროვებდა საჭირო ცნობებს და მას ლექსის სამოსელში ხვევდა. ნიზამის უსარგებლია არაბული, სპარსული, ებრაული და შესაძლოა ქართული და სომხური წყაროებითაც.[3]

ცხადია, ძნელი იქნება დავუშვათ, რომ ალექსანდრე მაკედონელზე დიდ ლიტერატურას გაცნობილი ნიზამის არ სცოდნოდა თავისი დროის ერთ-ერთი მეტად პოპულარული თხზულება. ნიზამის მკვლევარებს ეს შეიძლება შევახსენოთ. თუ მხედველობაში მივიღებთ რუსთაველის ფართო განათლებას, საფიქრებელია, რომ ის კარგად იყო გაცნობილი ფსევდო არისტოტელის თხზულებას ქართულ, არაბულ თუ ბერძნულ ენაზე. აქვე გაკვრით უნდა შევნიშნოთ: როდესაც რუსთაველის ლიტერატურულ წყაროებს ვეძებთ, აპოკრიფული თხზულებების უგულვებელყოფა არ შეიძლება. ამ მიმართულებით, რამდენადაც ჩვენ ვიცით, დღემდე ცოტა რამ არის გაკეთებული. მაგალითად, რუსთაველი თავის მორალურ კრედოს გადმოგცემს აფორიზმით:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან
სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე
სულსა“ (689)

პლატონის თხზულებებში ასეთი ადგილი საერთოდ არ არის. ჩვენი აზრით, რუსთაველს ხელთ ჰქონდა ფსევდო-პლატონის აპოკრიფული თხზულება, საიდანაც უნდა ამოეკითხა პოეტს ზემოხსენებული სენტენცია.

ფსევდო არისტოტელის იმ თხზულების მიხედვით, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი მეფე უნდა იყოს ბრძენი, უხვი, სამართლიანი და მოწყალე. რუსთაველის პოემის მიხედვით კი, როგორც ვნახეთ, არაბთა მეფე როსტევანი უხვიც არის, სამართლიანიც, მოწყალეც. გარდა ამისა, იგი კარგი მმართველია, „განგებიანია“. მასვე ახასიათებს თავმდაბლობა. ამავე დროს როსტევან მეფე კარგი მეომარიც და მჭევრმეტყველიც არის. ეს თვისებები იდეალური მეფისათვის ფეოდალურ ევროპასა და აზიაშიც სავალდებულოდ ითვლებოდა. რუსთაველთან მას უფრო ჩამოყალიბებული და პატრონყმური კოდექსის თავისებური, ლექსად ჩამოსხმული სახე აქვს მიღებული. ცნობილია, რომ უფრო გვიან ნ. მაკიაველი მეფისთვის სიუხვეს უარყოფით თვისებად მიიჩნევდა. მისი აზრით მხოლოდ ძუნწები იყვნენ დიადი საქმეების მოქმედნი. ყველა დანარჩენნი კი იღუპებოდნენ.[4] მაკიაველს პოლიტიკა და მორალი ურთიერთგამომრიცხავ ცნებებად მიაჩნდა და ამ თვალსაზრისით მისი შეხედულება თანმიმდევრულიც იყო. რუსთაველისთვის პოლიტიკა და მორალი, ხელისუფლება და სამართალი ურთიერთდაპირისპირებული და ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები არ არის. ძალაუფლებით აღჭურვილი პირი მეფე იქნება ის თუ სარდალი, ამორალურად და უსამართლოდ არ უნდა მოიქცეს.

მეფე თუ სპასპეტი სიუხვით, სამართლიანობით, მოწყალების გაღებით უნდა ნერგავდეს ხელისუფლების პატივისცემას. სამართლიანობა ხელს უწყობს ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებას. მმართველთა მორალურ კოდექსში რუსთაველს სურს შეიტანოს ღარიბებისთვის დახმარების გაწევის საკითხი.

ამ თვალსაზრისით უნდა გავიგოთ რუსთაველის სიტყვები:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია,
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია:
„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“
(50).

არაბთა მეფე როსტევანი ტახტზე ასულ თინათინს ასე არიგებს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად
მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ
მოგეწყინების!

უხვი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ებას, ვინ ებინ.

---

[1] იხ Юридический Вестник, 1878, стр. 105—108, აგრეთვე Secreta Secretorum Aristotelis. Paris. 1520.

[2] **И. Крачковский.** Очерки по истории русской арабистики. М. Л. 1950, стр. 34.

[3] **А. Маковельский.** О поэме Низами «Искандер — Наме». Низами, Сборник IV. 1947. стр. 60.

[4] **Н. Маккиавели.** Князь. М. 1910, стр. 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვად გასცემდი, ზღვათაცა შეხდის და
გაედინების“ (49).

სიუხვე მეფური სათნოებაა. ფრიდონიც „უხვია“ (971). მეფე უხვად უნდა წყალობდეს „დიდთა და წვრილთა“. უხვ მეფეს „ახსნილი“-ს „დაბმაც“ არ გაუჭირდება. „ახსნილი“ რუსთაველთან სოციალური კატეგორიაა. ესაა ისეთი პიროვნება, რომელიც თავისუფალია და არავისზე არ არის დამოკიდებული (გ. ნათაძე). ჩვენი აზრით „ახსნილი“ ქართულ წყაროებში ცნობილი სოციალური ტერმინის „მოკიდებულის“ საპირისპირო ცნებაა. სიუხვე მეფის ხელისუფლებას ახალ მომხრეებსა და ძალებს შეჰმატებს. სიუხვე მეფისა პოლიტიკური აქციაა.

ამავე მიმართულებით პოულობს ახსნას სიტყვები ავთანდილის ანდერძისა:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები“
(803)

ავთანდილი თავის ანდერძში ასეთ რჩევას იძლევა:

„რაცა თქვენთვის არ ვარგ იყოს საჭურჭლესა
დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად“
(804).

მეფე იქნება ის თუ ამირბარი, გინდ სხვა მოხელე, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს სამართლიანობა. „მართალი“ სამართალი, რუსთაველის აზრით, სასწაულმოქმედი ძალაა.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს
ხმელთა ნედლად“[1] (542)

ავთანდილი ევედრება მუშთარს (იუპიტერს):

„ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით
სულსა!“ (953).

სამართლის გამრუდება სულის წამწყმედი საქმეა, ზეცაშიც დასჯადია.

„სისხლი კაცისა უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო“ (543) — ამბობს პოეტი. ჰუმანიზმი შოთა რუსთაველისა გამოხატულებას პოულობს პოემაში მრავალწახნაგოვნად: ესაა, თუ გნებავთ, ადამიანური გონივრულობის და ლმობიერების შენარჩუნება მტრის მიმართაც კი. პოეტი ამბობს:

„ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე
ვპოვნე:
„ესეაო მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე:

პოეტს აქ სხარტად, ლაკონურად აქვს გადმოცემული თავისი მორალურ-სამართლებრივი კრედო. დამარცხებული მტრის შებრალება — აი, რა არის „მამაცისა მეტის მეტი სიგულოვნე“. ვისაც „სრული მამაცობა“ სურს, ზემოხსენებული წესის მიხედვით უნდა მოიქცეს.

პოეტის ეს შეხედულება ადამიანთა საზოგადოებაში უფრო ადრეც არსებულ ზოგიერთი ჰუმანური, საერთო საკაცობრიო მორალით გამართლებული წესებისთვის მხარდაჭერა და მათი შემდგომი განვითარებაა. ცნობილია, რომ საერთოდ ჰუმანური საწყისები საზოგადოებაში ადრე ჩაისახა. ჯერ კიდევ ჰომეროსთან ვხვდებით მტრების მიმართ ყველა საშუალების გამოყენების საწინააღმდეგო მოსაზრებას. ტროაზე საომრად მიმავალმა ოდისემ მოინდომა მტრებზე ვერაგულად ეძია შური და ამ მიზნით შეიარა ეფირში (ქალაქი ელიდაში) ვინმე ილთან, რათა მისთვის გამოერთმია შხამი თავისი ისრების მოსაწამლავად, მაგრამ ილმა არ მისცა ოდისეს შხამი „უკვდავი ღმერთების“ შიშით (ოდისეა, I. 259-263). ამავე დროს ჰომეროსის გმირები უკვე დამარცხებულ მტერს — ტროას მცხოვრებლებს დაუნდობლად ჟღეტენ და სხვა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ჰუმანიზმი კი უფრო მაღალი რანგისაა.

რუსთაველთან საბოლოოდ უარყოფილია შეხედულება დამარცხებული მტრის მიმართ შურისძიების მიზანშეწონილების შესახებ. ტარიელი არაერთგზის შეიბრალებს ფიცისა და სიტყვის გამტეხ მტერს — რამაზ მეფეს, რომელიც ინანიებს თავის საქციელს:

„ღმერთი ალხენს მონანულსა, მაცთომილსა,
ცრემლნადენსა“ (1642)

„ღმერთი ალხენს მონანულთა, არ შეუნდობს კაცი
ვინა (1612)

პოეტის აზრით უსამართლო მოქმედება კაცს არ შერჩება.

„რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა
შეარჩინა!“ (775).

ჰუმანიზმი ვლინდება ქალთა უფლებების აღიარებაში, ადამიანთა შორის სამართლიანი ურთიერთობის ქადაგებაში და დასასრულ მეფის ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერის იდეაშიც. თავისი ეპოქისათვის პროგრესული პოზიციებიდან უჭერს

[1] რუსთაველის აფორიზმების ერთ-ერთ წყაროდ ხალხური სიტყვიერება უნდა ვიგულისხმოთ. რადგანაც ქართული ანდაზები იმ საჰით, როგორაც ის რუსთაველის დროს არსებობდა, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილია, ამიტომ გარკვევით რაიმეს მტკიცება ძნელია. ეს კია, რომ რუსთაველის აფორიზმებს მეზობელი ხალხების ფოლკლორშიც ვპოულობთ:

მაგალითად, რუსთაველი ამბობს: გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარი. გარდა ქართულისა, სპარსული და ტაჯიკური ანდაზებშიც, ზუსტად ვხვდებით ანალოგიურ გამოთქმას. (იხ. აღმოსავლეთის ხალხთა ანდაზები და თქმები. მოსკოვი, 1961, გვ. 423, სპარსულად, ალი აკბარ დეხხოდა — აფორიზმებისა და ანდაზების წიგნი. თეირანი, 1931).

აზერბაიჯანელებშიც გავრცელებულია ანდაზა: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია — იქვე, გვ. 30.

შ. გვეტაძე

ნასროლი

მოთხრობა

თავი 1

შეუსვენებლივ თოვს...

სპეტაკ ზეწარში გახვეულ ქალაქს შუაღამის სიწყნარე დაუფლებია.

ასეთი ზამთარი დიდი ხანია არ წვეევია საკარდო ქუთაისს.

დეკემბრის ცივი წვიმიანი ამინდების შემდეგ, ახალი წელი მხურვალე მზის სხივების ამალით შემოვიდა ქალაქში და თოვლის მომლოდინე პატარებს საახალწლო განწყობა გაუფუჭა.

მთელი ათი დღე ისეთი თბილი ამინდები დაიჭირა, რომ ხეებს კვირტები დაებურცათ და სწორედ მაშინ, როდესაც ყველას დაავიწყდა ზამთარი, დილით გაღვიძებულმა ქუთათურებმა თეთრად გადაპენტილი იხილეს საყვარელი ქალაქი.

თითქოს დაკარგულს ინაზღაურებსო სამი დღე გადაუღებლივ თოვდა.

ხვავრიელმა თოვლმა გაუვალი გახადა ქუჩები. მხოლოდ აქა-იქ, ისიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, თუ ჩაივლიდა თითო-ოროლა მანქანა, საბურავებზე დამაგრებული ჯაჭვების ღრჭიალით.

უჩვეულო ზამთარმა ქუთათურებს ახალი საზრუნავი გაუჩინა. ხის ნიჩბებით შეიარაღებულნი გულმოდგინედ თოვლავდნენ სახურავებს.

ცენტრალურ ქუჩებს ტექნიკა შეესია. დაბინდებამდე არ ცხრებოდა ბულდოზერების გუგუნი და ადამიანთა ჟრიამული.

უჩვეულოდ შეიცვალა ქუთაისის ცენტრალური ნაწილი. ახლომახლო ქუჩებიდან აწმენდილი თოვლი ბორცვებად აღიმართა ქალაქის მოედანზე. თოვლმა შემდეგ ამ ბორცვებსაც თავისი საბურველი გადააფარა.

ახლო მდებარე ჩიხები და შესახვევები ცენტრალური ქუჩებიდან ახვეტილი თოვლით აავსეს ბულდოზერებმა. თოვლის მთებმა ისე ჩახერგეს მოკლე შესახვევები, რომ ადამიანს მხოლოდ ვიწრო საცალფეხო ბილიკის მსგავსი გასასვლელებითღა შეეძლო სარგებლობა.

ღამის 2 საათია...

თოვს...

სიჩუმეა ქუჩებში. დუმან მარადმწვანე ტანადი ნაძვები, თეთრნაბად წამოსხმულ მითიური გოლიათებივით რომ გარინდულან.

ქალაქის პარკის გვერდით ცალკე მდგომ სახლში შუქი ციმციმებს. არ ძინავთ მილიციის საქალაქო სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ ბალანჩივაძის ბინაში.

პოლკოვნიკის მეუღლე ნინო და რძალი ციალა მაგიდას ალაგებენ. კუთხის სავარძელში მოხერხებულად მჯდარი პოლკოვნიკი ნება-ნება აბოლებს თამბაქოს, თან მოფუსფუსე ქალებს ესაუბრება.

12 იანვარი ტრადიციული დღეა ბალანჩივაძის ოჯახში.

ერთადერთ შვილიშვილს, ცელქსა და მოუსვენარ თამაზს, დღეს 10 წელი შეუსრულდა და პაპამ მეათედ აღნიშნა ღირსშესანიშნავი თარიღი. ეს უფლება ჯერ კიდევ 10 წლის წინათ განუყოფლად დაიჩემა პოლკოვნიკმა და მას შემდეგ არავის მოსვლია აზრად, შედავებოდა მოყვარულ პაპას თავისათვის მინიჭებულ უპირატესობაში.

როგორც ყოველთვის, დღესაც ყველაფერი პაპის განაწესით წარიმართა.

საზეიმოდ მორთული პატარა იუბილარი კრავივით დასდევდა საყვარელ პაპას, თვალებგაბრწყინვებული ეგებებოდა სტუმრებს და მოზრდილის სერიოზულობით უხდიდა მადლობას მათ. ეს დღე განსაკუთრებული იყო თამაზის ცხოვრებაში.

ორი წლის წინათ პაპის მიერ მინიჭებული უფლებით ღამის 12 საათამდე რჩებოდა უფროსებთან და არავის, მათ შორის მკაცრ ბებო ნინოსაც კი, არ შეეძლო დაერღვია დადგენილი წესი და ჩვეულებრივ 10 საათზე გაესტუმრებინა შვილიშვილი საწოლ ოთახში.

შეკრებილმა სტუმრებმა მხიარულად ივახშმეს, ჩინებულად გაატარეს დრო და ნახევარი საათის წინ წავიდ-წამოვიდნენ.

სავარძელში ნახევრად მიწოლილი პოლკოვნიკი ფიქრებს მისცემოდა...

ბედნიერი ოჯახი აქვს ბალანჩივაძეს.

შვილი ილია ერთ-ერთი ქარხნის მთავარი ინჟინერია, რძალი ციალა ბარათელი მთელ ქალაქში ცნობილი ქირურგი, უკვე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს.

მეუღლე ნინო საოჯახო საქმეებით და თამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის აღზრდით არის დაკავებული. თუ პაპა არავის ანებებდა თამაზის დღეობის გადახდას, ბებიამ განუყოფლად მიითვისა შვილიშვილის აღზრდის უფლება და აგერ უკვე მეათე წელია თამაზი მისი პირადი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდება.

წლევანდელი 12 იანვარი ორგზის სასიხარულო იყო ბალანჩივაძის ოჯახისათვის. პოლკოვნიკი რამდენიმე დღის წინ თბილისში გამოიძახეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვეს.

შემდეგ თათბირს დაესწრო.

მინისტრმა ყველას გულწრფელად მიულოცა მთავრობის მაღალი ჯილდო და თათბირის მონაწილეებს კიდევ ერთხელ შეახსენა პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი ღონისძიებანი მოქალაქეთა უფლებების განუხრელად დაცვისა და ადრე დაშვებული შეცდომების მავნე შედეგების შესახებ.

...პოლკოვნიკი სავარძელში შესწორდა, შემდეგ საწოლ ოთახში გაექცა თვალი: ოჯახის საერთო ნებიერა მშვიდად ფშვინავდა. მძინარს ცალი ხელი თავქვეშ ამოედო და ტუჩებგაბუტულს მკერდზე ოდნავ გადახდოდა საბანი. ბალანჩივაძე სხარტად წამოდგა, ოთახში შევიდა, მძინარე ბავშვს საბანი შეუკეცა, ნაზად აკოცა შუბლზე და ისევ სასადილო ოთახში დაბრუნდა.

ქალებმა მაგიდის ალაგება დაამთავრეს.

— დაწექით მამა, მოისვენეთ, უკვე გვიანაა, — წყნარად თხოვა ციალამ მამამთილს.

— არა უშავს ჩემო ციალა, დავიცდი, საცაა ილიაც მოვა.

— ილიას დაგვიანდება მამა, ტრანსპორტი ვერ მოძრაობს. ეთერი და ქეთევანი კი გორაზე ცხოვრობენ.

— მაინც რა უჩვეულო თოვლი მოვიდა. აგერ ქალი დავბერდი და ასეთი ზამთარი მხოლოდ ერთხელ, ისიც ბავშვობაში, მახსოვს, — ჩაერია ლაპარაკში ნინო.

— დღეს თითქმის ყველა სახლი გადათოვლეს. ქუჩაში მხოლოდ ნიჩბებით შეიარაღებულ ხალხს შეხვდებით, — გაიცინა ციალამ.

— მოედანთან გაიარე? ვეღარ იცნობ ისეა შეცვლილი.

— გავიარე დედა, ლამაზი სანახაობაა.

ქალები ტახტზე ჩამოსხდნენ.

— რა უცნაური კაცია გიორგის მოადგილე, — შეცვალა საუბრის თემა ნინომ.

— ბრეგვაძე? — შეეკითხა პოლკოვნიკი.

— ჰო, ბრეგვაძე. სულ არ ჰგავს სხვებს, რაღაც ჩუმი და გულჩახვეული კაცი ჩანს.

— არა ნინო, ბრეგვაძე ძალზე გულისხმიერი კაცია, თუმცა ერთი შეხედვით არ ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას.

— მე მინდელის მსგავს ხალხს ვაძლევ უპირატესობას. რა გატაცებით იცის ლაპარაკი, მისი მსჯელობა მუდამ დამაჯერებელია, დასკვნები კი მტკიცე და შეუვალი, — წარმოთქვა ციალამ.

— ბალანჩივაძეს გაეღიმა.

— მესმოდა თქვენი დავა პროფესიათა უპირატესობის შესახებ, მაგრამ არ ვიცი, ვის აზრს იზიარებდა ლევანი.

— არავის! ის გვიან ჩაერია ჩვენს კამათში და გაცხარებული მოკამათეები, როგორც იტყვიან, ცივ წყალში ამოავლო, სწრაფად დაუმტკიცა, რომ არც ერთი პროფესია არ არის რაღაც განსაკუთრებული უპირატესობით გამოსარჩევი.

— ლევანი ყოველთვის ობიექტურად მსჯელობს. ამ თვისებით ყველა როდია აღჭურვილი.

— ყოველთვის? მე კი მგონია არა, განა ლევანი არ ამტკიცებდა დღეს, რომ პაპას და ბებიას არ ეკუთვნით უპირატესობა შვილიშვილის სახელის არჩევანში? —ცხარედ წარმოთქვა ნინომ. პოლკოვნიკს გაეცინა, მხიარულად გადახედა გატრუნულ ციალას და შეუმჩნევლად ჩაუკრა თვალი.

ნინო ცოტა უკმაყოფილო იყო იმით, რომ ერთადერთ შვილიშვილს, ციალას თხოვნით, თამაზი დაარქვეს და არა პაპის სახელი გიორგი. ამ ათი წლის მანძილზე ნინო შემთხვევას არ უშვებდა ეს საკითხი მსჯელობის საგნად რომ არ ექცია და ყველა, ვინც ეჭვის ქვეშ დააყენებდა მის მოსაზრებას პაპისა და ბებიის უპირატესობის შესახებ, „არაობიექტურთა კატეგორიაში“ ექცეოდა.

ასე მოხდა ამ საღამოსაც.

თამადამ, იმ ქარხნის დირექტორმა, სადაც იუბილარის მამა, ილია ბალანჩივაძე, მთავარ ინჟინრად მუშაობდა, გაკვირვება გამოთქვა, პირველი შვილიშვილი პაპის სახელს რომ არ ატარებდა.

მისმა განცხადებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. როგორც ყოველთვის ხდება, მოკამათეები ორ ჯგუფად გაიყო და თითოეული მათგანი ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი მოსაზრების უპირატესობა.

პროკურატურის უფროსი გამომძიებელი — ლევან მინდელი თამადის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს მიემხრო, თამადა თუმცა დაამარცხეს, მაგრამ ამით დავა არ შეწყვეტილა. ლევანი კი განაწყენებულმა ნინომ მაშინვე „არაობიექტურთა კატეგორიაში“ ჩარიცხა.

— რა გეცინება? სწორს არ ვამბობ თუ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ნინო გენაცვალე, ნუღარ ვილაპარაკებთ ამ საკითხზე, შემარიგებლურად მიმართა პოლკოვნიკმა საკამათოდ განწყობილ მეუღლეს.

ოთახში ილია შემოვიდა, თეთრად გაპენტილი პალტო შუშაბანდში გაიხადა, ციალა მიეგება, პალტო ჩამოართვა და საბაზანო ოთახში გაიტანა თოვლის ჩამოსაფერთხად.

— ისევ მაგრად თოვს, ილია? — შეეკითხა პოლკოვნიკი.

— მერე და როგორ! თითქოს პირთამდე უნდა აავსოს ქვეყანა. გარდა ცენტრალური ქუჩებისა, მხოლოდ გატკეპნილი ბილიკით შეიძლება სიარული.

ილია მაგიდასთან ჩამოჯდა.

— თუ ასე ითოვა, ხვალ ტროლეიბუსიც ვერ იმოძრავებს, შეიძლება ქარხანამაც ვერ მიიღოს დენი, — დაუმატა მან მოგვიანებით.

—მიაცილე ქალები? — შეეკითხა ნინო.

— მივაცილე, სახლამდე მივიყვანე, სწორედ...

ტელეფონის ზარმა სიტყვა შეაწყვეტინა, ილიას. პოლკოვნიკმა საათს დახედა სამს 15 წუთი აკლდა.

—ვინ უნდა რეკავდეს? — იკითხა უმისამართოდ და ყურმილი აიღო.

— პოლკოვნიკი ბალანჩივაძე გისმენთ... რაო? ნახევარი საათის წინ... სევასტოპოლის ქუჩაზე? კარგი... კი, უსათუოდ... არა, არ მეძინა, გელოდები...

ბალანჩივაძემ წყნარად დადო ყურმილი. პერანგის საყელო შეიკრა.

ოთახში მყოფნი მოლოდინით მიაჩერდნენ უეცრად გუნებაშეცვლილ გიორგის.

— რა მოხდა გიორგი, ვინ რეკავდა? — შეეკითხა შემკრთალი მეუღლე.

— ოჯახი გაუძარცვავთ, ბინის პატრონი მძიმედ დაუჭრიათ, წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

— ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! — დაიკვნესა ნინომ.

— ალბათ უნდა წახვიდე მამა, არა? შეეკითხა ციალა და ტახტიდან წამოდგა.

— ჰო, უნდა წავიდე, საცაა ლევანი გამოივლის მანქანით. ბალანჩივაძე წამოდგა.

— ციალა, გეთაყვა, პალტო მომაწოდე.

— ახლავე მამა.

— ნუ დამელოდებით, მე ალბათ დამაგვიანდება, — პოლკოვნიკმა პალტო ჩაიცვა, ციალას ქუდი ჩამოართვა და ფანჯარაში გაიხედა.

ქუჩაში მანქანა შეჩერდა.

— მინდელია, წავედი — წარმოთქვა პოლკოვნიკმა და აჩქარებით დაეშვა კიბეზე.

* * *

სევასტოპოლის ქუჩის № სახლში ხალხს მოეყარა თავი და ჩოჩქოლობდა.

ოპერატიული მუშაკების მისვლისთანავე ხალხი გაჩუმდა, ორად გაიპო და ბინაში შესასვლელი გზა გაათავისუფლა.

ტყეშელიაძის ბინა სამი ოთახისაგან შედგებოდა. სასადილო, საწოლი და ერთიც პატარა ოთახი, რომელიც სამუშაო კაბინეტის დანიშნულებას ასრულებდა.

საწოლი ოთახის კარებში მილიციელი იდგა, ხოლო სასადილო ოთახში მწუხარებისაგან, თითქმის შეშლილი, ტყეშელიაძის სახე დაკაწრული მეუღლე ხმამაღლა კიოდა და ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა მეზობლის ქალებს, რომლებიც თმების დაგლეჯისა და სახის დაკაწვრის საშუალებას არ აძლევდნენ.

საწოლი ოთახი ცარიელი იყო. ოპერატიული ჯგუფისათვის სასწრაფო დახმარებას დაეწერო და მძიმედ დაჭრილი, თითქმის მომაკვდავი ტყეშელიაძე საავადმყოფოში წაეყვანა.

ბალანჩივაძემ გარდა ორი ქალისა ყველანი დაითხოვა ოთახიდან, შემდეგ მტირალ ქალს მიუახლოვდა და რბილად უთხრა:

—ბოდიშს ვიხდი ქალბატონო, თქვენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანის შეწუხება ძნელია, მაგრამ საჭიროა ახლავე შევუდგეთ ბოროტმოქმედთა ძებნას. ეს კი თქვენი გამოკითხვის გარეშე შეუძლებელია.

ქალმა ყურადღება არ მიაქცია ბალანჩივაძის სიტყვებს, ჩანდა ვერც გაეგო ნათქვამის აზრი, კვლავ გამეტებით მოთქვამდა.

— ქალბატონო, გთხოვთ ცოტა ხნით როგორმე დამშვიდდეთ და რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ — გაუმეორა თხოვნა პოლკოვნიკმა.

— თინა, თინა როგორ შეიძლება ასე ქალო, ცოცხალი კაცის ტირილი ვის გაუგონია, გონება მოიკრიფე, დამშვიდდი და უპასუხე,—სიტყვა დააწია პოლკოვნიკს ოთახში მყოფმა ქალმა, რომელსაც მტირალის მარჯვენა ეკავა.

სახედაკაწრულმა ქალმა დასიებული თვალები უაზროდ მიაპყრო ოთახში შემოსულ უცხო ხალხს, ერთი წამით მოთქვაც შეწყვიტა, შემდეგ ტახტზე წაიქცა, თავი პატარა ბალიშში ჩარგო და კვლავ გულსაკვლავად აქვითინდა.

ბალანჩივაძე სკამზე ჩამოჯდა და მოთმინებით დაიწყო ლოდინი.

ასე გავიდა რამდენიმე წუთი.

ქალმა თავი აწია, ცრემლი მოიწმინდა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ტანზე მოსხმული ხალათიდან თითქმის შიშველი მკერდი მოუჩანდა. დარცხვენილმა მჭიდროდ შემოიხვია ხალათი, ტახტზე შესწორდა, მაგრამ ტირილის შეკავება ვერ შეძლო.

ქალბატონო, ახლა ტირილი კი არა მოქმედებაა საჭირო, გთხოვთ, დამშვიდდეთ და კითხვებზე მიპასუხოთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოხდა, ვინ და როგორ დაგესხათ თავს?

ქალი ცოტა ხანს კიდევ ტიროდა, შემდეგ ოდნავ დამშვიდდა და ცრემლით სავსე თვალებით საცოდავად შეხედა ბალანჩივაძეს.

— მე და ჩემმა ქმარმა, — დაიწყო მან აკანკალებული ხმით, — დაახლოებით 11 საათზე ვივახშმეთ და დავიძინეთ. არ ვიცი, რამდენი ხანი გვეძინა...

უეცრად ყვირილმა გამაღვიძა და დავინახე, რომ ალექსანდრე ვიღაც კაცს ებრძოდა. შიშისაგან პირველად ენა ჩამივარდა, ხმა ვერ ამოვიღე, შემდეგ კი, როდესაც გონს მოვედი, კივილი ავტეხე და საწოლიდან წამოვვარდი. მომხდურის ხელში დანამ გაიელვა, ჩემი ქმარი მაშინვე დაეცა. თავდამსხმელი კი ღია ფანჯარაში გადახტა და გაუჩინარდა.

მე მაშინვე ალექსანდრეს მივვარდი, თან შეუსვენებლივ ვკიოდი. ის უგონოდ იყო და სისხლში ცურავდა. კივილის ხმაზე მეზობლებმა კარი შემოტეხეს, რამდენიმე წუთში სასწრაფო დახმარებაც მოვიდა და ალექსანდრე წაიყვანა.

ქალმა კვლავ ტირილი დაიწყო.

— თავდამსხმელი ერთი იყო?

— დიახ, ერთი.

— ხომ არავის ამსგავსებ?

— არა, არავის.

— სახლში როგორ შემოვიდნენ?

— ვერ გეტყვით, კარები და ფანჯრები დაკეტილი გვქონდა, ხოლო შემდეგ ეზოში გამავალი ერთი ფანჯარა გაღებული აღმოჩნდა.

—ფრიად სამწუხარო ამბავია, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენს მეუღლეს არა გაუჭირდება რა. ახლა კი თქვენის ნებართვით შემთხვევის ადგილი უნდა დავათვალიეროთ.

პოლკოვნიკი წამოდგა.

— ჩვენს მოსვლამდე ვინმე შევიდა საწოლ ოთახში? შეეკითხა მილიციელს.

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო! მეზობლები და სასწრაფო დახმარების ხალხი; ტყეშელიაძე ხომ საწოლ ოთახიდან წაიყვანეს.

— დასანანია, მაგრამ შევიდეთ, დავათვალიეროთ, წარმოთქვა პოლკოვნიკმა და კარი შეაღო. მას ოთახში მხოლოდ მინდელი შეჰყვა, ექსპერტი და ფოტოგრაფი ადგილზე დარჩნენ.

საწოლ ოთახში ციოდა. ფართოდ გაღებულ ფანჯარაში თოვლის ფანტელები ფარფატებდნენ. ტანსაცმელის კარადასთან სისხლის შედედებული გუბე იდგა. კარადის ერთი კარი ღია იყო. თაროზე უწესრიგოდ არეული თეთრეული მოჩანდა.

მინდელმა და ბალანჩივაძემ ფრთხილად გადააბიჯეს სისხლის გუბეს და ოთახის დათვალიერებას შეუდგნენ.

ოთახის აღმოსავლეთ მხარეზე წყვილი საწოლი იყო გამართული, მარჯვენა მხარეს ტუმბოზე „ყაზბეგის“ გახსნილი კოლოფი იდო. იქვე საფერფლე, მის გვერდით ასანთი. საფერფლეში ორი ბოლომდე მოწეული ნამწვავი და სამიოდე ღერი თავმომწვარი წკირი. კოლოფს რამდენიმე ღერი პაპიროსი აკლდა.

საწოლთან, ახლო სკამზე, მამაკაცის შარვალი, პიჯაკი და ცისფერი პერანგი იყო გადაკიდებული. ტანსაცმელს ზემოთ დამაყურეებული შავი ფერის ყელსახვევი დაედოთ. ღია ფანჯარასთან მცირე ოდენობის სისხლის ლაქები ჩანდა. კარადასა და ფანჯარას შორის, იატაკზე, საშუალო სიდიდის საოჯახო დანა ეგდო სისხლით მოსვრილი.

მინდელმა ფრთხილად აიღო დანა და ქაღალდში შეახვია. შემდეგ ტანსაცმელი გასინჯა. პიჯაკის ერთ ჯიბეში ტყეშელიაძის პირადობის მოწმობა, პარტიული ბილეთი, მივლინების ბარათი და ორი ცალი სამგზავრო ბილეთი აღმოჩნდა, მეორეში — პატარა უბის წიგნაკი სხვადასხვა ჩანაწერებითა და ტელეფონის ნომრებით, შარვლის ჯიბეში 10 მანეთამდე ფული და ჭრელი ცხვირსახოცი. თუმცა ლოგინები აშლილი იყო, მაგრამ საწოლთან ბრძოლის არავითარი კვალი არ ჩანდა. მინდელმა ფრთხილად გადააბიჯა სისხლის გუბეს და ფანჯარასთან მივიდა. პოლკოვნიკი გამადიდებელი შუშით გულმოდგინედ ათვალიერებდა ფანჯრის ერთ კუთხეში არსებულ პატარა ბასრთავიან ლურსმანს, რომელსაც მოწითალო ლაქად დასვრილი რამდენიმე ძაფი შემორჩენოდა. პოლკოვნიკი დიდხანს ათვალიერებდა მას, შემდეგ ფრთხილად ჩამოხსნა ძაფები და მინდელს გადასცა.

ლევანმა ღია ფანჯარა მოსინჯა. იგი თავისუფლად იკეტებოდა. ასევე თავისუფლად მოძრაობდა რკინის საკეტები. არავითარი ნიშნები გატეხვისა საკეტებს არ ეტყობოდა. კარადის სამი კარიდან ორი დაკეტილი იყო, შუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარის კლიტეში რგოლზე აცმული გასაღებები მოჩანდა. მინდელმა გასაღები გადაატრიალა. კარადა სავსე იყო ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელით, ჩანდა ბორტმოქმედს ვერ მოესწრო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. გამომძიებელმა განსაკუთრებული გულმოდგინებით დათვალიერა ღია ფანჯარა, დიდხანს უტრიალა გამადიდებელი შუშით, შემდეგ ეზოში გავიდა, სახლს ღია ფანჯრის მხრიდან შემოუარა და კვალს დაუწყო ძებნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარაქიანად თოვდა, გამომძიებელმა ფანჯრის ქვეშ ფეხის მრავალი კვალი შენიშნა, ელექტრო მაშუქი მოიმარჯვა და დათვალიერებას შეუდგა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ კვალის აღება შეუძლებელი იყო. თოვლს თითქმის მოესწრო მისი წაშლა და მხოლოდ ზოგადი, გამოუსადეგარი კონტურებიღა ჩანდა.

გამომძიებელმა სინანულით გაიქნია თავი და ფანჯარას მიუახლოვდა. ტყეშელიაძის ბინა სართულნახევრიან სახლში მდებარეობდა და ფანჯარა მიწიდან ორ მეტრსა და 80 სანტიმეტრზე იყო გამოჭრილი. მინდელმა შუქი ჩართო, დიდხანს ათვალიერებდა კედელს ფანჯრის ქვემოდ, შემდეგ უბის მოზრდილი წიგნაკი ამოიღო, უკვე ჩაწერილს რამდენიმე შენიშვნა მიუმატა და სახლში შებრუნდა.

ბალანჩივაძემ ექსპერტი და ფოტოგრაფი მიიწვია. ექსპერტმა შედედებული სისხლის კოლტები ფრთხილად ჩაასხა სინჯარებში და იქვე დალუქა.

ფოტოგრაფმა ფირზე აღბეჭდა ღია ფანჯარა, ამლილი ლოგინები სისხლის დიდი და მცირე გუბე და ოთახის საერთო მდგომარეობა ბორტმოქმედთა თავდასხმისას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება დამთავრდა.

პოლკოვნიკმა საათს დახედა. 4 საათი და 15 წუთი იყო.

— ლევან! — მიუბრუნდა გამომძიებელს — შენ აქ დარჩი, დათვალიერების ოქმი გააფორმე და შემთხვევის პირველი მოწმეები დაკითხე, მე კი წავალ, იქნებ მოხერხდეს დაჭრილ ტყეშელიაძის დაკითხვა.

— კეთილი, წადით. ექსპერტი და ფოტოგრაფიც წავიღნენ, აღარ არიან საჭირო, თუ მოვასწარი, მეც საავადმყოფოში მოვალ.

მინდელი მარტო დარჩა, უბის წიგნაკი ამოიღო, დათვალიერების დროს ჩაწერილი შენიშვნები გადაიკითხა, შემდეგ იქვე პატარა მაგიდასთან ჩამოჯდა და ოქმის გაფორმებას შეუდგა.

...თინა ტყეშელიაძის დაკითხვა არ მოხერხდა ვიდრე მინდელი ოქმს აფორმებდა, ის საავადმყოფოში წასულიყო. მეზობლებმა, რომლებიც ქალის კვილზე შემოცვენილიყვნენ სახლში, საგულისხმო ვერაფერი უთხრეს გამომძიებელს.

თითქმის 6 საათი იყო, როდესაც მინდელმა შემთხვევის ადგილი დასტოვა და საავადმყოფოსაკენ გაემართა.

კვლავ შეუსვენებლივ თოვდა. გამომძიებელი მძიმედ მიაბიჯებდა თეთრ წყვდიადში და ფიქრებში წასული ვერც კი ამჩნევდა, რომ ქუდი ხელში ეჭირა, ხოლო გრუზა თმებს ნელ-ნელა უფარავდა თეთრი პეპლებივით მოფარფატე თოვლის ფანტელები.

საავადმყოფოს კარებში მოღუშული პოლკოვნიკი შემოხვდა. მძიმედ დაჭრილი ტყეშელიაძე გონს მოუსვლელი გარდაცვლილიყო.

* * *

დილის 10 საათი იყო.

ქალაქის პროკურორის გიორგი ხომერიკის კაბინეტში თავი მოეყარათ ტყეშელიაძის მკვლელობასთან დაკავშირებით შექმნილ ოპერატიული ჯგუფის წევრებს. აქ იყო პოლკოვნიკი ბალანჩივაძეც. ხომერიკმა თათბირი გახსნა და სიტყვა ინფორმაციისათვის მინდელს მისცა.

ლევანმა მოკლედ მოახსენა საქმის ვითარება, მოკლულის ვინაობა, ადგილობრივი დათვალიერების შედეგები და ექსპერტთა პირველადი დასკვნები.

— თავდამსხმელები ორნი მაინც იყვნენ. ერთი მათგანი დაჭრილია, არ არის ცნობილი მსუბუქად თუ მძიმედ. უდავოა, რომ ბრძოლაში პურის საჭრელი დანა იქნა გამოყენებული, ხოლო ვის მიერ, ამას კრიმინალისტური ექსპერტიზა გვეტყვის — დაამთავრა ინფორმაცია მინდელმა.

— რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბორტმოქმედი მარტო არ მოქმედებდა და ერთი მათგანი დაჭრილია? ერთბაშად ორი კითხვა დასვა კაპიტანმა ჩრდილელმა.

— ჯერ ერთი ტყეშელიაძის ბინის ფანჯარაში სხვის დაუხმარებლივ შესვლა შეუძლებელია, —უპასუხა მინდელმა, ხოლო კიბე ან სხვა რაიმე დამხმარე საშუალება ადგილზე არ აღმოჩნდა. კიბის მიტანა და შემდეგ უკანვე წაღება კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხულია, მეორე — ოთახში დიდი გუბის გარდა ფანჯარასთან სისხლის შედარებით მცირე ლაქებიც იქნა აღმოჩენილი. ექსპერტის დასკვნით სისხლი დიდი გუბიდან, რაც ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ ტყეშელიაძეს ეკუთვნოდა, პირველი ჯგუფისაა, მაშინ, როდესაც მცირე ლაქები სისხლის მესამე ჯგუფს მიეკუთვნება,

— რატომ მიგაჩნიათ, რომ ბორტმოქმედნი უეჭველად ფანჯრიდან შევიდნენ? განა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიცხულია მორგებული გასაღების გამოყენება? — იკითხა ახალგაზრდა ლეიტენანტმა.

— ამ შემთხვევაში გამორიცხულია — უპასუხა ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ მინდელმა. — ჯერ ერთი, მე უკვე აღვნიშნე, რომ კარები თინა ტყეშელიაძის კივილზე მეზობლებმა შეამტვრიეს, მეორე, — ფანჯრის გარეთა რაფაზე, აღმოჩენილია ბოროტმოქმედის ფეხსაცმელის სველი კვალი. მართალია, კვალი სრული არ არის, მაგრამ ჩანს, რომ ფეხსაცმელი სქელ ლანჩიანი და ქუსლდალურსმული ყოფილა. კვალის მდებარეობა გარედან ფანჯრიდან ნათლად მიუთითებს მიმართულებას. ფანჯრის პირა კედლის დათვალიერებამაც დაადასტურა ეს და კიდევ ერთი გარემოება: ბოროტმოქმედი, რომელიც პირველად გადავიდა ფანჯარაში, მეორეს დახმარებით სარგებლობდა, რადგან ფანჯრის ქვეშ თოვლი საგრძნობლად იყო დატკეპნილი, გარდა ამისა კედელზე 6 წიდან 1 მეტრსა და 96 სანტიმეტრზე იმავე ფეხსაცმლის უფრო სუსტი კვალია დატოვებული.

— ზამთრის გამო ფანჯრის ღიად დატოვება გამორიცხულია. თქვენი ინფორმაციიდან კი ჩანს, რომ ფანჯრის გატეხას, ან შუშის ამოღებას ადგილი არ ჰქონია. როგორია თქვენი ვერსია ამ საკითხზე? — მორიგი კითხვა დასვა ოპერატიული ჯგუფის უფროსმა.

— აქ ჯერ-ჯერობით ერთი ვარიანტია, უნდა ვიფიქროთ, რომ ფანჯარა ტყეშელიაძეებს ჩაუკეტავი დარჩათ. ამჟამად სხვა პასუხს გაცემა შეუძლებელია — მიუგო ბალანჩიძემ.

— გულმავიწყობით ფანჯრის ჩაუკეტავობაში ვერ დაგეთანხმებით — განაცხადა პროკურორის მოადგილემ. ეს შეიძლება მართლაც მოსვლოდათ ტყეშელიაძეებს, მაგრამ ბოროტმოქმედებს ხომ არ შეეძლოთ ამის გათვალისწინება, მით უმეტეს, რომ დანაშაული ფეჭვილად წინასწარი გეგმით არის ჩადენილი.

— მე არ გედავებით პატივცემულო ბატონო, მაგრამ ამჟამად სხვა ვარიანტი გამორიცხულია.

— რას ფიქრობთ მკვლელობის მოტივის შესახებ? ახალი კითხვა დასვა ხომერიკმა.

— ამ კითხვაზეც პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია. სახლიდან წაღებულია მოკლულისა და მისი მეუღლის ოქროს საათები და 25000 მანეთის 3 პროცენტიანი შინაგანი სესხის ობლიგაცია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ დანაშაული ძარცვის მიზნით იქნა ჩადენილი. ის ფაქტი, რომ სხვა ნივთები არ არის წაღებული და ტანსაცმელების კარადაც ხელუხლებელია, გვაფიქრებინებს, რომ მძარცველებს ვიღაცამ, შესაძლოა თვით ტყეშელიაძემ, შეუშალა ხელი დანაშაულის დამთავრებაში, რასაც მოჰყვა მკვლელობა. ეს ვერსია მხოლოდ პირობითია. დაბეჯითებით კი შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ბოროტმოქმედება, სულერთია ძარცვაა ის თუ სხვა უფრო მძიმე დანაშაული, წინასწარ მოფიქრებით, სათანადოთ შედგენილი გეგმით იქნა ჩადენილი. სხვა დანარჩენი ყველაფერი პირობითია რადგან მთელი რიგი არსებითი მნიშვნელობის საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის.

კაბინეტში ხანმოკლე დუმილი ჩამოვარდა.

— მაშ ასე — დაიწყო ხომერიკმა, „ჯერ-ჯერობით დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ თავდამსხმელები სულ ცოტა ორნი იყვნენ, ტყეშელიაძის ბინაში ფანჯრიდან შევიდნენ და რომ ერთი მათგანი დაჭრილია. ეს კი ძალიან ცოტაა. საჭიროა სასწრაფოდ დავადგინოთ ბოროტმოქმედნი. დანაშაულის მოტივის სწორად განსაზღვრა ძალზე გააადვილებდა გამოძიების წარმოებას, მაგრამ წინასწარ მოტივს ვერ განვსაზღვრავთ. ამან შეიძლება სწორ გზას აგვაცდინოს. საჭიროა შემუშავებული იქნეს სათანადო ოპერატიული გეგმა.

— მე უკვე შევიმუშავე რაღაც გეგმის მაგვარი — დაიწყო მინდელმა.

— გაგვაცანით — მოკლედ მოუჭრა ხომერიკმა.

— პირველ რიგში აუცილებელია სასწრაფოდ შემოწმდეს ქალაქის ყველა საავადმყოფო და პოლიკლინიკა; ხომ არ გამოცხადებულა ვინმე დაჭრილი მოქალაქე სამედიცინო დახმარებისათვის. უფრო საფიქრებელია ბოროტმოქმედმა პოლიკლინიკას და საავადმყოფოს გვერდი აუაროს და კერძო პრაქტიკის მქონე ექიმთან მისვლა ირჩიოს. ამიტომ ეს საკითხიც უნდა გავითვალისწინოთ. შემდეგ სასწრაფოდ უნდა დაიკითხოს მეზობლები, ტყეშელიაძის ნათესავები, განსაკუთრებით ძმის შვილები, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ ტყეშელიაძის სახლში, აგრეთვე ტყეშელიაძის ცოლის დისშვილი ჩიკვაიძე, რომელიც გუშინ სოფელში წასულა დედის ავადმყოფობის გამო. უნდა გაირკვეს, იყო თუ არა ვინმე მტრულ დამოკიდებულებაში ტყეშელიაძის ოჯახთან, რადგან გამორიცხული არ არის, რომ მკვლელობა შურისძიებით იქნა ჩადენილი.

აუცილებელია ჩატარდეს ექსპერტიზა იმის დასადგენად, რომ ტყეშელიაძეს ჭრილობა მიყენებული აქვს თუ არა დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი დანით და ბოლოს ფინანსთა სამინისტროს საშუალებით გადაეცეს ყველა შემნახველ სალაროს დატაცებული ობლიგაციების ნომრები, რაც საბედნიეროდ ჩაწერილი აღმოაჩნდა ტყეშელიაძის მეუღლეს.

სულ ეს არის? — შეეკითხა პროკურორი.

დიას, ჯერ-ჯერობით ეს არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენს მიერ წამოყენებული საკითხები უეჭველად საყურადღებოა ამხანაგო ლევან, მაგრამ იგი გამოძიების გეგმა არ არის. გავალებთ, მიიღოთ საქმე თქვენს წარმოებაში და დღის ბოლოს წარმომიდგინოთ დასამტკიცებლად კონკრეტული გეგმა. დაიხმარეთ ოპერატიული ჯგუფის უფროსი კაპიტანი ჩრდილელი. თუ შეკითხვები არ არის, ამით დავამთავროთ.

ოფიცრები წამოიშალნენ და წყნარად გაიკრიფნენ კაბინეტიდან.

ხომერიკმა საათს დახედა.

— ამხანაგო დავით, მიუბრუნდა ბალანჩივაძეს, თორმეტის ნახევარია, 12 საათზე ქალაქკომის მდივანი გველოდება ტყავის ქარხნის საქმე უნდა მოვახსენოთ, არ გაგაფრთხილეს?

— როგორ არა, წავიდეთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა და ფეხზე წამოდგა.

თავი 2

მინდელი თავის სამუშაო კაბინეტში იჯდა და ტყეშელიაძის მსვლელობის საქმის მასალებს გულდასმით ეცნობოდა. მოკლულის ცოლის ჩვენებით, ტყეშელიაძე 9 იანვარს 5 დღით თბილისში იქნა მივლინებული. მივლინებაში მიმავალმა ცოლი თან წაიყვანა დედაქალაქში, სახლში გიორგის ცოლის დისშვილი, სტუდენტი ანზორ ჩიკვაიძე დარჩა.

თავდაპირველი გადაწყვეტილებით ცოლქმარი თბილისიდან 14 იანვარს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ, გიორგიმ 2 დღეში მოაგვარა სამსახურებრივი დავალება და მესამე დღეს თბილისი-ქუთაისის მატარებლით, უკანვე დაბრუნდა. ჩამოსულებს ანზორი არ უნახავთ, მეზობელმა გადასცა მათ ბინის გასაღები და უთხრა: ანზორის სოფლიდან დეპეშა მოუვიდა და დღეს შუადღისას გაემგზავრაო.

ცოლქმარმა ივახშმა და დაახლოებით ღამის თორმეტისნახევარზე დაიძინა.

მინდელმა საქალაღდეში მოძებნა ტყეშელიაძის ჯიბეში აღმოჩენილი მივლინების ბარათი და თინა ტყეშელიაძის ჩვენებას შეუდარა. თბილისში გამგზავრებისა და უკან დაბრუნების თარიღი ზუსტად დაემთხვა ნათქვამს. ამასვე ადასტურებდა რკინიგზის ორი ცალი სამგზავრო ბილეთი, ქუთაისიდან თბილისამდე და თბილისიდან ქუთაისამდე.

თინა ტყეშელიაძე გადაჭრით უარყოფდა სახლში მისვლის შემდეგ ფანჯრის გაღებას, რაც თუ მას დაეჯერებოდა, სავსებით გამორიცხავდა ფანჯრის შემთხვევით ჩაუკეტავად დატოვებას. თბილისიდან დაბრუნების შემდეგ დაზარალებულის ბინაში რამდენიმე მეზობელი შესულა, მაგრამ მოკლულის მეუღლე მათ ეჭვს გარეშე აყენებდა.

მინდელმა დაკითხა ტყეშელიაძის თითქმის ყველა მეზობელი და გააკეთა დასკვნა, რომ ტყეშელიაძეებს ძალზე ტკბილი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ თუმცა შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ მათი უკმაყოფილება მეზობლებს არასოდეს შეუმჩნევიათ.

გიორგი ტყეშელიაძეს, ქარხნის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს, გამრჯე და პატიოსანი ადამიანის სახელი ჰქონდა მოპოვებული. თინა არ მუშაობდა. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ცოლ-ქმარი თითქმის არასოდეს ყოფილან მარტო, მათი სახლი მუდამ ღია იყო გიორგისა თუ მის მეუღლის ნათესავებისათვის, განსაკუთრებით სწავლის მოსურნე ახალგაზრდებისათვის. გიორგის ორმა ძმისშვილმა ქუთაისში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სტუდენტობის წლები ბიძის ოჯახში გაატარა. გიორგის გულწრფელად უყვარდა ძმისშვილები, ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მანვე გადაუხადა ორთავეს ვახშამი და გულწრფელი ცრემლებიც ღვარა ძმისშვილების მისგან გადასვლის გამო.

არანაკლებ უყვარდათ თინა ყმაწვილებს.

მინდელმა მათი დაკითხვის ოქმები გადათვალიერა: შოთა და რევაზი, ბიძის ვერაგული მკვლელობით შეწუხებულნი, თინას მეორე დედას უწოდებდნენ და ვერაფრით აეხსნათ გიორგის სიცოცხლის ხელყოფა.

მინდელმა ახალგაზრდა ინჟინრების დაკითხვის ოქმები გვერდზე გადასდო და ჩაფიქრდა.

ბოროტმოქმედი ტყეშელიაძის ბინაში ფანჯრიდან შევიდა, ეს უდავოა, მაგრამ იცოდა თუ არა მან, რომ ფანჯარა დაკეტილი არ იყო? ფანჯრის წინასწარ განზრახვით ღიად დატოვების ვერსია თითქმის გამორიცხულია, ან ვის უნდა დაეტოვებინა ღიად და რა მიზნით?

ანზორმა გასაღები ივანე გორდელაძეს დაუტოვა. მისი პიროვნება თითქმის ეჭვს არ იწვევს, დამსახურებული პედაგოგი, ღვაწლმოსილი პენსიონერი. მინდელი ჩაფიქრდა. არც თუ მაინცა და მაინც სახარბიელო თანამდებობაა გამომძიებლობა ჭეშმარიტების ძებნაში იძულებული ხარ ყველას და ყველაფერს ფრთხილი თვალით შეხედო. ვიდრე ამა თუ იმ ადამიანის უდანაშაულობაში ფაქტებით არ დარწმუნდება, რაიმეს გამორიცხვა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, ეს პიროვნება გორდელაძის მსგავსია, თუ რამდენჯერმე ნასამართლევი რეციდივისტი.

გამომძიებლის ფიქრები კვლავ ტყეშელია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის მკვლელობის ბუნდოვან საქმეს დაუბრუნდა.

— იქნებ ფანჯარა რაიმე იარაღით იქნა გაღებული და დათვალიერებისას ვერ შევამჩნიეთ? მაგრამ არა, ყოვლად შეუძლებელია, სულ მცირე კვალი მაინც არ დარჩენილიყო, ასევე შეუძლებელია ეს კვალი შეუმჩნეველი დაგვრჩენოდა... არა, ფანჯარა ნამდვილად ჩაურაზავი იყო;

გამომძიებელმა ტელეფონის ყურმილი აიღო.

— მილიციის საქალაქო განყოფილების ქვესადგური მომეცით — სთხოვა ტელეფონისტ ქალს.

— მილიციის ქვესადგურია? მალაპარაკეთ კაპიტანი ჩრდილელი. შალვა, ლევანი გელაპარაკებით, დაკითხეთ თუ არა ანზორ ჩიკვაიძე? ახლა კითხვათ? კეთილი! დაკითხვის მასალები ამაღამვე მომიტანეთ... კი... კი... მე გვიან ღამემდე აქ ვიქნები, ჯერ მხოლოდ პირველის ნახევარია.

მინდელმა ყურმილი ფრთხილად დადო აპარატზე. სავარძლიდან წამოდგა, ფანჯრის ფარდა გასწია და ქალაქს გახედა.

ბარაქიანად ბარდნიდა, ქუჩაში კანტიკუნტად მიმავალი მგზავრები საახალწლო თოვლის მოძრავ ბაბუებს დამსგავსებოდნენ. აქაიქ მიმავალ მსუბუქ მანქანებს სპეტაკი თოვლის საკმაოდ სქელი ფენა დასდებოდა. დღის მეორე ნახევარში წამოსულ ხვავრიელ თოვლს კვლავ თეთრად დაეფარა დილით გაწმენდილი ცენტრალური ქუჩები.

თუ მთელი ღამე ასე ითოვა, ხვალ ვერავითარი ტრანსპორტი ვერ იმოძრავებს — ჩაილაპარაკა მინდელმა და საწერ მაგიდას დაუბრუნდა. შუშის ქვეშ დადებულ გოგონების სურათს დააცქერდა, გაეღიმა: რუსუდანი და მზია ეშმაკობით სავსე თვალებით ისე შეჰყურებდნენ მამას, თითქოს საცაა დაილაპარაკებდნენ.

— ჩემსავით უყვართ ცუგრუმელებს თოვლი.—გაიფიქრა მინდელმა და გაახსენდა: ყოველ ზაფხულს ბავშვები პირობას ართმევდნენ მამას, ზამთრის არდადეგები ბაკურიანში გაეტარებინათ. თავის მხრივ კი, სწავლაში ფრიადოსნობას პირდებოდნენ. აგერ ხუთი წელია ორივე მხარე პირნათლად ასრულებდა პირობას, ბავშვები წარჩინებულად სწავლობდნენ, ხოლო მინდელი ყოველ 28 დეკემბერს თხილამურებითა და ბარგით დატვირთული გოგონებს ბაკურიანში აიყვანდა, იქ დედასთან ერთად დასტოვებდა და შემდეგ ათი დღის განმავლობაში რესტორანში სადილობდა უცოლშვილო კაცივით.

„კარგია ბავშვობა — კარგი და ნათელი ბავშვობა“. ლევანი ფიქრებით გაესაუბრა ბავშვებს. შემდეგ საწერი მაგიდის უჯრიდან ახალი საქმე ამოიღო და ყურადღებით დაიწყო კითხვა.

ოთახში გამეფებული სიმშვიდე ტელეფონის ზარის წკრიალმა დაარღვია.

— გამომძიებელი მინდელი გისმენთ!

— რაო? კარგი, ძალიან კარგი! ახლავე, ახლავე წამოვალ. აჩქარებით ჩასძახა მან, შემდეგ ტელეფონის ყურმილი ხმაურით დააგდო ბერკეტზე და ისე სწრაფად გავარდა კარებში, რომ წინ შეხვედრილი პროკურორის მოადგილე კინაღამ წააქცია.

— რა მოხდა, სად გარბიხარ ასე უპალტოოდ, — შეეკითხა გაკვირვებული ბრეგვაძე.

— ბოდიშს ვიხდი ამხანაგო პავლე, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა დამირეკა, წუხელ ღამის 4 საათზე ვიღაც უცნობ პირებს ქირურგი გრძელიძე ავადმყოფთან მიუწვევიათ, სახლიდან გამოსვლისთანავე თვალები აუხვევიათ და ახლა, სულ რაღაც ერთი საათის წინ, ისევ თვალახვეული ჩამოუსვამთ ქუჩაში, — სხაპასხუპით უპასუხა მინდელმა შემდეგ პალტო მოისხა და კიბეებზე დაეშვა.

დაახლოებით 15 წუთის შემდეგ მინდელი განყოფილების უფროსის კაბინეტში იყო.

— გაიცანით გამომძიებელი მინდელი, მიმართა პოლკოვნიკმა ბალანჩივაძემ მის პირდაპირ მჯდომ შუახნის სათვალეებიან მელოტ მამაკაცს. შემდეგ მინდელის მისამართით დაუმატა.

— უცნობი ავადმყოფის სამკურნალოდ მოტაცებული ექიმი გრძელიძე.

გრძელიძე წამოდგა, მინდელს თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით — მინდელმა სკამი გაუწოდა ექიმს და თვითონაც მის პირდაპირ ჩამოჯდა.

დაკითხეთ? — შეეკითხა მილიციის განყოფილების უფროსს.

— მხოლოდ ვესაუბრე, ამხანაგმა გრძელიძემ არ ისურვა თავისი მოსვლის მიზეზი მორიგეს თვის გაენდო, პირდაპირ ჩემთან მოვიდა, ეფიქრობ, მისი მოტაცება ტყეშელიაძის საქმესთანაა დაკავშირებული, უპასუხა ბალანჩივაძემ, შემდეგ წამოდგა, მინდელს თავის სავარძელზე მიუთითა და დაუმატა — აქ დაჯექით ლევან და თქვენ დაკითხეთ, მეც მოგისმენთ.

გამომძიებელი სავარძელში მოთავსდა, შემდეგ საქაღალდედან სუფთა ფურცლები ამოიღო და გრძელიძის დაკითხვას შეუდგა. ანკეტური მონაცემების შევსების შემდეგ მინდელმა კალმისტარი გვერდზე გადადო, სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და გრძელიძეს მიმართა:

— აბა, პატივცემულო ექიმო, გთხოვთ გვიამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოთ ყოველივე. ეცადეთ არაფერი, თქვენთვის უმნიშვნელო წვრილმანიც კი, არ გამოგრჩეთ.

— პირველ რიგში— დაიწყო გრძელიძემ გთხოვთ არავინ გაიგოს, მით უმეტეს ჩემმა წამყვანმა, რომ მე ჩემი ნებით მოვედი მილიციაში, თორემ სიკვდილი არ ამცდება, ასე შემპირდნენ ჩემი წუხანდელი პაციენტები და ვფიქრობ ისინი არაფრის წინაშე არ დაიხევენ უკან. თუმცა მე ბევრი არაფერი ვიცი და მათი ვინაობაც არ შემიძლია დავასახელო, მაგრამ თანმიმდევრობით გადმოგცემთ, რაც მოხდა.

— წუხელ სიძე და ქალიშვილი, რომლებიც სტუმრად იყვნენ ჩამოსულნი ქ. თბილისიდან, ღამის მატარებელზე გავაცილე. ცოტა ნასვამი ვიყავი და სადგურიდან დაბრუნებისთანავე დავიძინე. რამდენ ხანს მეძინა არ ვიცი, უეცრად ზარის ხმამ გამაღვიძა, წამოვდექი, ჯერ ტელეფონი მეგონა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ კიბიდან რეკავდნენ. შუქი ავანთე, კარები გავაღე, მაგრამ ჯაჭვი არ მომიხსნია, ისე შევეკითხე ვინ უნდოდათ.

— ქირურგი გრძელიძე სახლში ბრძანდება? მკითხეს გარედან.

მე გახლავართ — ვუპასუხე — რაშია საქმე?

ექიმო, თქვენი გადაუდებელი დახმარება გვესაჭიროება, დაგვდეთ პატივი და გამოგვყევით, კაცი გვიკვდება — მიპასუხა მეორემ.

— მართალი გითხრათ, ცოტა შემეშინდა და ვიდრე კარებს გავაღებდი მოსულნი შევათვალიერე. ორნი იყვნენ, ერთი შედარებით ახალგაზრდა, მოკლე შეკრეჭილი ულვაშებით. მეორე კი ჭაღარაწვერიანი, თავზე ჩაბალახწაკრული, ჩემი შეხედულებით სოფლის გლეხკაცი, რადგან კარების გაღება დავაყოვნე, მოსულთაგან უფროსმა მითხრა: „ჩვენი არ შეგეშინდეს ექიმო, მართალია ძალიან გვიანაა, მაგრამ ცუდი განზრახვით არ გეგონოთ მოსული, გაგვიღეთ კარი, კაცი გვყავს დაჭრილი და ყოველი წუთი ძვირფასია, ნუ დაგვიანებთ, თორემ თქვენს სინდისზე დარჩება უმწეო ადამიანის სიკვდილი“.

მოგეხსენებათ, ექიმს ხშირად უფრო გვიანაც მიმართავენ დახმარებისათვის, რადგან ავადმყოფობამ, მით უმეტეს ფათერაკმა, დრო არ იცის, ამიტომ კარები გავაღე და ორთავე შემოვუშვი.

უცნობები თავაზიანად მომესალმენ და კვლავ გამიმეორეს თხოვნა, სწრაფად გავყოლოდი მათ. მეც ბევრი აღარ მიფიქრია, სასწრაფოდ ჩავიცვი, ქირურგიული იარაღები პატარა ჩემოდანში ჩავაწყე და გავყევი.

შორს არის თქვენი ავადმყოფი? ვკითხე მათ, როცა ქუჩაში გამოვედით.

— არც ისე ახლოა, მაგრამ ჩვენ მანქანით წავალთ; მიპასუხა ახალგაზრდამ და თავაზიანად გამიღო ჩემი სახლის წინ გაჩერებული მანქანის უკანა კარები. ჩავჯექი. ახალგაზრდა საჭესთან დაჯდა, მეორე კი ჩემს გვერდით მოთავსდა და მანქანაც დაიძრა.

სახლიდან სულ რაღაც 100 მეტრში მანქანამ ბნელ ქუჩაში შეუხვია და გაჩერდა. მე გაკვირვებაც ვერ მოვასწარი რომ ჭაღარამ საფეთქელთან რევოლვერის ლულა მომადო და ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით მითხრა:

— პატივცემულო ექიმო, თუ ხმაურს არ ატეხთ, თქვენს სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. თუ ჩვენს პირობებს მიიღებთ და არ გაჯიუტდებით თქვენი შრომა უხვად იქნება ანაზღაურებული, ახლავე უნდა გითხრათ ისიც, რომ უარის შემთხვევაში სიკვდილი გელით.

— რა გინდათ ჩემგან? თუ გაძარცვას მიპირებთ, მე თან არავითარი ძვირფასი ნივთები, გარდა მაჯის საათისა, არ გამაჩნია— მივუგე მე.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო ექიმო, ჩვენ მძარცველები არ ვართ — მიპასუხა ახალგაზრდამ და ახლა შევამჩნიე, რომ იმასაც რევოლვერი ეჭირა ხელში. — პირიქით, როგორც ბიძაჩემმა გითხრათ თქვენი შრომა უხვად იქნება ანაზღაურებული, მხოლოდ საჭიროა წამოყენებულ პირობებს დაეთანხმოთ და უსიტყვოდ აასრულოთ ჩვენი არც თუ ზრდილობიანი მოთხოვნა.

— რა პირობებს მიყენებთ? შევეკითხე ორთავეს.

— სულ უბრალოს, რითაც არც თქვენი ღირსება შეილახება და არც სინდისი — დაიწყო ჭაღარამ.

— ჩვენ მართლაც გვყავს დაჭრილი, რომელსაც თქვენი გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება. დაჭრილი ახალგაზრდა სასიძო ბიჭია, მშვენიერი ვაჟკაცი. დაჭრეს ქალის გამო და თუ გაიგეს მისი ვინაობა, ციხე არ აცდება. აი ამიტომ მე ახლავე აგიხვევთ თვალებს და ისე წაგიყვანთ სახლში, ავადმყოფს არც სხვას არავითარი შეკითხვებით არ მიმართავთ. შეასრულებთ თქვენს მოვალეობას, რის შემდეგ სათანადო გასამრჯელოს მოგართმევთ და ასევე უვნებელს მხოლოდ თვალახვეულს მიგიყვანთ სახლში. თანახმა ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაეწყობა — ვუპასუხე — თქვენ ხელთა ვარ და სხვა რა გამოსავალი მაქვს“.

ჭაღარამ რევოლვერი შეინახა, პალტოს შიგნითა ჯიბიდან შარფი ამოიღო, თავაზიანად მოიხადა ბოდიში და თვალები ამიხვია. შემდეგ ისევ შემახო რევოლვერის ლულა და გამაფრთხილა:

გახსოვდეთ, ერთი დაყვირება, ან ცდა შარფის მოშორებისა და... გესვრით. მე ხმა არ ამომიღია.

მძღოლმა ძრავა ჩართო და მანქანა დაიძრა. ასე ვიარეთ დაახლოებით 20-25 წუთი. შემდეგ მანქანა გაჩერდა.

„მივედით“ მომესმა ჭაღარას ხმა — გახსოვდეთ, როცა საჭირო იქნება, შარფს ჩვენ თვითონ მოგხსნით, ახლა კი მანქანიდან გადმობრძანდით, მე დაგეხმარებით სიარულში.

მან მანქანის კარები გააღო, გადავიდა, შემდეგ ხელი მომკიდა და მეც გადამიყვანა.

ცალ ხელზე თათმანი არ მეკეთა, შიშველ ხელზე თოვლის ფიფქების დაცემით მივხვდი, რომ საკმაოდ ძლიერად თოვდა. ვიღაცამ ხელი გამომდო და წამიყვანა. გავიგე ჭიშკარის გაღების ხმა.

როდესაც ჭიშკარში შევედით, ჩემდაუნებურად საკუთარი ნაბიჯების თვლა დავიწყე. 28-ე ნაბიჯზე გამყოლმა გამაჩერა.

რაშია საქმე? ვკითხე.

— არაფერი, პატივცემულო ექიმო, აქ კიბე იწყება და არ დაიმტვრეთ.

მე ხელის ფათურით მოვძებნე სახელური და კიბეზე ფეხი შევდგი. მეორე მხარეს გამყოლს ვეჭირე. როცა ჩვიდმეტი საფეხური გავიარე, სახელურმა მკვეთრად მოუხვია, ვიფიქრე კიბე გათავდა მეთქი და შევჩერდი. გამყოლი ალბათ მიხვდა ჩემი დაყოვნების მიზეზს.

იარეთ, იარეთ, მითხრა მან — კიბე არ გათავებულა.

მე წინ წავდგი ერთი ნაბიჯი და წავიფორხილე, რადგან მოძრაობით კიბის შემდეგ საფეხურს ვგულისხმობდი, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს მხოლოდ ბაქანი იყო. მართლაც, მეორე ნაბიჯი უკვე კიბეზე შევდგი და სვლა განვაგრძე. ახლაც არ ვიცი, რატომ კვლავ საფეხურების თვლა გავაგრძელე ისე ანგარიშმიუცემლად და მექანიკურად. 22-ე საფეხურის ვლის შემდეგ კიბე გათავდა. ჭაღარამ კარები შეაღო, სითბოთი ვიგრძენი, რომ სახლში შევედით. გამყოლმა კიდევ ათი ნაბიჯი გამატარა, კარები გააღო და შემიყვანა, აქ შედარებით უფრო თბილოდა. მე ვიდექი და ხმას არ ვიღებდი. ჭაღარამ ხელის ერთი მოძრაობით მომაშორა თვალსაბურავი.

ელექტრონის შუქმა სინათლეს შეუმჩნეველი თვალი მომჭრა და თვალები დავხუჭე. შემდეგ ისევ გავახილე და ვნახე, რომ მე და ჭაღარა საკმაოდ მოზრდილ ოთახში ვიყავით.

— დამთავრდა ბატონო ექიმო მასკარადის პირველი ნაწილი — გაიღიმა მან და შემდეგ დაუმატა — სულითა და გულით გთხოვთ მაპატიოთ ჩემი უხეშობა, იმედია გამიგებთ, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა.

მე პასუხი არ გამიცია. თვალებით ავადმყოფს ვეძებდი. მაგრამ კითხვისაგან თავი შევიკავე.

ჭაღარა მიხვდა.

— ახლავე ყველაფერი მზად იქნება, მიპასუხა მან ჩემს უტყვ კითხვაზე.

იმავე წუთს კარები გაიღო და ახალგაზრდა შემოვიდა, რომელსაც ხელში ჩაიდანი, საპონი და პირსახოცი ეჭირა. ჭაღარამ ტაშტი მოძებნა, სკამზე დადგა და თავაზიანად მთხოვა ხელის დაბანა.

ხელის ბანას შევუდექი. წყალს ახალგაზრდა მისხამდა, ჭაღარამ კი ელექტრო ქურა ჩართო, შემდეგ ჩემს დაუკითხავად ჩემოდანი გახსნა, სტერილიზატორი ამოიღო, წყალი ჩაასხა შიგ, სკალპელი, პინცეტი და სხვა იარაღები ჩაყარა და ქურაზე დადო.

ხელების ბანა დავამთავრე.

— მაჩვენეთ ავადმყოფი, მივმართე ჭაღარას.

მან უხმოდ გააღო მეორე ოთახში გასასვლელი კარები და ჟესტით მიმიწვია. უსიტყვოდ გავყევი.

ეს ოთახი პირველთან შედარებით უფრო დიდი იყო. ერთ მხარეს ორი საწოლი იდგა, პირველ საწოლზე ვიღაც მამაკაცი იწვა და კვნესოდა. ღამის სანათური იმდენად მცირე სინათლეს გამოსცემდა, რომ ავადმყოფის სახე ვერ გავარჩიე.

— აანთეთ სინათლე — მივმართე ჭაღარას. მან უხმოდ მოძებნა ჩამრთველი და ბროლის ჭაღი აანთო. ავადმყოფს საბანი გადავხადე, გასისხლიანებული პერანგი ავუწიე და დავინახე, რომ მუცლის არე სისხლიანი სახვევებით ჰქონდა შეხვეული.

შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ? ეს მხოლოდ ავადმყოფთან იქნება დაკავშირებული, ვკითხე ჭაღარას.

— ბრძანეთ.

ვინ შეუხვია ჭრილობა?

— მე.

— შეიძლება გავხსნა?

— ცხადია, მიპასუხა მან.

ავადმყოფს სისხლიანი სახვევები გავაცალე და ჭრილობა გავსინჯე. უცნობი მუცელში იყო დაჭრილი. სხეულის შიგნით ბევრი სისხლი ჩაქცეოდა და ეტყობოდა მუცლის ღრუ გაევსო, დაჭრილს დიდი რაოდენობის სისხლი დაეკარგა და უგონოდ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას იტყვით? შემეკითხა ჩემი მიმყვანი.

— ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულია, საჭიროა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა, სისხლის გადასხმა, ყოველივე ამის გაკეთებას კი ბინაზე მარტო ვერ შევძლებ. თუ დაჭრილს ახლავე საავადმყოფოში არ წაიყვანთ, აუცილებლად დაიღუპება, მივუგე მე.

ჭაღარას თვალებში მკაცრი, ბოროტი ნაპერწკლები აციალდნენ.

— არა ექიმო, ყველაფერი, რაც საჭიროა, აქ გაკეთდება და გაკეთდება მხოლოდ თქვენს მიერ, მე თვით ვიქნები თქვენი ასისტენტი და ექთანიც, რაც შეეხება სისხლის გადასხმას, მოვაგვარებთ, ჩემს სისხლის გადაუსხამთ. მე გაკვირვებით შევხედე.

როგორ, თუ თქვენს სისხლს? ეს შეუძლებელია! დაჭრილს შეიძლება სულ სხვა ჯგუფის სისხლი აქვს, თქვენი სისხლის რამდენიმე გრამი მას აუცილებლად დაღუპავს.

— მაგაზედ ნუ სწუხართ, ჩვენი ერთი ჯგუფის სისხლი გვაქვს.

— თქვენ რა მამა ხართ დაჭრილის? — დამავიწყდა გაფრთხილება.

— მე გაგაფრთხილეთ კითხვებისაგან თავი შეგეკავებინათ — მკვახედ მესროლა მან.

ეს შეუძლებელია! სხვა არა იყოს რა, სისხლის გადასხმის ხელსაწყოებიც არა მაქვს — არ ვნებდებოდი მე.

— გიშოვნით, ახლა კი დროს ნუ კარგავთ, მიხედეთ ავადმყოფს! მკვახედ მომიგო. შემდეგ ახალგაზრდას დაუძახა, ჩემთან დატოვა და თვითონ ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჭაღარა აპარატით დაბრუნდა და ახალგაზრდას უბრძანა, ელექტრო ქურა, სტერილიზატორი და ჩემი ჩემოდანი შემოეტანა. როდესაც ყველაფერი ეს ოთახში შემოიტანეს, ჭაღარამ ხელები დაიბანა, ახალგაზრდასაც დაებანინა და შემდეგ მე მომმართა:

— ასისტენტები მზად არიან ექიმო. გთხოვთ, საქმეს შევუდგეთ.

ჩემოდნიდან ხალათი ამოვიღე, ჩავიცვი და ამ მეტად უცნაურ პირობებში ოპერაციისათვის მზადებას შევუდექი.

ჭაღარამ თეთრეულის კარადა გააღო, რამდენიმე ზეწარი გამოიღო და უსიტყვოდ მომაწოდა.

მე უკანასკნელად ვცადე გაბრძოლება.

— იცოდეთ, ასეთ პირობებში გაკეთებული ოპერაცია ავადმყოფის მკვლელობას უდრის, ნუ მაიძულებთ ასეთ საშინელებას, ნუ გამხდით მკვლელად, დაჭრილი მაინც შეიბრალეთ.

— ექიმო, გთხოვთ საქმეს შეუდგეთ, აი თქვენი ჩემოდანი, საანესტეზიო საშუალებანი და შპრიცი — მიპასუხა ჭაღარამ და ჩემოდანი ახლოს მომიწია.

მე კვლავ ვყოყმანობდი, ახალგაზრდამ ჯიბიდან ბებუთი ამოიღო.

— გაძლევ 30 წამს — მშვიდი შეუვალი ტონით მითხრა მან და მე მივხვდი, რომ ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ოპერაციის გაკეთებაზე იყო დამოკიდებული.

—რეზინის მილი მომეცით — მივუბრუნდი ახალგაზრდას — თქვენ კი — მივმართე ჭაღარას — მოემზადეთ. გახსოვდეთ, მე სიკვდილის მუქარით მაიძულებთ თქვენი სისხლი გადავუსხა დაჭრილს.

მან უხმოდ გაიხადა პიჯაკი, პერანგის სახელო გაიხსნა და ჭაღარა წვერისათვის შეუფერებელი დაკუნთული ძლიერი მკლავი გამოაჩინა.

დიდი წვალებით გადავუსხი დაჭრილს სისხლი. შემდეგ ჭრილობა გავხსენი, მუცლის ღრუ ამოვუსუფთავე და როდესაც ყველაფერს მოვრჩი, კიდევაც გათენდა.

ახალგაზრდამ ოთახში კონიაკი, ღვინო, ცხელი ჩაი და საუზმე შემოიტანა. მე უკვე ვიცოდი, რომ დაჭრილი გადარჩა. დავრწმუნდი მასშიც, რომ დაჭრილი და ჭაღარა ახლობელი ნათესავები — შეიძლება მამაშვილიც იყვნენ და ახლა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, შიშის ნაცვლად ცნობისმოყვარეობა მომერია. ვინ არის ეს ხალხი? სადა ვარ? ვის გატაცებაზე დაჭრა ეს მშვენიერი ვაჟკაცი და რატომ ასე მალავენ მის დაჭრას?

ჭაღარა მადიანად ილუკმებოდა. გადავწყვიტე დამერღვია მიცემული პირობა და ზოგიერთი კითხვით მიმემართა ჩემი მოძალადე მასპინძლისათვის, მაგრამ თითქოს ჩემი ფიქრები ამოიცნო მან. ოდნავ დაცინვით, რომელშიც მუქარაც გამოსჭვიოდა, კვლავ გამაფრთხილა:

— პატივცემულო ექიმო, მე თქვენ აგიკრძალეთ კითხვების მოცემა და ჩემს ნათქვამს არ შევცვლი, თუმცა თქვენი მოქმედებით დიდად დავალებული ვარ. შრომის გასამრჯელოს კი უხვად აგინაზღაურებთ. უადგილო ცუდმა ცნობისმოყვარეობამ შესაძლოა კარგი თავი და მადლიანი მარჯვენა დაგაკარგვინოთ. ბოროტ—მიუბრუნდა ახალგაზრდას — მოიტა ფული.

ახალგაზრდა წამოდგა, სკამზე გადაკიდებულ ფიჯაკიდან ქაღალდის ფულების დასტა ამოიღო, რამდენიმე ბანკნოტი გამოაძრო და ჭაღარას გაუწოდა.

— ეს რა არის? აი შე ძუნწო! მოიტა კიდევ!

ახალგაზრდამ მთელი კიპა მიაწოდა. ჭაღარამ ექვსი ცალი 50 მანეთიანი ბანკნოტი გადაითვალა, გამომიწოდა და მითხრა:

— ეს თქვენი შრომის საზღაური. მიცემულ სიტყვას მტკიცედ ვიცავ. აიღეთ მეთქი! აუწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმას, რადგან შემატყო ვყოყმანობდი და ფულის აღება არ მინდოდა.

ფული ჩამოვართვი.

ჭაღარამ ჩაიცინა და კონიაკი გადაკრა.

— მე ახლა საჭირო აღარა ვარ, გთხოვთ გამიშვათ, — მივმართე ჭაღარას.

მან ისევ გაიცინა.

— არა ექიმო, თქვენი ახლა გაშვება შეუძლებელია. უკვე გათენდა და აქედან თვალახვეული კაცის გაყვანა უხერხულია. მოითმინეთ საღამომდის, დაღამდება თუ არა, სრულიად უვნებელს მიგიყვანთ სახლში, თუ დაიღალეთ მოისვენეთ, თუ არა და ისე იგრძენით თავი, როგორც ძვირფასმა სტუმარმა მოყვარული მასპინძლის ჭერქვეშ.

მან ისევ კონიაკი გადაკრა.

პირდაპირ საკვირველი იყო. ამ საკმაოდ ჭაღარა კაცმა თითქმის ერთი ბოთლი კონიაკი დალია, მაგრამ სიმთვრალის ნატამალიც არ ეტყობოდა. ორის მაგივრად სვამდა, ჭამდა და ჩემთან საუბარს განაგრძობდა. გამაკვირვა იმანაც, რომ საკმაოდ ერკვეოდა სამედიცინო ტერმინოლოგიაში.

— ერთი სიტყვით, დაღამებამდე იმ გამოუცნობ ბინაში დავრჩი. ჩემს ძალად მასპინძლებს ერთი წუთითაც არ მივუტოვებივარ მარტო და თუმცა ამ ორ ოთახში თავისუფლად სიარულის ნებას მაძლევდნენ, კატეგორიულად ამიკრძალეს ფანჯარასთან მისვლა. ოთახიდან კი ჩამოკეტილ დარაბებში მარტოოდენ სინათლის წვრილ ზოლს ვხედავდი.

— კიდევ კარგი საათი არ ჩამომართვეს, თორემ დროსაც ვერ გავიგებდი.

როგორც იყო დაღამდა, მაგრამ ჩემს გაშვებას არავინ ჩქარობდა.

საღამოს თორმეტის ნახევარზე ოთახში ჭაღარა შემოვიდა.

— ბატონო ექიმო, აბა ერთი კიდევ დახედეთ ჩვენს ავადმყოფს, შემდეგ დაგვარიგეთ, როგორ მოვიქცეთ და გაემგზავრეთ.

მე სიხარულით შევასრულე მისი ეს სურვილი.

ავადმყოფს ეძინა .ოპერაციის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა. მაჯა სუსტად, მაგრამ რითმულად მუშაობდა. სიკვდილის შიში აღარ არსებობდა. ყოველივე ეს ჭაღარას ვუთხარი, შემდეგ დავარიგე, როგორ მოქცეულიყვნენ, განსაკუთრებით ავუკრძალე ავადმყოფის განძრევა და წასასვლელად გავემზადე.

— როდის შეიძლება წამოდგეს ავადმყოფი? მკითხა ახალგაზრდამ.

ერთი კვირა მაინც უნდა იწვეს — მივუგე ამ კითხვით გაოცებულმა.

ჭაღარამ ჩაიცვა, შემდეგ კვლავ ზრდილობიანად მოიხადა ბოდიში უხეშებოსათვის და ახლა უკვე ჩემი საკუთარი შარფით მაგრად ამიხვია თვალი.

ჩემს ირგვლივ ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა. იმავე გზით, იმავე კიბეებით, ჭაღარას უშუალო დახმარებით, გამოვედი ეზოში, იქიდან ჭიშკარში, სადაც ჩამსვეს მანქანაში და წამომიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანა გაჩერდა.

— მოვედით, აქედან თქვენს სახლამდე 200-300 მეტრია. ბოდიშს ვიხდი, რომ სიფრთხილის გამო სახლამდის ვერ მიგაცილეთ. კიდევ ორი პირობა და თვალსახვევსაც მოგხსნით — ჩამილაპარაკა ჭაღარამ ჩუმად, ამავე დროს რევოლვერის შეხებაც ვიგრძენი.

— კიდევ რა გინდათ ჩემგან? — შევეკითხე.

— ცოტა რამ — პირველი მანქანიდან გადასვლის შემდეგ 30 წუთი თვალსახვევს არ მოიხსნით, მეორე დაივიწყებთ ჩვენს ვიზიტს! თქვენ არსად არ ყოფილხართ და არავითარი ოპერაცია არ გაგიკეთებიათ! თქვენ უკვე იცით, რომ პირობას მტკიცედ ვასრულებ, თუ ნახევარი საათის განმავლობაში თვალსახვევის მოხსნა გაბედეთ, სინათლეს სამუდამოდ გამოეთხოვებით, ხოლო თუ ვინმესთან დაგცდათ ჩვენი სტუმრობა, იცოდეთ, მიწაშიც რომ ჩაძვრეთ, მოგნახავთ და სიცოცხლეს გამოგასალმებთ, თანახმა ხართ?

— ჩემს სურვილს რა მნიშვნელობა აქვს, როცა ძალა თქვენს ხელშია, მივუგე მე.

— კეთილი! მაშასადამე შევთანხმდით! გადმობრძანდით მანქანიდან.

ჭაღარამ კარები გააღო, ხელი შემაშველა და მანქანიდან გადმომიყვანა.

— აქ დადექით, ამ შესახვევში ყურადღებას არავინ მოგაქცევთ. დინჯად დაითვალეთ ორი ათასამდე, შემდეგ შეგიძლიათ თვალსახვევი მოიხსნათ. მშვიდობით! არ გისურვებდით კიდევ შეგხვდეთ სადმე, მით უმეტეს ნახევარი საათის გასვლამდე, დამემუქრა ის და ხელი გამიშვა. არ გასულა ნახევარი წუთიც მანქანის ძრავა ახმაურდა და მე მარტო დავრჩი.

რამდენჯერმე გადავწყვიტე თვალსახვევის მოხსნა, მაგრამ იმის შიში რომ ჭაღარა იქვე სადმე ახლოს იდგა და მითვალთვალებდა, გამბედაობას მიკარგავდა .ასე გავიდა მტანჯველი დაახლოებით ნახევარი საათი, რის შემდეგ გავბედე და თვალებიდან შარფი მოვიგლიჯე. მარტოდ მარტო ვიდექი შესახვევში, თუ რომელში მაშინვე ვერ გავარკვიე. შემდეგ განათებული ქუჩა დავინახე და იქით ავიღე გეზი. როდესაც სინათლეზე გამოვედი, დავრწმუნდი წერეთლის ქუჩაზე ვიყავი და მაშინვე მილიციის განყოფილებაში წამოვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, სულ ეს არის, მე მგონი არაფერი გამომრჩენია — დაამთავრა გრძელიძემ, შემდეგ სათვალეები მოიხსნა, გულდასმით გაწმინდა, ისევ გაიკეთა და გამომძიებელს მიაჩერდა. მინდელმა და ბალანჩივაძემ გულდასმით მოისმინეს ექიმის ვრცელი ნაამბობი.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა, გამომძიებელი მაგიდაზე დადებულ ფურცელს ჩასცქეროდა, რომელზეც შენიშვნები ჩაეწერა და პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა. დუმდა ბალანჩივაძეც, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ექიმის ნაამბობმა. პოლკოვნიკს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გრძელიძის „ვიზიტიორები“ და დაჭრილი ახალგაზრდა ქალის მოტაცებაში არ იყვნენ გარეული ,მაგრამ ვინ იყვნენ? ჰქონდათ თუ არა რაიმე დამოკიდებულება ტყეშელიაძის მკვლელობასთან? სად იყვნენ დაბინავებულნი და როგორ უნდა მოენახათ? ასეთივე კითხვები აწვალებდა მინდელსაც. ის როგორც გამოცდილი გამომძიებელი, დიდ ანგარიშს უწევდა პროფესიულ ინტუიციას. აქ კი გარდა ინტუიციისა ფაქტების ისეთ დამთხვევასაც ჰქონდა ადგილი, რომელიც თითქმის უეჭველს ხდიდა ამ ორი საქმის კავშირს.

— ხომ ვერ გვეტყვით, რა დრო იქნებოდა სახლიდან რომ გამოხვედით?

დაარღვია დუმილი მინდელმა.

— როგორ არა, ჩემი სახლიდან 3 საათსა და 40 წუთზე გამოვედით. ეს მე დაბეჯითებით მახსოვს, რადგან ვიდრე სინათლეს გამოვრთავდი საათს დავხედე.

— თქვენი აზრით რამდენი კილომეტრი გაიარეთ?

— მე მგონია არანაკლებ 30 კილომეტრისა.

— რატომ გგონიათ?

— საქმე იმაშია, რომ მე თვითონ უკვე 10 წელია საკუთარ ავტომანქანა „პობედა“ მაქვს, ვატარებ და თვალახვეულსაც მოტორის ხმაურის მიხედვით შემიძლია სიჩქარის მიახლოებით განსაზღვრა.

— თქვენ „პობედით“ წაგიყვანეს? — შეეკითხა პოლკოვნიკი ბალანჩივაძე.

— მაგას ვერ გეტყვით, სამწუხაროდ ყურადღება არ მიმიქცევია, შეიძლება „ვოლგა“ იყო. ვერ გეტყვით, მით უმეტეს, ძლიერად თოვდა და მანქანას თოვლის საკმაოდ დიდი ფენა ედო. ნომრებიც არ ჩანდა.

— მანქანაში რომელ მხარეს იჯექით! — ისევ მინდელმა გააგრძელა დაკითხვა.

— მარცხენა მხარეს და ძალიანაც შევწუხდი.

— რამ შეგაწუხათ?

— მანქანის ძირა სავარძელი, როგორც ჩანს, დაზიანებული იყო, ზამბარას ქსოვილი გაეჭრა და მხოლოდ შალითა იჭერდა. მოგეხსენებათ ასეთ სავარძელში ჯდომა არც თუ ისე სასიამოვნოა. ისე შემაწუხა, ადგილს შეცვლაც დავაპირე, მაგრამ შემეშინდა, ჩემი მოძრაობა წინააღმდეგობის გაწევად, ან თვალსახვევის მოხსნის ცდად არ მიეღოთ და შეპირებისამებრ ადგილზე არ გავეთავებინეთ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ნ ო ღ ე ბ ა

ფანტელები დავობენ ჰაერში, ერთმანეთს ეხლებიან და მათ პატარა მხრებზე ჩერდებიან. წამწამებსაც ეცემა ფიფქები. ისინი ბევრნი არიან. წინ უფროსი თედო მიდის. მის ნაფეხურს მიყვებიან ნაბოლარები. სუსხი თანდათან მატულობს.

— ვარა, გოგო, ხომ არ გაიყინე. საცაა მივალთ და ისეთ ცეცხლს ავაგიზგიზებთ რომ... ამშვიდებს უფროსი ძმა პატარა ვარას სიცივისაგან ცხვირი რომ გასწითლებია და გაყინულ ხელებს თავისი დის უბეში ითბობს. — მალე ბორანთან მივალთ. დედა თონესაც გაახურებდა. სოსა პაპამ შეშა ჩამოგვიტანა. სოსა პაპას ხსენებაზე სიხარულმა მზის სხივივით გადაურბინა ვარას პაწია სახეს. სოსა პაპა მათი კარის მეზობელია 8 ობოლ და-ძმას თავის დაკოჟრილ მზრუნველ ხელს რომ არ აკლებდა.

სამუდამოდ დარჩა მეხსიერებაში ვერას დედის განწირული კივილი, სოფელი რომ შესძრა. ტყეში წასული უკან აღარ დაბრუნებულა მათი მშობელი მამა, რომლის ღონიერი მკლავები ნაზად აიტაცებდა ხოლმე ყველაზე უმცროსს, მამის ალერსში რომ ნანაობდა ყოველ საღამოს.

როგორც იქნა ბორანს მიაღწიეს. სიცივე ძვალში ატანს. ქარმა წელში გატეხა ფიფქები. მტკვარი გაიყინა. ბორანი გაჩერდა. თვით შემკრთალი უფროსკლასელები პატარებს ამშვიდებენ. მათ კი შეშინებული თვალებით უმწეოდ გაუწვდიათ ხელები და შველას ითხოვენ. დედების კივილი ქარს მოაქვს; შუაღამეა. დიდი ცეცხლი დაანთეს იქითა ნაპირზე. სიმღერა წამოიწყეს ბავშვებს რომ არ დასძინებოდათ და არ გაყინულიყვნენ. კამეჩები მტკვარში შემოვიდნენ და დაფრთხნენ. სუსხი მატულობს.

— ესღა მახსოვს, იხსენებს ვერა არავიაშვილი, ამჟამად კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, სოსა პაპამ თავისი დიდი, ნაჯაფი ხელი რომ გამომიწოდა. იმ წუთში დაიბადა ჩემში რაღაც გამოუცნობი, დიდი სურვილი; გვიან მივხვდი ეს გაჭირვებაში მყოფი ადამიანის თანაგრძნობა, დახმარება ყოფილა, თანდათან მოწოდებაში რომ გადამეზარდა.

გადიოდა დრო. წარჩინებით დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ეს მისი მიზნის განხორციელებისა და ახდენილი ოცნების წელი იყო, მაგრამ... ასეა ჩვენი სიცოცხლე: სიხარულსა და ტანჯვას ერთი ცის ქვეშ ვხვდებით ადამიანები. შუბლი შეიკრა ცამ. ნათელი მზე ღრუბლის ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამდე ცას რომ ადგა გვირგვინად. ომის ქარიშხალმა დედაბუდიანად შეარყია ჩვენი სამშობლო.

ამ პერიოდში ვერა არავიაშვილი გამომძიებლად მუშაობდა ჯერ გორში, შემდეგ თბილისში.

— მრავლისმთქმელია ეს დრო ბევრისთვის, მათ შორის ჩემთვის — მესაუბრება იგი. ომია. ზოგი დაიბნა. დაჰკარგა წონასწორობა. გული გაებზარა. ვინც უძალიანდება დარდსა და უიმედობას, ეჭიდება, ამარცხებს მას. სუსტი კი იღუპება. ახალბედა გამომძიებელმა იგრძნო, რომ პროფესიულ უნართან ერთად სხვა რამეა საჭირო —სიმკაცრე და შეცოდება, მაგრამ შეცოდებას მეტად ფრთხილად, სათუთად უნდა გაუღო კარი. ომი სუსხს ამწვავებს. კვნესის მიწა. ტირიან ჯარისკაცის ქვრივები, უთქმელ დარდს მოუცავს მოკრძალებული საცოლეები. მეომრები იღუპებიან და მათი სიკვდილი ანდერძი იყო — ცოცხლებს გაეგრძელებინათ მათი საქმე. როცა იცი, რომ შენი გადარჩენისათვის ომის სისხლიან ველზე ადამიანები მტრის ტყვიას თავიანთ ალალ გულებს უშვერენ და აქ შედარებით მშვიდობიან მიწაზე ვინმე დანაშაულს ჩაიდენს ხანდახან გინდა რომ უმნიშვნელო შემთხვევისათვის კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯო, მაგრამ მაგონდება ერთი შემთხვევა:

ახალგაზრდა ქალის საქმეს ვიძიებდი. ის შემნახველ სალაროში მუშაობდა. ობლიგაციების გაყალბებასთან დაკავშირებით დაკავებული იქნა. დაახლოებით ტოლები ვიქნებოდით და ჩემი შვილის ხელა ბავშვი ჰყავდა. პატარა ბიჭი, რომლის პატრონი მხოლოდ დედა იყო საავადმყოფოში იწვა. სანამ დაკითხვაზე წავიდოდა ბავშვი მოვინახულე, რომელიც უიმედო მდგომარეობაში დამიხვდა, გული დამძიმებული მაქვს. ციხეში შესვლამდე გამოვიტირე უიმედოდ დარჩენილი თოთო ბავშვი. მივუახლოვდი მას და დავინახე თვალები, რომელშიც ჩამდგარიყო უძირო სევდა, დედის თვალები რომ დაიტევენ მხოლოდ. ვერაფერს ამჩნევდა, იყურებოდა სივრცეში, სადაც მხოლოდ, შვილს ხედავდა.

— იქნებ ჩემი პატარასი რამე იცით?!

— ნახვის უფლება მივეცი.

სოფელში მინახავს ფრინველის წამოვარდნა ბუდიდან, მაგრამ ადამიანის ამგვარი წამოფრენა კი არა. ასე მეგონა ჩიტიც ვერ დაეწოდა სიხარულით ფრთაშესხმულ დედას.

— მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც ადამიანისა და მართლმსაჯულების უდიდეს მრისხანებას იმსახურებს. ვინც ადამიანის სიცოცხლეს არ აფასებს, აბუჩად იგდებს, იგი თვით არ არის სიცოცხლის ღირსი. 1945 წლის გაზაფხულია. მოახლოვდა უკანასკნელი ყოვლისგამანადგურებელი საარტილერიო ქარიშხალი, ბერლინის დაცემა, გამარჯვების სალუტით განათებული ცა. იმდროისათვის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის გამომძიებლად ვმუშაობდი. ვიძიებდი მკვლელობის საქმეს. გაძარცვის მიზნით უხეშად მოკლულია დაუდგენელი ვინაობის ინვალიდი კაცი. გარკვეული სირთულის შემდეგ დამნაშავენი აღმოვაჩინე. ოთხმა ახალგაზრდამ საბურთალოს ბაზრიდან მოტყუებით წაიყვანეს, გაძარცვეს და მოკლეს ინვალიდი კაცი. ნაძარცი გაყიდეს და იქეიფეს.

რამდენადაც ღრმად ვწვდებოდი საქმეს, იმდენად მოუტევებლად მეჩვენებოდა ამ ოთხი გარეწარის მოქმედება. რამდენი ღამე გამიტეხია ვინ იცის. ვუყურებდი მოკლულის სურათს, ადრეულ ნაოჭებს რომ დაეფარა მისი ნატანჯი, გამხდარი სახე. ვინ იყო იგი? იქნებ ომიდან ეს ეს არის ჩამოვიდა და ხუთი წლის უნახავი ცოლ-შვილი უნდა ჩაეკრა დაღლილ, ნატყვიარ მკერდში. იქნებ ბუჩქს ეხვეოდა შვილის სიყვარულით და ამის შემხედავი ქვა თრთოდა და მიწა იწვოდა. ომის ქარიშხალი ბრძოლით, სასახელოდ გაიარა და აი, შედეგი. ჩემი წინათგრძნობა არ გამტყუნდა. მოკლული ჯარისკაცი აღმოჩნდა. რუსეთიდან სტუმრებია ნათესავს თბილისში. შვიდჯერ დაჭრილა და ფრონტზე შვიდჯერვე მოუშუშებიათ გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმანელების მიყენებული მძიმე იარა. აქ კი სიცოცხლეს გამოასალმეს მათ, ვისი ბედნიერებისათვის თვითონ კვდებოდა.

1950 წლიდან მოსამართლედ ირჩევენ. მუდამ ფხიზელი და გულმართალი ხალხის რჩეული კვლავ უანგაროდ ემსახურება სიმართლეს, ადამიანს.

* * *

სასამართლო უდიდესი ძალაა, მას საშუალება აქვს ყოველდღიურად დიდი გავლენა მოახდინოს ადამიანის გონებასა და გრძნობაზე, მის ზნეობრივ ცხოვრებაზე. რა სჭირდება ამისთვის ადამიანს, მოსამართლე? სიკეთე. მოსამართლე კეთილი და ყურადღებიანი უნდა იყოს და ამიტომ სამართლიანი. ხშირად ამბობენ კაცი რომ გამოიცნო მასთან ერთად ფუთი მარილი უნდა სჭამოო. არა მგონია ეს გამართლებული თქმა იყოს, თუ გულწრფელ ადამიანთან გაქვს საქმე. ლაპარაკისას რატომღაც წარმოთქვა: „კანონები არსებობენ, მაგრამ მას მოაზროვნე ადამიანები უნდა ანხორციელებდნენო“? — ეს ნათქვამი იყო მგზნებარებით და აუჩქარებლად. იშვიათად პიროვნებაში გაერთიანდეს გარეგნული სიმშვიდე შინაგან ტემპერამენტთან. ამაში იმალება ალბათ უდიდესი ძალა. ვგრძნობ რაღაც აზრი აწუხებს და ვერ მოსწყვეტია მას:

— იგი ნახევრადმშიერი იზრდებოდა, უმამოდ. საეჭვო წრეში მოხვდა და ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი გაასამართლეს. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც ბავშვური ანალიზი გაუკეთა ყველაფერს. კოლონიის გარეშე მოიწადინა გამოესწორებინა მრუდე გზით წასული თავისი ცხოვრება. გაიქცა. დააბრუნეს და უფრო მეტი მიუსაჯეს — შეიძლება გვეფიქრა, რომ კოლონიაში ვინმე მზრუნველ ხელს გაუწვდიდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დედამ ვერ აიტანა შვილის სიშორე. სიკვდილის პირთან მივიდა. შვილმა გაიგო დედა მიკვდებაო და კვლავ გაიქცა. ახლა ამ ყმაწვილს ჩვენ გავასამართლებთ. ნათლად ვხედავ, რომ მისი ცხოვრება საფუძველშია შერყეული. არაფერი ამის მაგვარი არ მოხდებოდა მისი ბედი კეთილი ადამიანების ხელში რომ მოხვედრილიყო ადამიანებისა თითოეული კაცის სიცოცხლის ფასი რომ იციან.

— მეორე კი უხეშ, უნამუსო დედასთან იზრდებოდა და ისიც სამსჯავროს წინაშე წარსდგა. მე არასოდეს არ დამავიწყდება, როცა ის ბადრაგის თანხლებით საბრალდებო სკამისკენ მიდიოდა, დედას ჩაუარა და ზედ არ შეჰხედა. ოფლის წვრილ წვეთებს დაენამა მისი სახე. მშობელი მან თავისი, საკუთარი მსჯავრით გაასამართლა და დასაჯა. მე ვიგრძენი, რომ მასში დამთავრდა რაღაც ქაოსი, უბედურების მიზეზი მან თვითონვე დაინახა.

არ ყოფნის ბევრ ადამიანს, რაღაც მშობლიური სევდა, დარდი, ღრმა ჩაწვდომა ბავშვის აზრში, სურვილში. ასეთ მშობლებს ბავშვებთან ურთიერთობა არ შეუძლიათ. ერთმა მამამ ჩემთან თავის პატარას უთხრა: „ნუ ცრუპენტელობ, რეგვენო“.

ამგვარმა ქცევამ ჩემზე ძალიან იმოქმედა, — როგორ ელაპარაკებით ბავშვს, თქვენ გინდათ რომ მან ზურგი შეგაქციოთ ცხოვრებაში, მას ახლავე უქმნით ამის საიმედო პირობას. ბავშვს ნდობა ესაჭიროება. ადამიანს უნდა ენდო!

ვუსმენდი ცხოვრების სიავკარგით დაბრძენებულ ამაგდარ ქალს და ვგრძნობ, რომ ის იმ ბედნიერ ადამიანთაგანია, რომლებმაც ნამდვილ მოწოდებას მიაგნეს ცხოვრებაში. ფსიქოლოგიური ანალიზის შესანიშნავი უნარით გადმოსცა მან მრავალ მსჯავრდებულთა შესახებ. მას აქვს დიდი ადამიანუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი უნარი თანაგრძნობისა, საქმის შინაარსში ზედმიწევნით გარკვევისა და ყველას შესაძლო ვარაუდს შორის უფრო სწორის, უფრო მისაღების გამოძებნისა.

ცხოვრებაში ისედაც ხვდება ადამიანი ბევრ გაჭირვებას და ის ვისაც მიზნად ადამიანის ტანჯვა დაუსახავს მკაცრად უნდა დაისაჯოს.

სულმოუთქმელად ვუსმენ. ვიაზრებ მის ლამაზ აზრებს, სიტყვებს და ვერ გამივლია საზღვარი სად მთავრდება ვერა არავიაშვილში მოსამართლე და სად იწყება მზრუნველი დედა და პედაგოგი — პედაგოგი მართალი, მზრუნველი.

მადლობის გრძნობით ვემშვიდობები ამ მეტად საინტერესო ადამიანს, კარგ და კეთილ მოსამართლეს. ვემშვიდობები და თვალწინ წარმოვიდგენ მის მომავალ საქმიანობას. ხვალ ის დაიწყებს ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას, ხალხზე ზრუნვის სილამაზით სავსე დღეს. მან ამ ჩვეულებრივ ხვალინდელში ჩააქსოვა ადამიანის ნიჭის მთელი ბრწყინვალება.

ლ. ჭანტურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობდეთ: ლაგოდეხის რაიონის პროკურორი

ერთი შეხედვით იგი სრულიადაც არა ჰგავს თავისი პროფესიის ადამიანს. სახეზე ალერსიანი ღიმილი უკრთის მუდამ კეთილს, თავმდაბალსა და მორიდებულს. მართალია, ზოგჯერ იგი წარმოთქვამს ხოლმე მკაცრ სიტყვებს, რომელიც სრულიადაც არ ეთანხმებ მის მშვიდ გარეგნობას, მაგრამ... სხვაგვარად მას არც შეუძლია მოიქცეს. როგორ შეიძლება აღუშფოთველად ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც ხელყოფს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც ბღალავს ჩვენი ხალხის წმინდა სახეს.

რამდენიმე ხნის წინათ ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის საწყობში ხანძარი გაჩნდა, ცეცხლი მოეკიდა თამბაქოს ცალებს, მაგრამ იგი უმალვე ჩააქრეს. ქარხანას ზარალი არ მოსვლია.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ რაიონის პროკურორი — ალექსანდრე პარმენის ძე ვაიტაძე, პროკურატურისა და მილიციის მუშაკები.

დაიწყეს ადგილის დათვალიერება. საწყობიდან რვა მეტრის დაშორებით აღმოჩნდა პატარა ნავთიანი ბოთლი, რომელსაც რეცეპტის ნომერი ჰქონდა მიკრული. საქმისათვის სხვა მნიშვნელოვანი არაფერი იყო.

ამ პატარა ბოთლმა ეჭვი აღუძრა პროკურორს. როგორ აღმოჩნდა ნავთიანი ბოთლი შემთხვევის ადგილზე? იქნებ ამ ბოთლში ჩასხმული ნავთით მოახდინა ბოროტმოქმედმა ხანძარი? რით დაიწყოს? რა შეამოწმოს? იგი გაემგზავრა რაიონულ აფთიაქში. ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ბოთლზე აღნიშნული ნომრით ერთი წლის წინ აფთიაქში წამალი დაუმზადეს ვინმე ვ. შ-ძის შვილს.

პროკურორმა დააზუსტა ვ. შ-ძის ვინაობა. იგი თამბაქოს ქარხნის მუშა აღმოჩნდა. გადაწყვიტა მისი გამოძახება. საქმეზე დაკავებული ვ. შ-ძე კატეგორიულად უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს. მაგრამ პროკურორი არ ჩქარობდა. უმჯობესია ეჭვი შეგეპაროს ყველაფერში მანამ, სანამ სულ ცოტაოდენი საბაბიც კი არსებობს ამისათვის. ხოლო საბაბი რომ არ იყოს, საჭიროა შეისწავლო საქმეზე ყველაფერი, რისი შესაძლებლობაც არსებობს, — ფიქრობდა ალ. ვაიტაძე. მან გამოითხოვა ფაბრიკიდან ცნობები და დახასიათება ვ.შ-ძის მიმართ, ესაუბრა მის მეზობლებს, ფაბრიკის მუშებს. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაკითხვაზეა ეჭვმიტანილი. მისი ჩვენებები უკვე ერთმანეთს ეწინააღმდეგება, აშკარა სიყალბე ისმის მის ხმაში.

— თქვენ ამხანაგო პროკურორო, უფრო მეტი გცოდნიათ, ვიდრე მე მეგონა... და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავე ლუღლუღით წარმოსთქვამს თითოეულ სიტყვას, უყვება პროკურორს რაც ჩაიდინა. დანაშაული გაიხსნა. პროკურორის საბრალდებო სიტყვაში ნათლად ჩანდა ამ პიროვნების ბოროტეული ქმედობა, მისი დანაშაულებრივი მიზანი...

აღნიშნული დანაშაულის გახსნისა და დამნაშავე პირის დადგენის საქმეში ინიციატივის გამოჩენისათვის ალ. ვაიტაძეს გამოეცხადა რესპუბლიკის პროკურორის მადლობა.

იყო ასეთი შემთხვევა: ლაგოდეხის რაიონის სოფ. ვარდისუბანში მცხოვრები ვ. მ-ძე გაუპატიურების მცდელობისათვის მიმალვაში იმყოფებოდა. მილიციისა და პროკურატურის მუშაკები გულმოდგინედ ეძებდნენ მის კვალს თვენახევრის განმავლობაში. იგი თურმე ქართლის სოფლებში დათარეშობდა და დროს ღრეობებში ჰკლავდა. თვით დაინტერესდა პროკურორი ამ გარეწარის მოძებნით. რამდენიმე დღე უთვალთვალა მას და საბოლოოდ დააკავა კიდეც დაბა სურამის მიდამოებში. დამნაშავე დიდხანს იკატუნებდა თავს, ცდილობდა თავი დაეღწია პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ... პროკურორის უნარიანად და საქმის ცოდნით წარმართულმა გამოძიებამ გასტეხა დამნაშავის კერპობა.

და რამდენ ასეთ საქმეს გაუვლია ალ. ვაიტაძის ხელში, რომლებიც ერთმანეთს ჰგავდნენ და თან არ ჰგავდნენ. საქმეები, ხალხი ხომ სხვადასხვაა... თითოეულ საქმეს, თითოეულ დამნაშავეს სხვადასხვაგვარი მიდგომა, სხვადასხვაგვარი საზომი სჭირდება. იგი თავის მუშაობაში უარყოფს ერთფეროვნებას, ყოველგვარ შაბლონს ,რაც პროკურორის საშიში მოწინააღმდეგეა.

საქმეზე გამოკვლეული მასალების დასაბუთებულობა, გულმოდგინება თითოეულ საგამომძიებლო საქმიანობის ჩატარებისას, როგორ უმნიშვნელოდაც არ უნდა ჩანდეს საქმე, ფაქტების შეფასებისას სერიოზული მიდგომა, ბრალდებულისა და მოწმეთა ჩვენების დეტალური შემოწმება — ეს მისი მუშაობის სტილია.

ლაგოდეხის რაიონის პროკურორს ყოველდღიური მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოებასთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, სახალხო რაზმელებთან.

— საზოგადოება, ეს ჩვენი დასაყრდენი ძალაა, რომელიც ერთგულ გუშაგად გვიდგას მხარში, — ამბობს პროკურორი, — მათთან კავშირი გვაძლევს საშუალებას სწორად შევაფასოთ ცალკეული ფაქტები. მათთან ერთად ვანზოგადებთ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის საკითხებს, ვარკვევთ მის გამომწვევ პირობებს და ვიმუშავებთ დანაშაულის გამომწვევ მიზეზების აღმოფხვრის გეგმებს.

პროკურატურაში ყოველდღიურად მრავალი წერილი შემოდის. თითოეული შეკითხვა, საჩივარი, განცხადება ზედმიწევნით ყურადღებასა და სათუთ მიდგომას საჭიროებს. მოდიან პროკურორთან ადამიანები თავიანთი დარდითა და ტკივილით და იგიც ხალხის სამსახურშია, მათი კანონიერი უფლებების ქომაგია. ადგილზე ამოწმებს სოციალისტური კანონიერების განხორციელებას კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აქვე გამოდის ლექცია-მოხსენებებითა და საუბრებით იურიდიულ საკითხებზე. რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს ელოდებიან მისგან პროკურატურისა და მილიციის მუშაკები. სასამართლოში საქმის განხილვა იწყება, პროკურორი გამოდის სახელმწიფო ბრალმდებლად...

და იგი ყველგან არის, ყველაფერს ასწრებს. რითი უნდა აიხსნას მისი მუშაობის ხარისხიანობა? შრომისმოყვარეობით? დიახ, უდავოდ შრომისმოყვარეობა არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება და ეს თვისება მას ბავშვობიდანვე თანდაჰყვა. საქონელს მწყემსავდა ონის რაიონის პატარა სოფელ ქვედში, თან სწავლობდა, შემდეგ კომკავშირი... თექვსმეტი წლიდან შრომით საქმიანობას იწყებს მართლმსაჯულების ორგანოებში. ჯერ სსდომის მდივანია ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოში, შემდეგ უფროსი მდივანი. მუშაობს აღმასრულებლად, პროკურატურის გამომძიებლად, ამთავრებს საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალს, 1948-52 წლებში ლაგოდეხის რაიონის პროკურორის თანაშემწეა. 1952 წლიდან პროკურორად ნიშნავენ, ორი წელიწადი ყვარლის პროკურატურაში მუშაობს თანაშემწედ, 1965 წლიდან კი კვლავ ლაგოდეხის რაიონის პროკურორია.

ვათვალიერებთ მის პირად საქმეს:

„გამოეცხადოს მადლობა და დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ პროკურატურისა და სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელით საბჭოთა კანონიერების პროპაგანდისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების ჩაბმისათვის.“

„იურიდიული სემინარის მეცადინეობის კარგად ჩატარებისა და საერთო ზედამხედველობის ხაზით მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარებისათვის, რამაც ხელი შეუწყო რაიონში სოციალისტური კანონირების განმტკიცების საქმეს, გამოეცხადოს მადლობა,“— ხელს აწერს რესპუბლიკის პროკურორი.

„მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვასა და გადაწყვეტის, აგრეთვე პროკურატურაში და ადგილებზე (დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ცენტრიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში) მოსახლეობის მიღების ორგანიზებული მოწესრიგებისათვის გამოეცხადოს მადლობა“, — ხელს აწერს რესპუბლიკის პროკურორი.

მის პირად საქმეში ასეთი მადლობები მრავლად გვხვდება...

ალ. ვაიტაძის საქმიანობა ეს ბრძოლაა ადამიანთა კანონიერი უფლებების ასრულებისათვის, მათი შებღალული ინტერესების დაცვისათვის; ეს ბრძოლა კი ყოველთვის სასიხარულოა და სასარგებლო, რადგანაც იგი წმენდავს საზოგადოებას ნაძირალებისაგან, მუქთახორებისაგან.

შეუძლებელია ჩარჩოებით შემოვფარგლოთ მოუსვენარი და რთული პროფესიის ადამიანის შრომა, მაგრამ ეს უპრეტენზიო ნარკვევი პატარა წარმოდგენას მაინც მოგვცემს ლაგოდეხის რაიონის პროკურორის საქმიანობაზედ.

ლ. ისაკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ინსტიტუტი

ქართველ იურისტთა სტუმარი

მიმდინარე წლის მაისში თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი უნგრელი იურისტი, პროფესორი ტიბორ ხორვატი. მან პროფ. მ. დ. შარგოროდსკის ხელმძღვანელობით დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა სისხლის სამართლის სპეციალობით და ამჟამად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი ესაუბრა პროფ. ხორვატს. მან თქვა: საქართველოს დედაქალაქში ჩემი ჩამოსვლა შემთხვევითი არ არის. ამ ორი-სამი წლის წინათ ლენინგრადში გავიცანი თქვენი სასიქადულო მეცნიერი თინათინ ვასილის ასული წერეთელი. მე კარგად ვიცნობ მის ბრწყინავალე მონოგრაფიას „მიზეზობრივი კავშირი საბჭოთა სისხლის სამართალში“. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ასევე ვლადიმერ მაყაშვილის შრომებმა. ახლაც, მოსკოველ და ლენინგრადელ კოლეგებთან საუბარში მე ვისმენდი, რომ თბილისში არის იურისტთა სკოლა, მეტად საინტერესო და თავისთავადი. მე ვთვლი, რომ ჩემი შემდგომი მუშაობისათვის საჭირო იყო ამ სკოლის წარმომადგენლებთან შეხვედრა, საუბარი მთელ რიგ საკითხებზე. და აი, მე ჩამოვედი ამ თქვენს მართლაც მშვენიერ თბილისში, რომელიც მე, უნგრელ ადამიანს გულწრფელად შემიყვარდა.

ჩვენს ინსტიტუტში, განაგრძობს თავის საუბარს პროფ. ხორვატი, ოცდახუთმეტი მეცნიერთანამშრომელია. ისინი გაერთიანებული არიან ექვს სექტორში: სახელმწიფო სამართლის, თეორიის, საერთაშორისო, სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის სექტორში. სისხლის სამართლის სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიპყრობილია ბოროტეული დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლისაკენ. ამას ჩვენ ვუდგებით კრიმინტალისტიკის, კრიმინალოგიისა და სამართლის ასპექტიდან. მნიშვნელოვან ადგილს უთმობთ შედარებით სამართალმცოდნეობას, სოციალისტური კრიმინალისტიკის საფუძვლების შესწავლას. მჭიდრო კონტაქტები გვაქვს პოლონელ და ფრანგ იურისტებთან.

უნგრეთში ოთხი უმაღლესი იურიდიული სასწავლებელია, რომლებიც განლაგებულია დიდ ქალაქებში: ბუდაპეშტში, დებრეცენში, სეგელსა და პეჩში.

უნგრეთში გამოდის შვიდი იურიდიული ჟურნალი: „სახელმწიფო და სამართალმცოდნეობა“, „აქტა იურიდიკა“ (გერმანულ, რუსულ, ფრანგულ ენებზე), „იურიდიულ მეცნიერებათა მოამბე“, „უნგრული სამართალი“, „შინაგან საქმეთა სამინისტროს მოამბე“, „უნგრული სამართლის მიმოხილვა“ (ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე), „სახელმწიფო და ადმინისტრაცია“.

დამშვიდობებისას მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ქართველ კოლეგებს გულისხმიერი და თბილი მიღებისათვის; სიკეთე და ბედნიერება ვუსურვო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საგამომძიებლო ორგანოების მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე

გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი — მიძღვნილი იმ დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანებისადმი, რომლებიც საგამომძიებლო ორგანოების წინაშე დგას. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: დანაშაულის სწრაფად გაიხსნა, დამნაშავე პირის პასუხისგებაში დროულად მიცემა. გამომძიებლის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, შემოქმედებითი მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს სოციალისტური კანონიერების ფარგლებში და აქტიურად უწყობდეს ხელს კანონიერების დარღვევის მიზეზების გამოვლინებასა და მის აღმოფხვრას. კანონიერების არცერთ დამრღვევს არ უნდა ასცდეს სასჯელი და სათანადო საფუძვლის გარეშე არც ერთი მოქალაქე არ შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა **ე. შევარდნაძემ.**

მოხსენებით — „საგამომძიებლო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გამოვიდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის **მოადგილე გ. თოდრია.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დანაშაულობათა სრული აღმოფხვრისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა აუცილებელი წინაპირობა: მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, კულტურის დონისა და მოქალაქეთა კომუნისტური შეგნების ამაღლება.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა რომ დანაშაულობათა და კანონიერების სხვა დარღვევათა სრული აღკვეთის შესაძლებლობანი, რომლებიც სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობს, თვითდინებით იქცევა რეალობად.

იმისათვის, რომ წარსულის მავნე გადმონაშთები მთლიანად იქნეს ლიკვიდირებული, საჭიროა მედგარი ბრძოლა, რომლის მოწინავე ხაზზე სახელმწიფოს სხვა ორგანოებთან ერთად იმყოფებიან ადმინისტრაციული დაწესებულებები, პირველ რიგში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო, სადაც განსაკუთრებული ყურადღება წინასწარ გამოძიებას ექცევა, საგამომძიებლო მუშაობის სწორი ორგანიზაცია დიდადაა დამოკიდებული ოპერატიულ სამიანობაზე და იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად და ობიექტურად არის გამოძიებული დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები.

სწდს ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭება საშუალებას იძლევა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ — სამძებრო ღონისძიებები დანაშაულობათა და იმ პირთა გამოსავლენად, რომლებმაც ეს დანაშაული ჩადინეს. ეს იძლევა გამოძიების უფრო სწრაფად ჩატარების საშუალებას, რაც თვითეული ჩადენილი დანაშაულის სასამართლოში გარჩევის დაჩქარების წინაპირობაა.

საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო ქვეგანყოფილებებმა მილიციასთან მჭიდრო კავშირით და პროკურატურის ორგანოების აქტიური დახმარებით ჩაატარეს მნიშვნელოვანი მუშაობა გამოძიების და სისხლის სამართლის დანაშაულებათა აღკვეთა — აცილებისათვის. დაუღალავი მუშაობით, მილიციის ორგანოების ოპერატიულ განყოფილებებთან კონტაქტით დროულად იქნა გახსნილი ბევრი საშიში დანაშაული, ხოლო დამნაშავენი თავის დროზე ჯეროვნად დაისაჯნენ.

საგამომძიებლო სამმართველოს ცენტრალურმა აპარატმა დიდი მუშაობა ჩაატარა. გახსნილ იქნა სისხლის სამართლის სერიოზული და რთული საქმეები.

მაგალითად, მანგოშვილის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-საგამომძიებლო მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად სხვადასხვა ქალაქში გახსნილ იქნა ქურდობის მრავალი საქმე. ამოღებულია დიდძალი თანხა, ანდა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ ბერიანიძის, პაატაშვილისა და სხვათა მიმართ. საქართველოს სსრ სწდს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომელთა აქტიური დახმარებით, დამტკიცებულია, რომ მძარცველთა ამ ჯგუფმა მოახდინა არა ერთი ბანდიტური თავდასხმა. დამნაშავეებმა მიიღეს დამსახურებული სასჯელი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის ანალიზი საფუძველს იძლევა გავაკეთოთ დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნა, რომ დამკვიდრდა შედარებით მტკიცე კავშირი საზოგადოებრიობასთან, გაუმჯობესდა საგამომძიებლო ქვეგანყოფილებებსა და მოკვლევის ორგანოებს შორის ურთიერთმოქმედება, გახსნილ იქნა დანაშაულობანი. აქტივიზირებული იყო მუშაობა დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და პიროვნების გამოსავლენად.

ამასთან ერთად, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო ორგანოების აპარატის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დაუდევრობას: ჯერ კიდევ დაბალია გამოძიების ხარისხი, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას, მოქალაქეთა დაკვირვებისას, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს ზოგჯერ უხეშად ირღვევა კანონიერება.

საგამომძიებლო აპარატის მუშაობა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტისას, აგებული უნდა იყოს კანონის მტკიცე საფუძველზე, დაუსაბუთებელი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა იწვევს კანონიერების უხეშად დარღვევას, პირველ რიგში მოქალაქის სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუმსახურებლად მიცემას.

ამავე დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა მკაცრად სჯის იმ მუშაკებს, რომლებიც უსაფუძვლოდ უარს აცხადებენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, მისწრაფება აქვთ დანაშაულის დამალვისაკენ. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ სისხლის სამართლის აღძრულ საქმეებს ხშირად ანალიზი ზერელედ უკეთდება.

ამაზე მეტყველებს ჯერ კიდევ გარკვეული რაოდენობის საქმეები, რომლებიც შეწყდა დანაშაულობათა ნიშნების უქონლობის გამო. ამასთან დაუსაბუთებელ საქმეთა დიდი რაოდენობა მოდის მილიციის ორგანოებზე, როშლებსაც ეჩქარებათ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრა, რათა სასწრაფოდ აჩვენონ მისი გახსნა.

მაგალითად, 3 მარტს მილიციის გარდაბნის რაიგანყოფილების სამგორის ქვეგანყოფილების სოცსაკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ოპერრწმუნებულის, მილიციის კაპიტნის ჭეიშვილის მიერ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე სოღანლუღის სავაჭრო ფარდულის გამყიდველის ალიევის მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული საქმე აღძრული იქნა მილიციის ქვეგანყოფილებაში არსებული მასალების შემოწმების გარეშე. გაუგებარია, რამ გამოიწვია ალიევისათვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დღესვე ბრალდების წაყენება? ალბათ, სურვილით.... ჩქარა გაეხსნათ „დანაშაული“, რომელიც არ მომხდარა. რატომ აჩქარდნენ? ალიევის საქმე ბოლოს ძიებით შეწყდა ამგვარად, მილიციას აქვს „საქმის გახსნა“, ხოლო საგამომძიებლო სამმართველოს — წუნი.

გასაგებია, თუ რატომ ხდება ასე. რაც უფრო მეტია აღძრული ასეთი საქმეები, მით უფრო მაღალია — გახსნის „პროცენტი“, რაც უფრო მაღალია ციფრები, მით უფრო უკეთესია მუშაობის“ მაჩვენებლები.

მომხსენებელმა აღნიშნა: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო ქვედანაყოფების მუშაობაში ერთ-ერთი ძირითადი ნაკლოვანებაა გამოძიების ჯერ კიდევ დაბალი ხარისხი. არც თუ ისე იშვიათად საქმე იხილება ზერელედ, ირღვევა საპროცესო კანონის მოთხოვნები, რის შედეგადაც საქმე ხელახალი გამოძიებისათვის ბრუნდება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სწდ სამმართველოს უფროს გამომძიებელ გვარამაძეს, 1966 წლის იანვარს არასათანადო, უხარისხო გამოძიების გამო სისხლის სამართლის ოთხ საქმე დაუბრუნდა, რომლებიც ჯერ კიდევ 1965 წელს იყო მის მიერ აღძრული.

საგამომძიებლო დარგის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ გამოძიებისათვის ხელახლა დაბრუნებული სისხლის სამართლის საქმე წუნდებულად ითვლება.

სისხლის სამართლის თვითეული საქმის გამოძიება უაზრობა იქნება, თუ ყოველმხრივ, მთლიანად და ობიექტურად არ იქნა ივი განხილული. აქ ყველაფერი დამოკიდებულია გამომძიებელზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, როგორ აგროვებს და აფასებს მტკიცებებს და კვალიფიკაციას უკეთებს დანაშაულს.

დანაშაულის კვალიფიკაცია, ისევე როგორც საგამომძიებლო ორგანოების სხვა მუშაობა, მოითხოვს განსაზღვრულ პირობებს და წინამძღვრებს იმისათვის, რომ სწორად დავკვალიფიცირდეთ დანაშაულებანი, საკმაო არაა გვქონდეს კანონის ნორმები; კანონის გამოყენება, არაა ავტომატური პროცესი, ის შემოქმედებითი მოღვაწეობაა.

— კანონები რომ თვითმოქმედებდნენ, — წერდა კ. მარქსი, — მაშინ სასამართლოები ზედმეტნი იქნებოდნენ. კანონები უნდა ვიცოდეთ და სისტემატურად უნდა ვსწავლობდეთ მათ.

ეს მარტო, დღევანდელი დღის მოთხოვნები როდია. სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე პარტია არაერთხელ აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

ვ. ი. ლენინმა დეკრეტში, რომელიც „ვოლოკიტასთან“ ბრძოლას შეეხებოდა, ყველა თანამდებობის პირი და მოქალაქე გააფრთხილა, რომ დაისჯებიან როგორც კანონის უცოდინარობის, ისევე კანონის გამოუყენებლობის გამო. ჯერ კიდევ ცუდად დგას ვოლოკიტის ფაქტების, გამოძიების ვადების გაჭიანურების და კანონის სხვა დამახინჯებათა აღკვეთის საქმე, რაც სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ეს კი იწვევს დანაშაულობასთან ბრძოლის შესუსტებას, დამნაშავეთა დაფარვას და სახელს უტეხს საგამომძიებლო ორგანოებს.

მაგალითად, წყალტუბოს რაიონის საგამომძიებლო ჯგუფის უფროს გამომძიებელს დეისაძეს ავტოავარიის შედეგად, მოქალაქე თუთბერიძეზე მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანების მასალები სამი თვის განმავლობაში უმოქმედოდ ჰქონდა. ამის შემდეგ ის გადაცემულ იქნა გამომძიებელ ბარბაქაძეზე. ამ უკანასკნელმაც გააჭიანურა, უხარისხოდ წარმართა გამოძიება.

ასეთი უპასუხისმგებლობის შედეგად გამოძიება 6 თვეს გაგრძელდა და საბოლოო ჯამში საქმემ დაკარგა სასამართლოში განხილვის პერსპექტივა.

მოხსენებაში გამოძიებისა და მოკვლევის მუშაკთა ყურადღება გამახვილებული იყო სოციალისტური კანონიერების უმკაცრეს დაცვაზე დამნაშავე პირების მიმართ აღკვეთის ზომების შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას. მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული მილიციის მუშაკები და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გამომძიებლები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ, ზერელედ ეკიდებიან ამ საქმეს.

თვითეული გამომძიებელი და ოპერატიული მუშაკი მოწოდებულია საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით იზრუნოს ყოველ ადამიანზე, რომლის საქციელი ქმნის დანაშაულის გზაზე დადგომის რეალურ საშიშროებას. დროზე უნდა ავიცილოთ მოსალოდნელი დანაშაული. ამ ამოცანის გადაჭრას გამომძიებლები აღწევენ იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლენის გზით, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე ხსენებული პირობებისა და მიზეზების აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გატარებით.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რომელიც საგამომძიებლო აპარატის მუშაკების წინაშე დგას, წარმოადგენს დანაშაულებრივ გამოვლინებათა აღკვეთა-აცილება, ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც აღმოფხვრიან დანაშაულებათა წარმომშობ პირობებს.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გამომძიებლების მიერ სხვადასხვა წარმოება — დაწესებულებებს და ორგანიზაციებზე გაგზავნილ იქნა დიდი რაოდენობით წარდგენება, მაგრამ ისინი ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებენ და ამიტომ მოსალოდნელი დანაშაულის აცილების საქმეში ვერავითარ როლს ვერ ასრულებენ.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მოსალოდნელ დანაშაულობათა აცილების მიზნით მუშაობა ქარელის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, აბაშის, ამბროლაურის და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონებში, რაც ყოვლად დაუშვებელია. მომავალში ყოველი გამომძიებლის, საგამომძიებლო ქვეგანყოფილების, და საერთოდ სწდს მუშაკთა მუშაობის სწორი შეფასება უნდა გამომდინარეობდეს დანაშაულობათა აღკვეთისა და აცილების მიმართულებით მათი მუშაობის მთლიანი ანალიზიდან. და ეს ასეც იქნება.

სწდ სამინისტროს ორგანოების მუშაკები კანონიერების შემდგომი განმტკიცების მიმართებით თავიანთ მუშაობაში უნდა გამომდინარეობდნენ საპროგრამო მოთხოვნებიდან. მთავარია დანაშაულის აცილება, აღმზრდელობითი მუშაობა.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დანაშაულის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებების ჩაუტარებლობა განიხილება როგორც კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევა.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, — თქვა მომხსენებელმა, — კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. კადრებთან მუშაობა მეტად საგულისმო საქმეა, ამ მიმართულებით კი ცოტა როდი კეთდება. ამჟამად გამომძიებელთა უდიდეს უმრავლესობას უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს.

საგამომძიებლო სამუშაოზე ყოველწლიურად მოდიან ახალგაზრდა უმაღლესი განათლების მქონე, თეორიულად მომზადებული სპეციალისტები, რომლებსაც გამოცდილი გამომძიებლები წარმატებით გადასცემენ პრაქტიკულ ცოდნას. გამომძიებელთა შორის აღნიშვნის ღირსნი არიან საგამომძიებლო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი შურღაია, თბილისის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გამომძიებელი ჯაოშვილი, გორის რაიონის საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსი შატბერაშვილი და სხვები.

მაგრამ, სწდს ორგანოებში გამოგზავნილი ზოგიერთი ახალგაზრდა იურისტი თავს ვერ ართმევს სამუშაოს, მარტო იურისტის დიპლომი როდია საკმარისი. ორგანოებში მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვს დიდ სურვილს, მონდომებას, საზრიანობას და მოხერხებას.

ჩვენი გამომძიებლების მუშაობა მრავალმხრივია. მას ახასიათებს ბევრი თავისებურება და სიძნელე, რომელიც მოითხოვენ, რომ მათ ჰქონდეთ პროფესიული ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება, მაღალი პარტიული პრინციპულობა.

ამიტომ, საჭიროა განსაკუთრებით განვიხილოთ საგამომძიებლო მუშაკთა კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხი.

ცუდი არ იქნება, თუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები მესამე კურსიდანვე მეცადინეობის თავისუფალ დროს შეუდგებიან საგამომძიებლო მუშაობას საზოგადოებრივ საწყისებზე. ამით განხორციელდება ურთიერთკავშირი სტუდენტთა თეორიულ მომზადებასა და მათ მომავალ პრაქტიკულ საქმიანობას შორის.

შემდეგ, კარგი იქნება თუ აზერბაიჯანის სსრ პროკურატურის გამოცდილების საფუძველზე სწდს გამომძიებლებსა და რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებს შორის შევქმნით კვალიფიკაციის ასამაღლებლად ერთობლივ სემინარებს. ეს უეჭველად დადებით როლს შეასრულებს მათი მუშაობის უკეთ მოწყობაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს საგამომძიებლო აპარატის საქმიანობაში, ეს ეხება იმ მუშაკთა საქმიანობას, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, საგამომძიებლო დარგის მუშაკთა შორის არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის გარემოება, რომ დროულად არ არის აღკვეთილი ზოგიერთი თანამშრომლის მიერ ამორალური საქციელის ჩადენის შემთხვევა. ვხედებით ისეთ ფაქტებს, როცა გამომძიებლები, მოწოდებული არიან რა შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ დანაშაულობათა ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ზოგიერთ შემთხვევაში ღალატობენ რა სამსახურებრივ მოვალეობას, თვითონ არღვევენ მართლწესრიგს, სჩადიან დანაშაულს, მაგალითად, საგამომძიებლო სამმართველოს მეორე განყოფილების ყოფილი გამომძიებელი ხოშტარია მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და გასამართლეს.

წითელწყაროს რაიონის საგამომძიებლო ჯგუფის გამომძიებელი ჯამასპაშვილი თანამდებობიდან გათავისუფლებულია და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

გეგეჭკორის რაიონის საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი გამომძიებელი ვერულაშვილი გათავისუფლებული და დათხოვნილია ორგანოდან.

აი კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი, რაც გამოძიების მიმართ უკონტროლობის შედეგია. წყალტუბოს საგამომძიებლო ჯგუფის უფროსმა გამომძიებელმა დეისაძემ დაჰკარგა მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, გამოძიების გარეშე დატოვა წარმოებაში მიღებული რამდენიმე საქმე, რომლებიც აღძრულ იქნა 1963-1965 წლებში. დეისაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან და მის პასუხისგებაში მისაცემად წარმოებს გამოძიება.

თუ სადამდე მივყევართ უკონტროლობას, ამას მოწმობს თბილისის საგამომძიებლო განყოფილების მუშაობის ამასწინანდელი შემოწმება. აქ გამოვლინებულ იქნა გამოძიების უხარისხო წარმოების, აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა უკანონო შეწყვეტის, გაჭიანურებისა და კანონიერების სხვა დარღვევები. უფრო მეტიც, იმ მიზნით, რომ განყოფილების მაჩვენებლები მაღლა აეწია, ზოგიერთი გამომძიებელი მიმართავდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროში წარსადგენად სტატისტიკური მონაცემების შელამაზებასა და თვალთმაქცობას. სწდ სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ეს საკითხი, მისცა სათანადო შეფასება შექმნილ მდგომარეობასა და დაძნაშავეები დამსახურებულად დაისაჯნენ.

დასასრულს მომხსენებელმა თქვა, რომ გამომძიებლისა და მოკვლევის მხრივ, კანონიერების მცირედი დარღვევაც კი უნდა მივიჩნიოთ როგორც საგანგებო შემთხვევა. ერთი თანამშრომლის მოქმედებიდან ზოგჯერ მთელ კოლექტივზე გვექნება წარმოდგენა. რაც შეეხებათ ჩვენი სამინისტროს საგამომძიებლო აპარატის თანამშრომლებს, მათ უმრავლესობას ახასიათებს კრისტალური სიწმინდე, მაღალი მორალური სიმტკიცე და მუშაობის კულტურა.

ტრიბუნაზეა აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილების უფროსი **გ. შავგულიძე.**

— ჩვენს რესპუბლიკაში, — თქვა მან — საგამომძიებლო აპარატის შექმნამ დადებითი გავლენა მოახდინა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე, კანონმდებლობის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებაზე, გააფართოვა საბჭოთა მართლმსაჯულობის დემოკრატიული საწყისები. მიუხედავად ამისა, საგამომძიებლო აპარატს ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნია, როგორც ეს კონსტატირებულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებებში.

შარშან ჩვენმა კოლექტივმა, რომელიც 20 კაცს ითვლის, აწარმოა სისხლის სამართლის ბევრი საქმე, ადგილი ჰქონდა გამოძიებათა გაჭიანურებას, დამატებით ძიებისათვის საქმეების დაბრუნებას. ძიებით შეწყვეტილ იქნა სისხლის სამართლის არაერთი საქმე. ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტები წინა წელთან შედარებით შემცირდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დაფნის გვირგვინის ღირსნი ვართ. თვითეული დანაშაულის გახსნა ჩვენი ვალია. გაუხსნელი დანაშაული უნდა შევაფასოთ როგორც მილიციისა და საგამომძიებლო ორგანოების არაოპერატიული, არაკვალიფიციური მუშაობის შედეგი. აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ შემოიღო საუკეთესო გამომძიებელთა წახალისება, მათი გამოცდილების განზოგადება, ცხოვრებაში დანერგვა, ძიების გაჭიანურებისა და არაოპერატიული მუშაობისათვის ჩვენ ვსჯით მუშაკებს.

აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილებაში, სოხუმის ტერიტორიაზე შემდგარ საქმეთა განსახილველად შექმნილია მოწინავე გამომძიებელთა ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს სოხუმის მილიციის საქალაქო განყოფილების ოპერატიულ მუშაკებთან ურთიერთმოქმედების გაუმჯობესებას სოხუმის საგამომძიებლო ქვეგანყოფილების და პროკურატურის მიერ უფრო ქმედითი კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას.

შარშანდელი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აღძრულ საქმეთა გამოძიებაში, საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს იმ გამომძიებლებმა, რომლებსაც მტკიცე კავშირი აქვს ოპერატიულ მუშაკებთან, იყენებენ ფართო საზოგადოებრიობას. ამ მხრივ ქების ღირსია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გაგრის რაიონის საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი გამომძიებელი, კაპიტანი მებონია, რომელსაც შარშან აღძრული საქმეებიდან დამატებით გამოძიებისათვის მხოლოდ ერთი საქმე დაუბრუნდა.

ბოროტმოქმედებთან სასახელოდ იბრძვიან სამინისტროს ოპერატიული მუშაკები უფროსი ლეიტენანტი პლევკო, ოპერრწმუნებული გოფრინკელი. მათ შეერთებული ძალით გაანადგურეს პაჭკორიასა და დოდუნაძის შეიარაღებული ბანდა, რომელიც წლების მანძილზე, სოხუმის ტერიტორიაზე დათარეშობდა.

სიტყვას ამბობს ქუთაისის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი **დ. ლაითაძე.** კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, — თქვა მან — მოითხოვენ აღვზარდოთ ადამიანები კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით, გამოვუმუშავოთ მათ კომუნისტური მსოფლმხედველობა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება: მაგრამ, სამწუხაროდ, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაშიც გვხვდებიან წარსულის მავნე გადმონაშთების მატარებელი ადამიანები. ისინი უხეშად არღვევენ საბჭოთა კანონიერებას, პარტია მოგვწოდებს მართლმსაჯულების მრისხანე მახვილი ჩავცეთ ამ ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს.

შარშან ქუთაისის საგამომძიებლო ქვეგანყოფილებაში სისხლის სამართლის ბევრი საქმე იქნა გარჩეული, წარმოებით მოისპო, 35 საქმე, მათ შორის რამდენიმე საქმე თავდებობით კოლექტივს გადაეცა.

გასულ წელს დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა და ვადის დარღვევით დამთავრდა ბევრი საქმე. გვქონდა ძიებით შეწყვეტილ საქმეთა აღდგენის შემთხვევებიც. მართალია, ქუთაისში დანაშაულობათა რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ გახშირდა ავტოსაგზაო შემთხვევებისა და ხულიგნობის ფაქტები.

თათრბირზე საინტერესო სიტყვა წარმოთქვა სწდ საკავშირო სამეცნიერო — საკვლევი ინსტიტუტის მე-6 განყოფილების უფროსმა **ვ. გუსევამ,** მრავალრიცხოვან აუდიტორიას მან მოუთხრო დანაშაულებათა გახსნის ახალ მეთოდებსა და საშუალებებზე, კრიმინალისტიკის დარგში მოპოვებულ უახლეს მიღწევებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას საგამომძიებლო ორგანოების მუშაკთა წინაშე ახალი მეცნიერული გამოკვლევების შუქზე.

1965 წელს, — თქვა თავის გამოსვლაში თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსმა გამომძიებელმა **გ. მარშანიამ,** ქვეგანყოფილების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეებიდან ბევრი გამოძიების პროცესშივე გაიხსნა და დამნაშავეები დაისაჯნენ. მინდა მოვიყვანო გამომძიებლის გამჭრიახობის მაგალითი, შარშან ვაჟა-ფშაველას სახელობის პროსპექტზე მოთავსებული სამშენებლო სამმართველოს №7 საწყობი სამჯერ გაქურდეს, საიდანაც ათასობით მანეთის ღირებულების სხვადასხვა საქონელი გაიტაცეს. უფროსმა გამომძიებელმა ლეკიშვილმა მოფიქრებული ღონისძიებების გატარების შედეგად დაადგინა, რომ დასახელებული ობიექტი ერთიდაიგივე პირის, ვინმე ტიბილოვის მიერ იყო გაქურდული.

უფრო მეტიც: შარშან, სექტემბერში წარმოებაში გვქონდა ვინმე პოღოსოვის სისხლის სამართლის საქმე. მას ბრალად ედებოდა ბინის გაქურდვა. მილიციის ოპერმუშაკებთან კონტაქტით და საგამომძიებლო ღონისძიებების დროული გატარებით, პოღოსოვი დანაშაულში გამოტყდა და დამატებით ოთხი სხვა ბინის გაქურდვაც აღიარა, მანვე დაასახელა თანამონაწილენი.

— ჩვენს მუშაობაში — განაგრძობს გ. მარშანია, — ნაკლოვანებები ბევრია, ძიების დროს გამომძიებელი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ არც ერთი დანაშაული გაუხსნელი და დაუმთავრებელი არ დარჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მტკიცე კონტაქტი უნდა ჰქონდეს დამყარებული ოპერატიულ მუშაკებთან. ამ მხრივ კი შარშანდელი მუშაობა არასახარბიელოა. გამოძიების პროცესში ჩვენმა ქვეგანყოფილების გამომძიებლებმა გაუხსნელობის მოტივით სისხლის სამართლის არაერთი საქმე შეაჩერეს.

მილიციის განყოფილების ოპერატიული მუშაკები, იმის მაგივრად, რომ სწორი მიმართულებით ემუშავათ, გაეხსნათ საქმეები, დანაშაულებრივ გზას დაადგნენ და შეჩერებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ზემდგომ ორგანოებში „გახსნის“ ყალბი ბარათები გააგზავნეს.

— დღევანდელი თათბირი — ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ბ. ფურცხვანიძე**, — საქმიან ვითარებაში ტარდება. საგამომძიებლო საქმიანობის უკეთ მოწყობა, ყველა არსებული საშუალების გამოყენება დანაშაულობასთან ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. იმისათვის, რომ ბოროტმოქმედის ხერხები ამოვიცნოთ, დამნაშავეობის გზები დავადგინოთ, საჭიროა გამომძიებელი შეიარაღებული იყოს მოწინავე ცოდნა-გამოცდილებით.

საგამომძიებლო საქმის სპეციალისტებს რესპუბლიკაში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ამზადებს. ახლადდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს უჭირთ დაკისრებული საქმის შესრულება, კერძოდ კი ძიების სწორად ჩატარება. რა დასამალია, რომ ხშირად იურიდიული ფაკულტეტის დიპლომებს ნაკლებად დაინტერესებული ახალგაზრდები იღებენ. იურიდიულ ფაკულტეტს უნდა ამთავრებდეს მრავალმხრივ განვითარებული და თავისი საქმით დიდად დაინტერესებული ახალგაზრდა. კარგი იქნება, თუ მისაღები გამოცდების საერთო წესში, ამ მიმართულებით ზოგიერთი ცვლილება გატარდება.

საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში აბითურიენტთა მიღების, აღზრდისა და სწდს ორგანოებში კადრების შერჩევის შემდგომი გაუმჯობესების გზით აღმოვფხვრათ არაკეთილსინდისიერ პირთა მიერ გამორჩენის მიზნით დიპლომისა და თანამდებობის გამოყენების ყველა საშუალება.

საქართველოს სსრ სწდ სამინისტროს საგამომძიებლო აპარატის მუშაკთა თათბირი ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავს, — ამბობს აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე **მ. ცინცაძილაძე.**

მომხსენებელმა საგამომძიებლო აპარატის მუშაობის შედეგების ანალიზისას აღნიშნა მის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები, რაც უშუალოდ ჩვენც, აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილების მუშაკებსაც გვეხება.

ჩვენი სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილების შტატი 16 ერთეულით განისაზღვრება, იგი დაკომპლექტებულია საქმის მცოდნე, უნარიანი მუშაკებით, მათგან 14-ს უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს.

შარშან წარმოებაში გვქონდა სისხლის სამართლის მრავალი საქმე, რომელთაგან ნახევარზე მეტი გამოძიებით დამთავრდა, ბევრი კი წარმოებით შეწყდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლოში წარმართულ საქმეებზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, პატიმრობიდან განთავისუფლებას ადგილი არ ჰქონია. ეს კი განაპირობა გამომძიების ხარისხისა და კულტურის ამაღლებამ.

თათბირზე თავიანთი მუშაობის მდგომარეობასა და მომავალ ამოცანებზე საინტერესოდ ილაპარაკეს გორის რაიონის საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსმა **ვ. შატბერაშვილმა**, სამტრედიის რაიონის საგამომძიებლო ჯგუფის გამომძიებელმა **მ. ანიკიძემ** და სხვებმა.

საინტერესო სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ **ვ. პრავდინმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ჭაჯაიამ**. მათ ილაპარაკეს გამომძიებელთა ამოცანებზე, კერძოდ კი საგამომძიებლო პირველადი დოკუმენტების შექმნა-გაფორმებაზე, მომხდარი დანაშაულის ადგილის დათვალიერებაზე, მის მნიშვნელობასა და საერთოდ გამოძიების ობიექტურობაზე, გამომძიებელთა ჩეკისტური კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სწდს საგამომძიებლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ **ზ. რატიანმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ **მ. ლომიძემ**, საქართველოს სსრ სწდ მინისტრის მოადგილემ **ვ. შადურმა**, საქართველოს სსრ სწდ სამინისტროს კოლეგიის წევრებმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სწდ მინისტრმა **ე. შევარდნაძემ**. თავის სიტყვაში მინისტრმა დასახა რესპუბლიკაში საგამომძიებლო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებიდან გამომდინარეობს.

გაზ. „მებრძოლი გუშაგი“, 1966 წ. 10 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო განხილვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის საჯარო სხდომაზე განხილულ იქნა დოც. ე. ნეიძის წიგნი „Сущность и методы регулирования дисциплины труда в СССР“.

მოხსენებით გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. წერეთელი.**

წიგნში — აღნიშნა მომხსენებელმა — განხილულია სოციალისტური შრომის დისციპლინის სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელოვანი საკითხები, დახასიათებულია საზოგადოებრივი შრომის დისციპლინის სამართლებრივი მოწესრიგება წინა ეკონომიურ ფორმაციებში. ნაშრომში მოცემულია ბურჟუაზიული იურისპრუდენციის წარმომადგენელთა შეხედულებების კრიტიკა.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი განიხილავს სოციალისტური შრომის დისციპლინის ცნების განსაზღვრის თაობაზე ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ სოციალისტური შრომის დისციპლინის ცნებაში მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნისტური მორალისა და საბჭოთა სამართლის ნორმათა მოთხოვნები.

განიხილავს რა სოციალისტური შრომის დისციპლინის ცნების შემცველ დებულებებს, ავტორი დაასკვნის, რომ სოციალისტური შრომის დისციპლინა უნდა განისაზღვროს, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს სამართლებრივი აქტებითა და კომუნისტური მორალის ნორმებით რეგულირებული წესი.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია შრომის დისციპლინისა და შრომის ორგანიზაციის ძირითადი საკითხები საბჭოთა კავშირში, ყურადღება გამახვილებულია კადრების სწორ შერჩევასა და განაწილებაზე.

ნაშრომში მოტანილია დამაჯერებელი მასალა იმის შესახებ, თუ რა დიდ ზიანს აყენებს სოციალისტურ სახელმწიფოს მატერიალურ ფასეულობათა იმ პირებისათვის ხელში ჩაგდება, რომელნიც წინათ ამ ქონების მითვისება-გატაცებაში, ქურდობაში თუ სპეკულაციაში იყვნენ მხილებულნი.

ტექნოლოგიური დისციპლინის ზუსტი დაცვა, რაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს საწარმოო პროცესის ყველა ფაქტორზე, წარმოადგენს არა მარტო შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთ არსებით მაჩვენებელს, არამედ ემთხვევა შრომის დისციპლინის საერთო მოთხოვნებს სოციალისტურ საწარმოში. ნაშრომის ავტორი ჩამოთვლის ისეთ საკითხებს როგორიცაა: სამუშაო ადგილის ორგანიზაცია, სამუშაო დროის დაგეგმვა, დაოსტატების ამაღლების უზრუნველყოფა, მომიჯნავე პროფესიების დაუფლება, ბრძოლა წუნსა და მოცდენებთან და ა. შ.

ნაშრომში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის ამაღლების საქმეში მუდმივ-მოქმედ საწარმოო თათბირების როლს. ისინი წარმოადგენენ სოციალისტურ წარმოების მმართველობაში და სამეურნეო მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფორმას. ავტორი ვრცლად აშუქებს მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის ისტორიას.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ როგორ გაფართოვდა პროფესიული კავშირების როლი წარმოებაში, რასაც დასაბამი მიეცა პარტიის 1957 წლის დეკემბრის პლენუმის შემდეგ.

შრომაში სავსებით სწორად არის ნათქვამი, რომ საწარმოო თათბირები წყვეტენ საკვანძო საკითხებს შრომის ორგანიზაციის და დისციპლინის შემდგომი მოწესრიგების სფეროში (მუშაკთა დაწინაურება, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, მოცდენათა და გაცდენათა ლიკვიდაცია, სამუშაო დღის შემჭიდროება და სხვა). აღსანიშნავია, რომ შრომის ამ ნაწილში ავტორი განაზოგადებს ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს საწარმოო თათბირების სამართლებრივი ბუნების შესახებ და კრიტიკულად განიხილავს მათ.

შრომის მომდევნო თავი ეხება დარწმუნებასა და იძულებას, რომლებიც წარმოადგენენ (განსაკუთრებით პირველი) წამყვანსა და გადამწყვეტი მნიშვნელობის მეთოდებს სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

სოციალისტური შრომის დისციპლინის საფუძვლებში ავტორი მიუთითებს დისციპლინურ ზემოქმედებასაც.

განსაკუთრებული ადგილი შრომის დისციპლინის რეგულირების სისტემაში უკავია მასიურ-აღმზრდელობითი სახის აქტებს. ავტორი ბოლო თავში განიხილავს რა შრომის დისციპლინის რეგულირების მეთოდებს, სქემატურად, ორიოდე სიტყვით მიუთითებს მასიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთ ფორმაზე, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ხორციელდება საზოგადოებრივი ზემოქმედებით. ავტორს აქ ვრცლად უნდა გაეშუქებინა ამხანაგური სასამართლოების როლი და დანიშნულება შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

დოც. ი. მრევლიშვილმა აღნიშნა, რომ შრომის იდეურ-პოლიტიკური დონე დამაკმაყოფილებელია. მასში დიდი რაოდენობით გამოყენებულია სპეციალური ლიტერატურა, ნორმატიული მასალა ძალიან დეტალურად და შემოქმედებითაა შესწავლილი, გაანალიზებულია პრაქტიკული მასალა, ამასთან ერთად საჭიროა მოცემულიყო ზოგიერთი თეორიული კონცეფციების კრიტიკა.

დოც. ნ. ლომსაძე აღნიშნავს, რომ ნაშრომში განხილულია შრომის დისციპლინის რეგულირების ინსტიტუტი სსრ კავშირში. საგნის ღრმა ცოდნით და საქმისადმი სიყვარულით დაუმუშავებია ავტორს ყველა საკითხი. ნაშრომში გამოკვეთილადაა მოცემული მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების როლი და მნიშვნელობა, როგორც დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება. ნაშრომი უფრო სრულყოფილი იქნებოდა, თუ ერთ-ერთი თავი დაეთმობოდა შრომის დისციპლინის რეგულირებისა და მეთოდების საკითხებს სოფლის მეურნეობაში (კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში). ჩვენის აზრით, აღნიშნავს დოც. ნ. ლომსაძე კარგი იქნება თუ აღნიშნული ნაშრომი ქართულ ენაზე გამოიცემა.

ლ. ადეიშვილი აღნიშნავს, რომ დოც. ე. ნეიძის შრომაში განხილულია შრომის სამართლის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა. მასში მრავალი საკითხი განხილულია სხვა მეცნიერების, კერძოდ, ეკონომიური მეცნიერების მონაცემების საფუძველზე. წიგნის ხაკლია ის, რომ შრომის დისციპლინის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი მასში არაა განხილული. მიუხედავად ამისა იგი მნიშვნელოვანი ნაშრომია საბჭოთა შრომის სამართლის მეცნიერებაში.

პროფ. ს. ჯორბენაძე შეუერთდა ნაშრომის დადებით შეფასებას. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა დოც. ე. ნეიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრეებს ნაშრომის მიმართ გამოთქმული შენიშვნებისთვის.

ლ. გელუკაშვილი

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას

თქვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა ჩემი სტატია „მუშაკის სამუშაოდან გადაყენება და დათხოვნა“. 46-ე გვერდზე პირველ აბზაცში, სადაც ჩამოთვლილია თანამდებობიდან გადაყენების შედეგები მითითებულია, რომ: „თუ მუშაკი გადაყენებულია ადმინისტრაციის ინიციატივით, და მის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი (ან საქმე წარმოებით მოისპო) ადმინისტრაცია ვალდებულია დაუშვას იგი შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ძირითად მოვალეობათა შესასრულებლად და მისცეს ხელფასი გადაყენების მთელი დროის განმავლობაში, თუნდაც მუშაკი სამუშაოს დაუბრუნდეს მისი გადაყენებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ“.

ამ დებულებამ გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, გთხოვთ დაბეჭდოთ ასეთი დამატება:

ეს მოთხოვნა ემყარება შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლის 21 მაისის დადგენილებას, რომელიც არაა გაუქმებული. ამასთანავე ამ დადგენილებას თავის მხრივ არ შეესაბამება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-18-ე მუხლის მითითება, რომლის მიხედვითაც ანაზღაურება ამ შემთხვევაში ორი თვის ხელფასს არ უნდა აღემატებოდეს.

რედაქციისაგან: ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას საჭიროდ მიაჩნია დაასრულოს დოც. ე. ნეიძის ეს წერილი კიდევ ერთი განმარტებით: პრაქტიკაში ეს საკითხი წყდება სსრ კავშირის ზემოთ მითითებული დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ქალაქებში, სოხუმსა და ბათუმში გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გამსვლელი გაფართოებული სხდომა, როომელსაც დაესწრნენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოების ოპერატიული მუშაკები.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის საოლქო კომიტეტის სავაჭრო, საფინანსო და ადმისიტრაციული ორგანოების განყოფილებითა გამგეებმა თ. ქ ე ც ბ ა მ, გ. მ ე ს ხ ი ძ ე მ, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და პროფკავშირების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

კოლეგიამ მოისმინა აფხაზეთის ასსრ პროკურორის მ. ა რ გ უ ნ ი ს, აჭარის ასსრ პროკურორის ჯ. ბ ა ჯ ე ლ ი ძ ი ს ანგარიში დამნაშავეობისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ პროკურატურის ორგანოების მიერ 1965 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელიც საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

ამასთან ერთად აღინიშნა ნაკლოვანებანი პროკურატურის ორგანოების მუშაობაში. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა უსაფუძვლოდ დაკავების, პატიმრობის, პასუხისგებაში მიცემის, სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრისა და გამოძიების გაჭიანურების ფაქტები.

არასაკმაო ზედამხედველობაა სასამართლოებში სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე. განსაკუთრებით საშიში დანაშაულისა და სამოქალაქო კატეგორიის საქმეთა ნაწილი განხილულია პროკურორის მონაწილეობის გარეშე.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სასამართლოს გამსვლელი სესიის, საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობით საქმეთა განხილვის ორგანიზაციას.

ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში ირღვევა შრომის კანონმდებლობა, ამ ნაკლოვანებას დროულად რეაგირებას არ უკეთებენ ქალაქის და რაიონების პროკურორები.

კოლეგიის სხდომებზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე გ. ბ ი წ ა ძ ე.

განხილულ საკითხებზე დასახული იქნა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საპროკურორო მუშაობის ყველა დარგის მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲡ

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ განიხილა თელავის და ჩხოროწყუს რაიონის პროკურორების ი. მ ა ჭ ა რ ა ძ ი ს და შ. შ ე ნ გ ე ლ ი ა ს ანგარიში საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის და მოქალაქეთა მიღების საქმეში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ ძირითადად ამ რაიონების პროკურატურები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ საჩივრების სწორად გადაწყვეტისათვის, მომჩივნებს ეგზავნებათ დასაბუთებული პასუხები.

ჩხოროწყუს რაიონის პროკურორი შ. შ ე ნ გ ე ლ ი ა წარმოება-დაწესებულებაში ამოწმებს მშრომელთა წერილებს, განცხადებების და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტს კანონიერებას; გამოვლინებულ დარღვევებს, საჩივრებისადმი ფორმალურ დამოკიდებულების ფაქტებს უკეთებს რეაგირებას.

თელავის რაიონის პროკურორი ი. მაჭარაძე, ამავე რაიონის პროკურორის თანაშემწე ი. ბურდული რეგულარულად გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიან ადგილობრივ პრესაში, აკრიტიკებენ ცილისმწამებლებს, რომლებსაც უსაფუძვლო საჩივრები შეაქვთ სხვადასხვა ორგანოებში.

კოლეგიამ აღნიშნა აგრეთვე ნაკლოვანებები ამ პროკურატურების მუშაობაში. ჯერ კიდევ ადგილი აქვს საჩივრების განხილვის ვადის დარღვევის, მათი გაჭიანურებით გადაწყვეტის ფაქტებს.

ზოგიერთ მოქალაქეს საჩივარზე ეგზავნება არამოტივირებული პასუხი. თელავის რაიონის პროკურატურა არასათანადო ზედამხედველობას უწევს წარმოება-დაწესებულებებს მოქალაქეთა საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის საკითხში.

კოლეგიამ დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრისათვის.

საპატიო სიგელები დაიმსახურეს

სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ პროკურორმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდენ საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორები: შალვა ზაქარიას-ძე კასარელი, შოთა ფილიპეს-ძე კალმახელიძე, თავისუფლების აღკვეთის ადგილების ზედამხედველობის განყოფილების პროკურორები: გივი ვლადიმერის-ძე ძაგანია, გიორგი ვახტანგის-ძე გეგეჭკორი, ვახტანგ ვიქტორის-ძე სიხარულიძე.

საბჭოთა კანონიერების პროპაგანდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდენ საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გივი ამბერკის-ძე მეგრელიშვილი, საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი ოთარ მაქსიმეს-ძე კოღუაშვილი.

პროკურორის საზოგადოებრივი თანაშემწის მონაწილეობით

ბორჯომის რაიონის პროკურატურა ყურადღებით ეკიდება პროკურორის საზოგადოებრივ თანაშემწეებთან მუშაობას, ატარებენ მათთვის საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარს.

ყურადღებას იმსახურებს პროკურორის საზოგადოებრივი თანაშემწის დ. ლურსმანაშვილის დადებითი მუშაობა, რომელსაც ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს, პროფესიით იგი იურისტია.

დ. ლურსმანაშვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა ხელმძღვანელ-პარტიულ, საბჭოთა სამუშაოზე. იყო მოსამართლე, რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე, თავმჯდომარე, ამჟამად პერსონალური პენსიონერია.

მიუხედავად ხანდაზმულობისა იგი ახალგაზრდული ენერგიით მონაწილეობს რაიონის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს, მონაწილეობს პროკურატურის საერთო ზედამხედველობის ხაზით ჩატარებულ შემოწმებებში, მოქალაქეთა საჩივრების განხილვა-გადაწყვეტაში.

პროკურორის თანაშემწე გ. ქურციკიძემ და დ. ლურსმანაშვილმა შეამოწმეს წარმოება-დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის დაცვის, ტექნიკის უსაფრთხოების წესების მდგომარეობის, საერთო ზედამხედველობის მუშაობის სხვა საკითხები.

გამოვლინებულ დარღვევებზე რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში შეტანილ იქნა წარდგინებები.

ვ. არტემიძე

ფ-775

ფასი 50 კაპ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР